გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№43 (799) 17 - 18 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

ნაციონალური ბოდვები და ახალაიების კლანის შურისძიება

„დიდი გარჩევა" ავლაბრის რეზიდენციაში და კუდ-ის უფროსის შესრულებული მუქარა

კომპრომატები გირგვლიანის საქმეზე, რომელიც მერაბიშვილს დაასამარებს!

გვ. 2

კითხვა, რომელიც დავით ბერძენიშვილს აწუხებს:

„გამოიყენა თუ არა რომელიმე პოლიტიკურმა პერსონამ ან პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დათა ახალაიას სახელი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად?"

გვ. 3

გვ. 6 ვისოლი

„შევრონის" საავტომობილო ზეთების ექსკლუზიური იმპორტიორი

ყოფილი მებაჟე-ინსპექტორი გიორგი ომიაძე ნიკოლოზ ალასანიას სასამართლოში უჩივის

შემოაქვს თუ არა პრეზიდენტის ბიძაშვილს ნარკოტიკები ფოსტით და რა სკანდალურ ფაქტებს იხსენებს 9000-ლარიანი საპროცესო გარიგებით გათავისუფლებული მებაჟე

გვ. 2

„თუ ივანიშვილი და საზოგადოებამაც ფეხებზე დამიკიდა, ბოლომდე სიკვდილზე წავალ ან საქართველოს დავტოვებ!"

გვ. 4

რას მოითხოვს სააკაშვილ-ივანიშვილისგან ირაკლი წერეთელი და რა შემთხვევაში გამოაცხადებს სასიკვდილო შიმშილობას

ნაციონალური ბოდვები და ახალაიების კლანის შურისძიება

„დიდი გარჩევა“ ავდაბრის რეზიდენციაში, კუდ-ის უფროსის შესრულებული მუქარა და კომპრომატები გირგვლიანის საქმეზე, რომელიც მერაბიშვილს დაასამარებს!

მაია ფურცელაძე

მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნაციონალები დათა ახალაიას გამოჩენას დიდხანს ელოდნენ. ზუსტად იმ დროიდან, რაც ბაჩო საქართველოში დაბრუნდა, „გმირის“ მანტია მოისხა და თანაგუნდელებს პირველი ნიშანი მისცა — რასაც ვანოს დავპირდით, ავუსრულებთო. მაშინ ეს ინტრიგა მხოლოდ იმათ გაშიფრეს, ვინც იცოდა, რომ ახალაიები, ჯერ კიდევ 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე დარწმუნდნენ, რომ თანაგუნდელებმა გაწირეს.

„ვერსია“ არჩევნებიდან ორი კვირის თავზე, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ ნაციონალებში დიდი „რაზბორკა“ ავლაბრის რეზიდენციაში შედგა — ბევრი ამბავი გაირჩა და მათ შორის, მამა ახალაიას „საარჩევნო ომის“ დეტალები, ციხის შიგნიდან დამანგრეველი „ციხის კადრების“ გამტანის საქმე, ახალაიების კლანის ბიზნეს-ინტერესები და დათას პირადი შუღლი უკვე გაპრემიერებულ მერაბიშვილთან. მაშინ ითქვა, რომ ახალაიები პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა „გადაარჩინა“, მისივე ლობირებით დატოვეს საქართველო და უსაფრთხოების გარანტიები, ფულადი კომპენსაცია, ასევე ბიზნესის შენარჩუნების პირობაც მისგან მიიღეს. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ხელისუფლების კულუარებში, ეს ამბავი არც გაკვირვებია, რადგან ყველამ იცოდა, რომ ახალაიებს პირადად პრეზიდენტი მფარველობდა. ასე მოხდა მაშინ, როცა გირგვლიანის საქმე დამოკლეს მახვილით დაეკიდა თავზე კუდის უფროსს, მაშინაც, როცა ბაჩო ახალაიას ციხეში ჩადენილი სისასტიკენი „გაუბაზრდა“ და მაშინაც, როცა „ერთი მანიაკი მინისტრის“, როგორც ბაჩოს ეძახდნენ, გამო, ლამის თავზე დაგვექცა წლობით ნაშენები ქართული თავდაცვის სისტემა. მერაბიშვილმა იცოდა, რომ ახალაიებს ასე იოლად ვერ მოერეოდა, თუმცა პატარ-პატარა ომები ყოველთვის ჰქონდა, თითქოს პრობლემებს მხოლოდ იმიტომ უქმნიდა, რომ საკუთარი ძალა გაეხსენებინა და ისიც შეემოწმებინა, შემთხვევით, სააკაშვილი ხომ არ „გაუნაწყენდათო“. თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა და ამჯერად, მხოლოდ იმას გაგახსენებთ, რომ იმ „რაზბორკაზე“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მიშას უსაყვედურა — „ახალაიას ნუ გადააყოლებ ქვეყანასაც და კარიერასაცო“. სააკაშვილმა ჩათრევას ჩაყოლა არჩია და მერაბიშვილის თამაშში შევიდა. ამბობენ, რომ სწორედ მაშინ დაპირდნენ თურმე მერაბიშვილს ახალაიები — დრო მოვა და შეგისრულებთო.

არჩევნებიდან რამდენიმე ხანში, ბაჩო ახალაია საქართველოში დაბრუნდა და ნაციონალების, თითქოს ერთიან გუნდში, პირველი ბზარიც გაჩნდა. მოგვიანებით, თავდაცვისა და შს ექსმინისტრი საბრალდებო სკამზეც აღმოჩნდა და სოლიდარობა გამოუცხადა ყველამ, მერაბიშვილის გარდა. არადა, პირველად საჯარო საყვედური ნაციონალების გენმდივნის მისამართით მხოლოდ დღეს გაისმა და ისიც თეა თუთბერიძის მხრიდან: **„ბევრი რამაა გაუგებარი. კითხვები ჩნდება ჩვეულებრივ მოქალაქეებში. მათ შორის, მეც მეკითხებიან სასამართლო პროცესებზე, თუ რატომ არ დადიან სასამართლოში ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, რატომ არ მოდის იგივე ვანო მერაბიშვილი, რატომ არ გააკეთა განცხადება. ძალიან ბევრ კითხვას მისვამენ და მეც ვერ ვპასუხობ ანუ გამოვიდა, რომ გაწირეს ეს ადამიანი, თუ კიდე რამე სხვა არის ამ ყველაფრის უკან?“**

არადა, მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ყველაფრის უკან დიდი პოლიტიკური ინტრიგაა, რომლის პირველი შედეგი მაშინ გამოჩნდა, როცა გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დათა ახალაიამ უცხოეთში გაიტანა კომპრომატები, უკანონო თვალთვალისა და მოსმენის ჩანაწერები და საკუთარ თანაგუნდელებს შემოუთვალა — გონს თუ არ მოხვალთ და ბაჩოზე ხელის შეწმენდას თავს არ დაანებებთ, „იუთუბიზე“ თითო კომპრომატი საათში ერთხელ დაიდებაო. როგორც ჩანს, მისი გაფრთხილება ყურს იქით გაატარეს. დათა ახალაიამ მოქმედება დაიწყო. სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავაანალიზოთ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული მისი განცხადება, სადაც კუდ-ის უფროსი მისი ოჯახის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ინიციატორად შს მინისტრს ასახელებს და განმარტავს: **„აგერ უკვე მეშვიდე თვეა, სამშობლოდან გადახვეწილი ვაკვირდები ქვეყანაში მიმდინარე მტკივნეულ პროცესებს. ვფიქრობ, ვაანალიზებ წარსულს და სულ უფრო მიმყარდება რწმენა, რომ საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია. კაცი, რომელმაც ჩემთან და ჩემს ძმასთან ბრძოლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა. ამ ერთი კაცის დაუოკებელმა ლტოლვამ ძალაუფლებისკენ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეიწირა ჩვენი ხელისუფლება. მე ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში... მე გამაჩნია მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის — ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა თავად ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენ ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა, ჩემს ძმაზე შურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ციხის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მარშრუტირება, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს დამარცხებაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იალღუჯაზე ჩვენი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ჩემს ძმას ასამართლებენ... ერთი რამ დღესავით ნათელია — საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალაიები დაზარალდებოდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურებით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიმპზე დარჩებოდა, რადგანაც არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა“.** მართალია, დათა ახალაიას წერილის ავთენტურობას მისი ახლობლები არ ადასტურებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ზუსტად იციან, რას გეგმავს ყოფილი მაღალჩინოსანი, რადგან უკვე დადასტურდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზუგდიდის მაჟორიტარმა, ახალაიების ოჯახის უფროსმა, როლანდ ახალაიამ ნაციონალური მოძრაობა დატოვა. ამასთან კუდ-ის ყოფილი უფროსის ადვოკატიც ამტკიცებს, რომ წერილი ნამდვილად დათა ახალაიას ეკუთვნის, რომელიც უახლოეს ხანებში აპირებს საქართველოში დაბრუნებას და ყველა კითხვაზე პასუხს გასცემს. ფაქტია, კითხვებზე პასუხის გაცემა სხვებსაც მოუწევთ.

ეჭვი არავის ეპარება, რომ დათა ახალაიას საქართველოში ჩამოსვლისთანავე დააპატიმრებენ. არჩილ კბილაშვილის განცხადებით, იგი ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულში პოლიციელ აზარაშვილის საქმეზე, თუმცა ვანო მერაბიშვილის თავისტკივილი გირგვლიანის სკანდალური საქმე იქნება და მასში მისი მეუღლის, თაკო სალაყაიას მონაწილეობის ფაქტი. ჯერ კიდევ არავინ იცის, რა მტკიცებულებას დადებს გირგვლიანის საქმეზე კუდ-ის ყოფილი უფროსი, რომელსაც მოუწევს კოდუებთან, ადეიშვილთან დაპირისპირების დეტალები, ირაკლი ოქრუაშვილთან თბილისური თუ პარიზული სისხლიანი გარჩევებიც გაიხსენოს და კიდევ ბევრი ისეთი რამ, ნაციონალებს წირვას რომ გამოუყვანს. ჩემი არ იყოს და, გიგი უგულავასაც ამ განცხადების შემდეგ, სწორედ ოქრუაშვილი გახსენებია — „ეს ძალიან ჰგავს ოქრუაშვილის ეპოპეას“, თუმცა ის კი აღარ უთქვამს, ვინ შეუგზავნეს საკანში „მოსალაპარაკებლად“ დაპატიმრებულ ოქრუაშვილს, ვისი დავალებით ემუქრებოდა ოჯახის განადგურებით და მოგვიანებით, ვინ და რა გარანტიებით გააცილა პარიზში „სამკურნალოდ“ ქვეყნის დამაქცევარი და ნაციონალების „მოღალატე“ ექსმინისტრი. იმედია, დათა ახალაია ამ ამბებსაც დოკუმენტურად გაიხსენებს! ვანო მერაბიშვილი დათა ახალაიას განცხადებას სოციალურ ქსელშივე ეხმაურება და ბოდვას უწოდებს: „საქმე გვაქვს ისეთ აბსურდთან, რომელზეც სერიოზული კომენტარის გაკეთებას არც ახლა და არც მომავალში არ ვაპირებ. ეს ბრალდებები წარმოადგენს ყოველგვარ საფუძველსმოკლებულ ბოდვას!“

ეჰ, ვანო კი ამბობს, ბოდვაო, მაგრამ ფაქტია, მერაბიშვილს, აშკარად, შიშისგან აბოდებს და ცდილობს, ყველაფერი ხელისუფლებას გადააბრალოს. ახალაიების კლანის დიდი შურისძიება გრძელდება. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ვანო მერაბიშვილს, როგორც თავად აცხადებს, თურმე დიდი ხანია არ უნახავს, არც ის იცის, როგორ არის და არც თურქეთში ავარიის შემდეგ დაინტერესებულა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. საინტერესოა ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილი არც 19 აპრილის აქციაზე აპირებს მისვლას!

ყოფილი მებაჟე-ინსპექტორი გიორგი ომიაძე ნიკოლოზ ალასანიას სასამართლოში უჩივის

შემოაქვს თუ არა პრეზიდენტის ბიძაშვილს ნარკოტიკები ფოსტით და რა სკანდალურ ფაქტებს იხსენებს 9000-ლარიანი საპროცესო გარიგებით გათავისუფლებული მებაჟე

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

შემოსავლების სამსახურის ყოფილი მებაჟე-ინსპექტორი გიორგი ომიაძე პრეზიდენტის ბიძაშვილს სასამართლოში უჩივის და აცხადებს, რომ „საქართველოს ფოსტით“ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნარკოტიკის შემოტანას ნიკოლოზ ალასანია მფარველობდა. ალასანია შპს „საქართველოს საჰაერო კარიბჭის“ 50% წილს ფლობდა და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები რამდენიმე ქვეყნიდან, ყველაზე დიდი ოდენობით კი, საბერძნეთიდან შემოჰქონდა. გიორგი ომიაძემ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ დახმარებით, პროკურატურაში საჩივარი შეიტანა, სადაც მის მიერ გამოთქმული ეჭვის საფუძველზე, ნიკოლოზ ალასანიას საქმიანობის გამოძიებას, მის მიმართ ბრალდების მოხსნასა და ზარალის კომპენსაციას ითხოვს.

მებაჟე ამტკიცებს, რომ 2010 წელს, უცხოეთიდან გზავნილების შემოწმების დროს, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენის შემდეგ, ნიკოლოზ ალასანია რამდენჯერმე მივიდა მასთან და გინებით დაემუქრა, თუ მისი კომპანიის მუშაობის შეფერხებას არ შეეშვებოდა, მასაც და მის უშუალო უფროსებსაც გაუსწორდებოდა. ამის შემდეგ, ერთ თვეში, გიორგი ომიაძე ფინანსურმა პოლიციამ 11 ლარისა და 60 თეთრის ბიუჯეტისადმი მიყენებული ზარალისა და სამსახურეობრივი გულგრილობის ბრალდებით დაიჭირა. დაკავებული, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, 9000 ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

„ალასანია საღამოს მოვიდა ტერმინალში. იმ დროს, როდესაც საეჭვო ამანათებს ვამოწმებდი. შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში, გინებითა და უწმაწური სიტყვებით მომმართავდა და მემუქრებოდა, ასეთი მუშაობით პრობლემებს მიქმნიდა — ნახავთ, შენც და იმასაც, ვინც შენს ზურგს უკან დგას, როგორ სამაგალითოდ დავსჯიო“, — იხსენებს დაზარალებული, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ ფაქტების გარდა, შემოსავლების სამსახურში, კულუარულად ყოველთვის ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის ბიძაშვილი ნარკოიმპორტით იყო დაკავებული. ომიაძე იმასაც ამტკიცებს, რომ საფოსტო გზავნილებში ნარკოტიკების აღმოჩენის შემთხვევა ორგანიზაციის სხვა მებაჟეებსაც ჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაუკავებიათ. ამიტომაც იგი ეჭვობს, რომ მუქარა მათ მიმართაც განხორციელდა.

გიორგი ომიაძეს სასამართლოს საბრალდებო დასკვნის მიხედვით, საქმიანობის გაგრძელების უფლება ჩამორთმეული აქვს, რის გამოც, 26 წლის ყოფილი მებაჟე დღემდე უმუშევარია.

კითხვა, რომელიც დავით ბერძენიშვილს აწუხებს:

„გამოიყენა თუ არა რომელიმე პოლიტიკურმა პერსონამ ან პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დათა ახალაიას სახელი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად?“

რუსუდან შელია
557-100-768

„საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია, რომელმაც ჩვენთან, ჩემთან და ჩემს ძმასთან, ბრძოლას ხელისუფლება და ქვეყანა გადააყოლა. ამ ერთი კაცის ძალაუფლებისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა ჩვენი ხელისუფლება შეიწირა. ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა, შეცდომების მიუხედავად, არჩევნებში ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა“, — დათა ახალაიას სახელით გავრცელებულ განცხადებაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ძმა, ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მის ხელთ არსებულ კომპრომატებზეც საუბრობს და, უახლოეს მომავალში, მეგობრებთან ერთად, საქართველოში ჩამოსვლასაც აანონსებს. რატომ გავრცელდა ახლადშექმნილი „ფეისბუქის“ გვერდიდან დათა ახალაიას წერილი 19 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე და ცდილობს თუ არა ნაციონალური მოძრაობა ვანო მერაბიშვილის გუნდიდან გარიყვას, „ვერსიის“ კითხვებს „რესპუბლიკელების“ ლიდერი, უმრავლესობის წევრი ДАВИТ БЕРДЗЕНИШВИЛИ პასუხობს.

— მართალია, დათა ახალაიას ადვოკატი გვარწმუნებს, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული საკმაოდ სკანდალური განცხადება რეალურად ყოფილ მაღალჩინოსანს, ბაჩო ახალაიას ძმას ეკუთვნის, მაგრამ პირადად მე, ეჭვების გასაფანტად მეტი ინფორმაცია მჭირდება. ჯერ კიდევ მაწუხებს საკმაოდ ლეგიტიმური კითხვა — გამოიყენა თუ არა რომელიმე პოლიტიკურმა პერსონამ ან თუნდაც პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დათა ახალაიას სახელი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად?

— რომელ პოლიტიკურ ძალას აწყობდა, დათა ახალაიას სახელით, აღნიშნული განცხადების გავრცელება — „ქართულ ოცნებას“ თუ ნაციონალური მოძრაობას?

— ფაქტია, ნაციონალური მოძრაობის დაშლის პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. დღითიდღე მიხეილ სააკაშვილი საკუთარ გუნდზე გავლენას კარგავს, მეტიც, ის უკვე წარსულის პოლიტიკოსია და ეს აცოფებს. ნებისმიერ შემთხვევაში, წერილი დათა ახალაიამ დაწერა თუ ვინმე სხვამ, ის ნაციონალურ მოძრაობაში წლების განმავლობაში არსებულ პრობლემატიკას ობიექტურად ასახავს.

— სხვათა შორის, განცხადების გავრცელების შემდეგ, ახალაიების მისამართით მმართველმა გუნდმა დამოკიდებულება შეარბილა — ხუხაშვილმა მათ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი უწოდა, კბილაშვილმა კი ბაჩო ახალაიას გამართული სასამართლო პროცესის უზრუნველყოფა მოითხოვა. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ დათა ახალაიამ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ კომპრომატების სანაცვლოდ, ხელისუფლებისგან გარკვეული გარანტიები მიიღო?

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ყოველგვარ გარანტიებზე საუბარი გაუმართლებელია, როგორც ვიცი, არჩილ კბილაშვილმა ისიც განაცხადა, საქართველოში დაბრუნებისთანავე, დათა ახალაიას დავაკავებთო. საერთოდ, დიდი ხანია ყველამ კარგად ვიცით, რომ ახალაიების ოჯახი და მერაბიშვილი არ მეგობრობენ, მეტიც, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, ერთმანეთს საკმაოდ მწვავედაც უპირისპირდებოდნენ. პირადად მე, განცხადების ავთენტურობის დადგენას დაველოდები, რადგან ახლა ისეთი პროცესის დასაწყისს ვხედავ, რომელზეც მარჩიელობით საუბარი გამართლებული არ იქნება.

— რა პროცესის დასაწყისს პროგნოზირებთ. ალბათ, არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ განცხადება 19 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა.

— ნაციონალური მოძრაობის მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ნაწილმა კარგად იცის, რომ პარტიის ამ სახელწოდების ქვეშ, მით უმეტეს, სანამ სააკაშვილი და მერაბიშვილი გუნდის ლიდერებად მოიაზრებიან, მათი პოლიტიკური მომავალი აბსოლუტურად უპერსპექტივოა. თუ ბოლო დღეებში მიმდინარე პროცესებს კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ სააკაშვილი ახლა რეალურად ოპოზიციაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის, თუმცა თავადვე კარგად იცის, რომ რამდენიმე თვეში, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, პოლიტიკისგან აბსოლუტურად მარგინალიზებული გახდება. იდენტურ განცდებშია ვანო მერაბიშვილიც, შესაბამისად, 19 აპრილის კარიკატურულ აქციებზე დღეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აპოლიტიკური ნაწილი — სააკაშვილი და მერაბიშვილი საუბრობენ და ორივე მხოლოდ ხავსს ეჭიდება.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ კამპანიის აგორებას ნაციონალური მოძრაობის მოაზროვნე ნაწილი მართავს და პროცესებიდან მის გარიყვას ცდილობს, თანაც იმ ფონზე, როცა ბოლო დღეებია აქტიურად ვრცელდება ხმები, რომ 19 აპრილს ვანო მერაბიშვილი ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატად უნდა დასახელდეს?

— რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობაში დიდი ხანია სხვადასხვა ინტერესი ერთმანეთს ეჯახება, ამიტომ ნამდვილად არ გამიკვირდება თუ პარტიის იდეოლოგებს მათივე თანაგუნდელები გარიყავენ. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატს, ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტობის კანდიდატად მერაბიშვილს დაასახელებს, ვინმე სიკინჭილაშვილს თუ ქიბროწაშვილს, რომელსაც სააკაშვილი ხშირად ახსენებდა, მნიშვნელობა არ აქვს. ნაციონალების ვერც ერთი კანდიდატი პოლიტიკურ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი ვერ იქნება.

სხვათა შორის, როცა მერაბიშვილი „აბჯარასხმული“ გვევლინებოდა, ბევრი აქებდა და ნაციონალური მოძრაობის ხერხემლადაც მიიჩნევდა, მაგრამ მას წლებია ვიცნობ და, კარგად ვიცი, რეალურად რასაც წარმოადგენს. გარწმუნებთ, ახლაც ზუსტად ისეთია, როგორიც ათი წლის წინ იყო — ის აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი ფიგურაა, რომლის პერსონას მხოლოდ კარიკატურული ელემენტები ახლავს, ქართულ პოლიტიკაში მისი სპიკერობაც განსაკუთრებით საინტერესოა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო ხანებში მან პრეტენზიები ხელოვნებათმცოდნეობაზეც გამოთქვა, მაგრამ წარმატებული ვერც რაბათის ციხის „დაცვაში“ აღმოჩნდა. სხვათა შორის, წლების წინ, მან მიწათმოქმედთა ასოციაცია დააფუძნა და ვურჩევ, ეს საქმე გაიხსენოს. ასე რომ, ახლა აბსოლუტურად განეიტრალებული ვანო საკუთარ გუნდსაც აღარ სჭირდება.

— თუმცა ამასობაში, ვრცელდება ხმები იმის შესახებაც, რომ ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციასაც გეგმავს...

— ვფიქრობ, ეს მხოლოდ მიმოფანტული ვერსიებია, რომელსაც ნამდვილად ვერ გავიზიარებ.

დასასრული მე-6 გვერდზე

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

19 აპრილს დაანონსებული ნაციონალების აქციის პარალელურად, საზოგადოების ნაწილს გაუჩნდა შიში, რომ რუსთაველზე, შესაძლოა, პროვოკაცია მოხდეს და სისხლიც დაიღვაროს. აქციამდე ორი დღით ადრე, „ვერსია“ თბილისის ქუჩებში გავიდა იმის გასარკვევად, აპირებს თუ არა მოსახლეობა 19 აპრილს აქციაზე წასვლას.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სხვადასხვა ასაკის ასამდე ადამიანი მეტროებისა და სკვერების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვკითხეთ.

უმრავლესობა კატეგორიულად აცხადებს, რომ აქციაზე გასვლას არ გეგმავს, რადგან ყოფილი სახელისუფლებო პარტიის პოზიციას არ იზიარებს და ფიქრობს, რომ უმცირესობა, რეიტინგის ასამაღლებლად, ყველაფერზეა წამსვლელი. 100 გამოკითხულიდან მხოლოდ 6 აღმოჩნდა ისეთი, ვინც ოპოზიციონერი პრეზიდენტის პარტიას ნდობას უცხადებს და აქციაზეც მისვლას გეგმავს, თუმცა აქვე აკონკრეტებს, რომ მერაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემთხვევაში, მას მხარს არ დაუჭერს.

25-მდე მოქალაქე აცხადებს, რომ არც ერთ აქციაზე არ გავა, ვისი ორგანიზებულიც უნდა იყოს, რადგან ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც ზუსტად ისეთივე და იმდენივე პრობლემა აქვს, რაც აქამდე ჰქონდა. ყველა დანარჩენი გამოკითხული კი იმ შესაძლო პროვოკაციაზე საუბრობს, რომელიც შეიძლება სისხლისღვრამდეც კი მივიდეს.

აპირებენ თუ არა თბილისელები 19 აპრილს აქციაზე მისვლას?

ლევანი, 25 წლის სტუდენტი, პოლიტოლოგი: „მათი რეიტინგი იმდენად დაბალია, რომ ყველაფერზე წავლენ. არ გამოვრიცხავ, მერაბიშვილმა გამოიყენოს ის კადრები, რომელიც შსს-ს მინისტრად ყოფნის პერიოდიდან აქვს. არ ვარ რადიკალური, თუმცა მიმაჩნია, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც 19 აქციაზე გავა, იმ ძალადობას ამართლებს, რომელიც ე.წ. ციხის კადრების სახით, სექტემბერში ვიხილეთ“.

უკრაინული წარმოშობის ქართველი ქალბატონი, 66 წლის: „აქციაზე მივდივარ იმიტომ, რომ ვიზიარებ ნაციონალური მოძრაობის ხედვებს. ქვეყანაში ორი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა დგას. ეს არის უმუშევრობა და ოკუპაცია. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად შესაძლო წარდგენას, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ფაქტია, რომ პრობლემები გვაქვს და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რა ერქმევა იმ ადამიანს, ვისაც მათი გადაჭრა შეუძლია“.

მამაკაცი, 42 წლის: „აქციაზე აუცილებლად წავალ, რადგან, ერთხელ და სამუდამოდ, მინდა ჩემი ქვეყანა გაერთიანებული ვიხილო“.

ნატა, 31 წლის: „ნაციონალურმა მოძრაობამ საკმარისზე მეტი დააშავა 9 წლის მანძილზე საიმისოდ, რომ კიდევ ერთი მხარდამჭერი არ ჰყავდეთ ჩემი სახით. 19-ში აქციაზე გასვლა საშიშიც კია, რადგან ისინი თავიანთი მოღვაწეობისას დაღვრილი სისხლის გადასაფარად, შესაძლოა, ისეთ პროვოკაციებზეც კი წავიდნენ, ისევ უდანაშაულო ხალხი რომ დაზარალდეს“.

ვახტანგი, 41 წლის: „ამ აქციაზე არ წავალ, რადგან მეზიზღებიან ისინი. თუ მეკითხებით რატომ, მაშინ გაიხსენეთ ყველა ის უსამართლობა, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა და პასუხს მიიღებთ“.

ლევანი, 45 წლის: „რა თქმა უნდა, არ გავალ მათ აქციაზე. მე თუ მკითხავთ, ნაციონალებში ყველაზე ჭკვიანი ადეიშვილი აღმოჩნდა, რომელიც ადგა და გაიქცა. მან იცოდა, რამხელა ზიზღი არსებობდა მათ მიმართ მოსახლეობაში და, დანარჩენებისგან განსხვავებით, ახალი სპექტაკლების დადგმა არ დაუწყია“.

„თუ ვიშიმშილე და საზოგადოებამაც ფეხებზე დამიკიდა, ბოლომდე სიკვდილზე წავალ ან საქართველოს დავტოვებ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი ოთხშაბათს, 17 აპრილს, ბიძინა ივანიშვილის ახალ მთავრობასა და მიხეილ სააკაშვილს რამდენიმეპუნქტიან მოთხოვნას წაუყენებს. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სასიკვდილო შიმშილობის გამოცხადებით ან ქართველი ხალხისგან დევნილის სტატუსის მოთხოვნით იმუქრება. საკუთარი გეგმის დეტალებს ირაკლი წერეთელი „ვერსიას“ წინასწარ უმხელს:

რას მოითხოვს სააკაშვილ-ივანიშვილისგან ირაკლი წერეთელი და რა შემთხვევაში გამოაცხადებს სასიკვდილო შიმშილობას

მივეწვიე, იმ მოღალატეებთან მაინც არ შევიდოდი — რატომ არ გამოვიდნენ 9 აპრილის ანტისაოკუპაციო დემონსტრაციაზე?! ვინც ამ დემონსტრაციაში არ მიიღო მონაწილეობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რუსეთის აგენტი, რენეგატი და მარიონეტია! ძალიან სერიოზული პრეტენზიები არსებობს ახალი ხელისუფლების მიმართ, რუსეთისკენ მიგვაქანებსო.

— ჩვენი მოთხოვნები კონკრეტულ მუხლებად ჩამოვაყალიბეთ 2013 წლის 25 თებერვლისა და 9 აპრილის ანტისაოკუპაციო-განმათავისუფლებული დემონსტრაციების მიერ მიღებულ დოკუმენტებში. ეს დოკუმენტი გაგზავნილია პრეზიდენტის, პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის სახელზე.

ჩვენო მოთხოვნები ასეთია:

1. საქართველოს პარლამენტმა და ქართულმა სახელმწიფომ რუსეთი ოფიციალურად გამოაცხადოს დამნაშავე აგრესორ მხარე-სახელმწიფოდ და ამის თაობაზე მიიღოს უმაღლესი რანგის სამართლებრივ-იურიდიული დოკუმენტები, ორგანული კანონისა და კონსტიტუციური მუხლების სახით! ჩვენს კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ 1921 წლიდან მოყოლებული, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიას ახორციელებს.

2. საქართველომ აქტიურად, დინამიკურად აწარმოოს ამ აგრესიის მხილებისა და მისი შედეგების აღკვეთის პოლიტიკა!

3. საქართველოს კურსი ჩრდილოატლანტიკურია და ამის შესახებ შესაბამის რეზოლუციაში უნდა ჩაიწეროს. საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა და აშშ-სთან განსაკუთრებული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს!

4. საქართველომ გამოუცხადოს ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას და მოუწოდოს ყველა სახელმწიფოს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ოკუპაციისა და აგრესიის წინააღმდეგ სოლიდარობის ნიშნად, მსოფლიოს დემოკრატიულმა ქვეყნებმა, ამერიკამ და ნატო-მ არ მიიღონ მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში!

5. შეიქმნას საერთაშორისო კომიტეტი ნატო-ს ქვეყნების მონაწილეობით, საქართველოს დეოკუპაციისა და რუსეთის იმპერიული აგრესიის შედეგების აღკვეთის მიზნით!

ეს მოთხოვნები მიმართულია როგორც ახალი მთავრობის, ისე მიხეილ სააკაშვილის ანუ ნაცმოძრაობისა და „ქოცმოძრაობის“ მისამართით!

— ისე, 9 აპრილს პარლამენტში უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მოძრაობის წევრები და ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, თქვენ კი ამ დროს პარლამენტსგარეთ საპროტესტო აქციას მართავდით. რატომ არ იყავით იმ მიღებაზე?

— მე თავმოყვარე კაცი ვარ, მყავს ერთადერთი და, ნინო წერეთელი, რომელსაც მზე და მთვარე ჩემზე ამოსდის და მასთან სახლში, სუფრაზე ისე არ მივდივარ, თუ არ დამპატიჟა. მით უმეტეს, პარლამენტში რა მინდოდა, როცა იქ არავის მიუწვევივარ. თუმცა, რომც მივეწვიე, იმ მოღალატეებთან მაინც არ შევიდოდი — რატომ არ გამოვიდნენ 9 აპრილის ანტისაოკუპაციო დემონსტრაციაზე?! ვინც ამ დემონსტრაციაში არ მიიღო მონაწილეობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რუსეთის აგენტი, რენეგატი და მარიონეტია! ძალიან სერიოზული პრეტენზიები არსებობს ახალი ხელისუფლების მიმართ, რუსეთისკენ მიგვაქანებსო.

ის ხალხი, ვინც შიშობს და ამის გამო, ლამის, პანიკაშია ჩავარდნილი, ივანიშვილი რუსეთში გვაბრუნებსო, თუ გულწრფელია, როცა საქართველოს დედაქალაქში, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ცენტრალურ ადგილზე, პარლამენტთან, უმნიშვნელოვანეს თარიღებში ინიშნება ანტისაოკუპაციო დემონსტრაცია, არა რომელიმე პარტიის, არამედ ქართველი ერის ეგიდით, იქ რატომ არ მოდის?! ეს ჩემი აზრით, გაუმართლებელია!

— შესაძლოა, გითხრან, რომ თქვენი ბრალდება და მოთხოვნები ძალიან ჰგავს ნაციონალური მოძრაობისას...

— ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც არ არის ნაციონალების წევრი, მაგრამ ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში დაბრუნებას გვიპირებს. მე შემიძლია გაჩვენოთ, რა ხდება ჩემს ირგვლივ — უცხოეთიდანაც მირეკავენ და ამის შესახებ წუხილს მიზიარებენ, თუმცა ამ ბრალდებას მარტო ივანიშვილს კი არა, მიხეილ სააკაშვილსაც ვუყენებ, რომელსაც ამ პარლამენტის დათხოვნა შეუძლია.

— თუ ეს პუნქტები არ შესრულდება, მახსოვს, 9 აპრილს შიმშილობის დაწყებაზეც საუბრობდით...

— დიახ, სავარაუდოდ, მივიღებ ამ გადაწყვეტილებას, გადავდებ ჩემს თავს და ვისაც უნდა, შემომიერთდეს! შიმშილობა არ არის ასეთი ადვილი საქმე, როგორც ჩანს, 30 დღე მაინც მომიწევს შიმშილი, რადგან ამ მოთხოვნებს ასე ადვილად არ დააკმაყოფილებენ! ჩემი შიმშილობისას ერთ-ერთი მოთხოვნა ქართველი ერის ქუჩაში ამ მოთხოვნებით გამოსვლა იქნება და თუ ასე მოხდება, მაშინ შევწყვეტ შიმშილობას.

როცა შიმშილობას გამოვაცხადებ, რამდენიმე ადრესატი მეყოლება — მიხეილ სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პარლამენტი, აშშ და ქართველი ერი. სააკაშვილ-ივანიშვილმა და პარლამენტმა, ფეხებზე რომც დამიკიდონ, არა მგონია, ქართველებიც ასე მომექცნენ!

— შტატები რაღა შუაშია თქვენს მოთხოვნებთან?

— შტატებისგან ის მინდა, რომ კეთილი ინებოს და, საქართველოს დამოუკიდებლობის სოლიდარობისა და რუსული იმპერიული აგრესიის დაგმობის ნიშნად, როგორც თავის დროზე, ავღანეთის გამო გამოუცხადა ბოიკოტი მოსკოვის ოლიმპიადას, სოჭის ოლიმპიადასაც გამოუცხადოს ბოიკოტი!

— მაგრამ ქართული მხარე და პრემიერი, როგორც ცნობილია, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას აპირებენ!

— ჰოდა, მოღალატეები არიან და, როგორც ჩანს, ამიტომ უნდა გავამწვავო ურთიერთობა ამ ხელისუფლებასთან! იცით, რა, თუ ვიშიმშილე და საზოგადოებამაც ფეხებზე დამიკიდა, მერე თუ დავინახე, რომ საქართველოში თავისუფლება და დამოუკიდებლობაც ყველას ფეხზე ჰკიდია, ან ბოლომდე სიკვდილზე წავალ, ან ვიფიქრებ, გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველო დავტოვო— აღარ მინდა მოღალატეებში ცხოვრება!

— სად აპირებთ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას?

— ამერიკაში წავალ, მაგრამ თავშესაფარს არ მოვითხოვ, ეს იქნება ჩემი პროტესტი! რაკი საქართველოში ამდენი მოღალატეა, არ მინდა, მეც მოღალატე ვიყო ანდა, შევქმნი პრეცედენტს, რომ სამშობლოდან გაუსვლელად, პოლიტიკური დევნილის სტატუსი მივიღო.

მოვითხოვ, ამერიკამ შემინახოს, როგორც ქვეყნის დეოკუპაციისთვის თავდადებული კაცი! დევნილი ვარ, აბა, ვინ ვარ — არც ერთი მედიასაშუალება არ მეკარება, 25 წელია, პოლიტიკაში ვარ და ეთერს არავინ მითმობს! ყველა იგნორირებას მიკეთებს, ჩემს ღონისძიებებზე არ მოდიან, შტაბი წამართვეს, მამაჩემის დატოვებული ბაზრობა წამართვეს და ახლა უნდა გამლახოთ, მაინცდამაინც თუ უნდა დამბრიდოთ, ვერ გავიგე?!

დავით საგანელიძე: „ხელისუფლებამ საბჭოთა ანაბრები ეტაპობრივად უნდა გაისტუმროს!“

თამარ ლეფსვერიძე
„გურიანიუსი“

საბჭოთა ანაბრების „გაქრობამ“ 90-იან წლებში საქართველოს ბევრი მოქალაქე დააზარალა. როგორც გაირკვა, იმ დროს საქართველოში 4 მლნ-ზე მეტი მეანაბრე არსებობდა, ყველას გააჩნდა გარკვეული დანაზოგი და ამ ადამიანების უმეტესობამ ეს დანაზოგი დაკარგა. აქტივი, რომელიც მეანაბრეებს ბანკებში ჰქონდათ, მხოლოდ ფურცლად დარჩა. გამქრალ თუ შეჭმულ საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ექსპერტი სხვადასხვა ციფრს ასახელებს, ზოგი 5 მილიარდზე საუბრობს, ზოგიც 8 მილიარდს ასახელებს. ფაქტია, რომ ამ ეტაპამდე, რეალურად, არაფერი გაკეთებულა და არც იმის გათვლა მომხდარა, რა არის გასაკეთებელი. ეს საკითხი 2003 წელს გააქტიურდა, როდესაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოდიოდა. ეს მათი წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა შემდეგ, ყველას რატომღაც მიავიწყდა. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ეს თემა ასე აქტიურად არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში ცვლილებები მოხდა, ბევრი ადამიანის ინტერესის საგანს წარმოადგენს, ახალ ხელისუფლებას რა ხედვა აქვს ამ თემასთან დაკავშირებით. „გურია ნიუსი“ საბჭოთა ანაბრების თემაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს ესაუბრა.

— ბატონო დავით, ბოლო პერიოდში ძალიან აქტიური გახდა საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხი. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირებაც სწორედ ანაბრების დაბრუნებას ეხებოდა, რომელიც არ შესრულდა. როგორ ფიქრობთ, რამე შანსი თუ აქვს „საბჭოთა“ მეანაბრეებად წოდებულ ადამიანებს, ამ მთავრობისა და პარლამენტის პირობებში, მოხდეს თემის წამოწევა?

— პირდაპირ გეტყვით, პარლამენტში ეგ საკითხი, ჯერჯერობით, არ არის შემოსული და მაგ კუთხით ჩვენ არ ვმუშაობთ. ბუნებრივია, ამაზე უფრო აქტიურად მუშაობს მთავრობა და მსჯელობენ იმაზე, რისი საშუალებაა, რომ მოხდეს ამ ვალის გასტუმრება. მოგეხსენებათ, მუდმივადაა იმაზე საუბარი, რომ საბჭოთა ანაბრები მთლიანად შიდა ვალში უნდა აიღოს ხელისუფლებამ და შესაბამისად, მერე გამოძებნოს საშუალება, ეტაპობრივად მოხდეს მისი გასტუმრება. ასეც უნდა მოხდეს. შესაბამისად, როგორ განხორციელება, ეს მთავრობის საფიქრალი და გადასაწყვეტია.

— რამდენად რეალურია ამ პროცესის დაწყება და როგორ ფიქრობთ, რა არის პირველ რიგში, ამ მიმართულებით გასაკეთებელი?

— იცით, მანდ ყველაზე რთულია იმის განმარტება და განსაზღვრა, ვისი რა იყო და რამდენი, რათა შემდგომ მოხდეს კოეფიციენტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა. მაშინდელი მანეთი დღეს რა კურსითაა დასაანგარიშებელი და როგორ უნდა მოხდეს ინდექსაცია. არ არის ეს მარტივი თემა. მარტო საპოპულისტოდ რომ ვილაპარაკოთ, დავაბრუნებთო, არ იქნება ეს კარგი საქციელი და არასოდეს ვიკადრებთ მსგავს რამეს. უცებ, ერთი მილიარდი რომ დაგვეცეს ახლა ბიუჯეტში საიდანმე და უცებ გადავწყვიტოთ, მოდით, გავცეთ ანაბრებისთვისო, მაინც ყველაფერი დასაანგარიშებელი იქნება წესისა და რიგის მიხედვით. როცა ეს ყველაფერი ერთიან კომპლექსში იქნება წარმოდგენილი, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება პარლამენტში ამ საკითხზე მსჯელობის დაწყება და კანონის მიღება.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გიორგი ვაშაძე: „ვერანაირი განცხადება ჩვენს გეგმებში ცვლილებებს ვერ შეიტანს!“

19 აპრილს დაგეგმილ აქციაში მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობას არ მიიღებს, ვანო მერაბიშვილი კი საპრეზიდენტო კანდიდატად არ დასახელდება!

დათა ახალაიას სკანდალური განცხადება სოციალურ ქსელში და გავრცელებული ინფორმაცია, 19 აპრილის აქციის წინ მისი ჩამოსვლის შესახებ ნაციონალების გეგმებს არ ცვლის! ამის შესახებ „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა და აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გიორგი ვაშაძემ განუცხადა. დეპუტატი უარყოფს ინფორმაციას 19 აპრილს რუსთაველის გამზირზე სააკაშვილის გამოჩენის შესახებ, აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის პრეზენტაცია ქუჩის აქციაზე არ მოხდება, ქვეყნის მთავარ პოლიციელს, ირაკლი ღარიბაშვილს სიმშვიდისკენ მოუწოდებს, ივანიშვილის მთავრობის ყველაზე პოპულარული მინისტრის, თეა წულუკიანის ბრალდებებს კი ვრცლად და აგრესიულად პასუხობს.

— დათა ახალაიას განცხადება გავრცელდა, სადაც ქვეყნის ნომერპირველ მტრად ვანო მერაბიშვილია გამოყვანილი და არის ინფორმაცია, რომ იგი ქვეყანაში ჩამოსვლას სწორედ აქციის წინ, 18 აპრილს აპირებს...

— როცა მითხრეს, განცხადება გავრცელდაო, სიმართლე გითხრათ, არც კი დავინტერესებულვარ. დამიჯერეთ, არც წამიკითხავს და არ ვიცი, საერთოდ რა ბრალდებებზეა საუბარი. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერანაირი განცხადება ჩვენს გეგმებში ცვლილებებს ვერ შეიტანს!

— არა მხოლოდ ახალაიას, არამედ აქციის წინ ზურაბ ადეიშვილის ქვეყანაში დაბრუნებაზეც მიდის საუბარი. ცოტა ხნის წინ, თეა წულუკიანმა თქვა, ადეიშვილს მაინც დავაბრუნებ საქართველოშიო. თქვენი ექსმინისტრის შესახებ რაიმე ახალი ხომ არ გსმენიათ?

— არაფერი ვიცი, მით უმეტეს, ახალი. ეს მხოლოდ მუქარაა და რამდენი ხანია, ყველას მხოლოდ მუქარა გვესმის ახალი ხელისუფლებისგან! წულუკიანის უწყება თავს ესხმის ID ბარათებს, იუსტიციის სახლებს — ამ თემებზე მის მიერ დაწყებული საუბრები მხოლოდ წულუკიანის უცოდინრობითაა გამოწვეული! სამწუხაროდ, ის სრულიად სხვა სისტემაში მოხვდა მინისტრად, რომლის მართვაც არ შეუძლია! მეტიც, რაც ამ სისტემაში გაკეთებული დახვდა, იმასაც თავს დაესხა და გაანადგურა. იმედი მაქვს, თეა წულუკიანი თავს შეიკავებს იმ სისტემის ბოლომდე განადგურებისგან, რომლის წარსადგენად, მე პირადად, 17 აპრილს ლიტვაში ვარ მიწვეული და უზარმაზარი პრეზენტაცია მექნება! ასეთივე გაუგებარია შეტევები იუსტიციის სახლების მისამართითაც — მიდის დაწყებული მშენებლობების დაკონსერვება, თურმე, „ხრუშჩოვკებში“ უნდა გადავიდეთ, ასეთი განცხადებაც მოვისმინეთ პრემიერისგან! ერთადერთი, რაც მათთვის მაქვს სათქმელი, საქმეს მიხედონ, სჯობს. სხვათა შორის, ვასიკო ოდიშვილის გადაცემას ვუყურე, თეა წულუკიანის რიტორიკას ამ ადამიანმა ფანტასტიკურად უპასუხა: საქმეს მიხედეო და მეც აბსოლუტურად ვეთანხმები — თეა წულუკიანის მთავარი პრობლემა ის არის, რომ საქმის კეთება არ იცის!

— ამ დროს, წულუკიანი აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ახალ მთავრობაში საუკეთესო მინისტრია.

— მახსენდება სხვადასხვა გარდამტეხი პერიოდები საქართველოში, როცა ზოგიერთი ადამიანი განსაკუთრებით პოპულარული იყო ხოლმე, მაგრამ მერე ეს თავისი პოპულარობა თავში უვარდებოდა ხოლმე და ყველაზე ნეგატიურ პირად ყალიბდებოდა.

— როგორც ირაკლი ოქრუაშვილი?

— ამას საზოგადოება შეაფასებს!

— ბოლო დღეების მთავარ თემად სწორედ წულუკიანის ინიციატივა, აგვისტოს ომის გამოძიების დაწყებაა, რასაც თქვენი გუნდი ემიჯნება — რატომ, როცა თომას ჰამერბერგი და მთელი საერთაშორისო საზოგადოება მოგიწოდებთ, გამოძიებასთან ითანამშრომლოთ?

— ჩვენ ვემიჯნებით ყველაფერს, რაც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ყველა, მათ შორის ჩვენი არამხარდამჭერიც, ძალიან კარგად ხვდება, რომ ეს წამოწყება მხოლოდ ვლადიმერ პუტინისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესებს ემსახურება, რადგან პუტინი სააკაშვილს ერთი ადგილით დაკიდებას დაპირდა და მისთვის ის პირადი მტერია! ძალიან ვწუხვარ, რომ „ოცნება“ სწორედ თამაშის ამ წესებით ხელმძღვანელობს. დასკვნები გაკეთებულია, კითხვები პასუხგაცემულია, დაკითხვებიც იყო, საპარლამენტო კომისიაც მუშაობდა, საერთაშორისო კომისიაც, ამიტომ როგორ შეიძლება, ვისაუბროთ იუსტიციის მინისტრის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე, რომელსაც წვდომა არ აქვს არც ოკუპირებულ ტერიტორიებთან, არც რუსეთის ფედერაციასთან და არც იმ საჯარისო შენაერთებთან, ვინც თავს დაგვესხა?!

— და რომ ჰქონდეს, ითანამშრომლებდით თუ აგენტებს დაუძახებდით?

— ეს არის ცალმხრივი გამოძიება მაშინდელი ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ — რა ხდება, ჩვენს შორის ვეძებთ დამნაშავეებს?! ვისთან უნდა ვითანამშრომლოთ, გამაგებინეთ, ხელისუფლებასთან, რომელიც დაინტერესებულია, დამნაშავე მიხეილ სააკაშვილსა და თავდადებულ ჯარისკაცებში იპოვოს?

— როგორც ითქვა, კითხვები არა სამხედრო, არამედ მხოლოდ ხელისუფლების პირველ პირებთან არსებობს!

— რეალობას თვალი გავუსწოროთ: ტაშს კი არ უნდა უკრავდნენ ოკუპანტს და ოკუპირებული ტერიტორიების კანონში უაზრო ცვლილებები კი არ უნდა შეჰქონდეთ, უფრო პრინციპული პოლიტიკაა საჭირო, რათა როგორმე რუსეთის ხელისუფლების პატივისცემა დავიმსახუროთ! საკითხი ძალიან მარტივად დგას: ჩვენი აზრით, გამოსაძიებელი არაფერია და თუ ისინი გამოძიებას მაინც განაგრძობენ, ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ — ეს იქნება პუტინის თამაში და არათუ ამ თამაშში გავყვებით, არამედ კატეგორიულ წინააღმდეგობასაც გავუწევთ!

— 19 აპრილის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ხართ. იქნებ, თქვენ მაინც გაფანტოთ ჭორები და განმარტოთ ამ აქციის მიზანი?

— ჯერ იმას გეტყვით, რომ აქციაზე ბევრი ხალხი გამოვა! პირველ რიგში, სწორედაც პატრიოტული მოტივით, რადგან ჩვენი ისტორიაა იმის მაგალითი, რა პოლიტიკა უნდა აწარმოოს ხელისუფლებამ. მეორე — ერთადერთი გზა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა, ეს პრინციპული მიდგომაა და მესამე — სამართლიანობისგან ძალიან შორსაა, როცა ათასობით ადამიანს უკანონოდ ათავისუფლებენ კერძო სექტორიდან, ხელისუფლების უგნური პოლიტიკის გამო. მალე მოვა ის დრო, როცა ამ ხალხს უკან, სამსახურებში დავაბრუნებთ, რადგან ისინი არც კორუმპირებულნი იყვნენ, არც არაკეთილსინდისიერნი!

— თქვენი გუნდის წევრმა, სერგო რატიანმა, ვანო მერაბიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატი უწოდა, ხოლო გავრცელებული ინფორმაციით, 19 აპრილის ერთ-ერთი სიურპრიზი სწორედ მერაბიშვილის კანდიდატად წარდგენა იქნება. ასეა?

— ახლავე შემიძლია გითხრათ: 19 აპრილი არ არის რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის პრეზენტაციის დღე! საპრეზიდენტო კანდიდატურის შერჩევაზე ცოტა განსხვავებული პოზიცია მაქვს: ეს უნდა მოხდეს პარტიის შიგნით და პარტიის ყველა წევრისა და აქტივისტის ჩართულობით. აი, ასე უნდა გადაწყდეს, ვინ იქნება ჩვენი გუნდის კანდიდატი. სხვათა შორის, 19 აპრილს ბევრი სიახლე გველის და ბევრი საინტერესო განცხადებაც გაკეთდება. ეს იქნება აქცია, რომლის მიზანია ხელისუფლების გამოფხიზლება — „ქართულმა ოცნებამ“ უნდა ნახოს, რომ ის მარტო არაა ამ ქვეყანაში! დროზე უნდა გაიაზროს, რომ ქვეყნის მართვა ცოტა სხვაგვარად ხდება და არა საკუთარ ხალხთან ოპოზიციაში ჩადგომით.

— ღარიბაშვილ-მერაბიშვილმა აქციის გამო დისკუსია გამართეს: შსს-ს ინფორმაციით, რამდენიმე პოლიციელი აქციაზე მუნდირის დემონსტრაციულად გახდას აპირებს — ესეც თქვენი გეგმის ნაწილია?

— რა არის ამაში ვინმესთვის საფრთხის შემცველი, ვერ გამიგია. პირიქით, ჩვენ მობილიზებულნი ვართ, არანაირი დაპირისპირება არ მოხდეს და იმედი მაქვს, პირველად, თავის ახალ კარიერაში, ახალი შს მინისტრი, თავის სამინისტროსთან ერთად, შეძლებს წესრიგის რეალურად დამყარებას და არ გვექნება 8 თებერვლისნაირი მდგომარეობა, პოლიცია კი მაშინდელივით ყოვლად უმოქმედო არ იქნება! თუმცა ჩვენს წინააღმდეგ ამ დღეს პროვოკაციას ვერავინ გაბედავს, პირდაპირ რომ გითხრათ!

— მეც პირდაპირ გეტყვით, სწორედ თქვენს წინააღმდეგაა ეჭვი, რომ თავად წახვალთ პროვოკაციაზე, რათა მერე, ამაში ახალი ხელისუფლება დაადანაშაულოთ!

— აი, როგორც ჩანს, შს უწყება და ახალი ხელისუფლება წესრიგის დამყარებაში თავისზე უფრო ძლიერად ნაციონალურ მოძრაობას მიიჩნევს და კარგი იქნება, თუ ამ კომპლექსებიდან ოდესმე გამოვლენ! თვითონ მოვიდნენ უკვე ხელისუფლებაში და ეს როგორმე უნდა გაიაზრონ. ირაკლი ღარიბაშვილმაც უნდა გაიაზროს, რომ შს მინისტრია და ყველაფრის ნუ ეშინია, რადგან მართვის სადავეები ახლა ხელში თავად უჭირავს!

— 8 თებერვლის ხსენება იმიტომ დაგჭირდათ, რომ აქციაზე მიხეილ სააკაშვილს უნდა ველოდეთ?

— პირდაპირ გეტყვით, ჩემი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ამ აქციაზე არ იქნება! ამას თქვენი თვალითაც ნახავთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ თავად ვიქნებით მობილიზებულნი, წესრიგი დავიცვათ. მე, საერთოდ, 19 აპრილს ოჯახსა და შვილებთან ერთად ვაპირებ მისვლას. ბავშვებთან ერთად მოდის ჩვენი ბევრი წევრი, შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რაიმე ტიპის პროვოკაციას არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ! საერთოდ, ისიც ძალიან გამიკვირდა, რატომ გააკეთა შს მინისტრმა საჯაროდ განცხადება, მერიასთან ერთად მონიტორინგის ერთობლივი ჯგუფების შექმნის შესახებ. ერთადერთი რაც ვიფიქრე, წინასწარ თავად ღარიბაშვილს ხომ არ უნდა, არგუმენტები მოიშველიოს, იცით რა, მე წესრიგის დამყარებას ვცდილობდიო?! თუმცა იმედია, არაფერი მოხდება.

— არგუმენტები რისთვის უნდა მოიშველიოს ღარიბაშვილმა?

— არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ინტელექტუალი, ჩამოყალიბებული ხალხია და აქციის მიმდინარეობაც ასეთივე იქნება. ჩვენ აქეთ ავირიდებთ თავიდან ყველა პროვოკაციას, თუ ვინმეს მხრიდან რაიმე მცდელობას ექნება ადგილი! მინდა, ირაკლი ღარიბაშვილს გადავცე, ნუ ეშინია ნაციონალური მოძრაობის — დღეს ის ქვეყნის ნომერპირველი პოლიციელია და თავის საქმეს მიხედოს! საერთოდ, დარწმუნებული ვარ, 19 აპრილს მიტინგზე „ქართული ოცნების“ ბევრი მომხრე მოვა!

ვერსიანიუსი

ივნისის ბოლოს, საქართველოს ჯეიმს აპატურაი ეწვევა

ივნისის ბოლოს საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ეწვევა. აპატურაის საქართველოში ჩამოსვლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტისთვის მომზადება წარმოადგენს. ოფიციალური შეხვედრების გარდა, ჯეიმს აპატურაი სავარაუდოდ, ნატო-ს კვირეულში მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საქართველოს შარშან ოქტომბერში სტუმრობდა.

„პირველი“

„ვისოლი“ „შევრონის“ საავტომობილო ზეთების ექსკლუზიური იმპორტიორი გახდა

„ვისოლის“ 18-ვე „ვიანორში“, ამიერიდან „შევრონის“ ზეთებისა და საპოხი მასალების შეძენას შეძლებთ. **„ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. მიხარია, რომ „ვისოლი“ ხდება იმ დიდი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰქვია „შევრონი“,** — ასე შეაფასა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ სიახლე, რომლის გამოც, კომპანიის წარმომადგენლებმა, 16 აპრილს, „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჟურნალისტები მიიწვიეს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგი — „ვისოლსა“ და მსოფლიოში წამყვან ნავთობკომპანია „შევრონს“ შორის თანამშრომლობის გრძელვადიანი ხელშეკრულება, მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით გაფორმდა. ორ უმსხვილეს ბრენდს შორის თანამშრომლობა იმას გულისხმობს, რომ ამიერიდან, საქართველოში „ტექსაკოს“ საავტომობილო ზეთებისა და საპოხი მასალების ექსკლუზიური იმპორტიორი „ვისოლი“, უფრო კონკრეტულად კი, მისი შვილობილი კომპანია, „ვიანორი“ გახდა. „შევრონის“ პროდუქტები სამი წამყვანი ბრენდის — „შევრონის“, „ტექსაკოს“ და „კალტექსის“ სახელითაა წარმოდგენილი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და პროდუქტის ხარისხით, ასევე მაღალტექნოლოგიურობითაა აღიარებული. ამ ფონზე გასაკვირი არ იყო, რომ „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ განმარტა, საქართველოში ამ ბრენდის შემოსვლა, ზოგადად, ქვეყნის განვითარებასაც შეუწყობს ხელსო.

სოსო ფხაკაძე: „კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ჯგუფის განვითარების მიმართულებით. ძალიან სასიხარულოა იმის გაცხადება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი გიგანტი „შევრონი“ ჩვენი პარტნიორი იქნება. ეს არის გლობალური ბრენდი, ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. მასთან პარტნიორობა კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის განვითარებას. ჩვენს ავტოგასამართ სადგურებზე „შევრონის“ ლოგოტიპის გამოჩენა კი კიდევ ერთი დასტური იქნება, რომ საქართველოს ენდობიან მსხვილი ბრენდები, რომ აქ ინვესტიციის განხორციელება სასურველია. თავად „ვისოლი“ „შევრონთან“ პარტნიორობით, კიდევ უფრო გაიმყარებს საქართველოს ნავთობბაზრის ლიდერის პოზიციას. ვამაყობთ, რომ პროდუქტისა და მომსახურების უმაღლესი ხარისხი „შევრონისთვის“ ისევე, როგორც „ვისოლისთვის“ ძირითადი ღირებულებაა, რაც კიდევ უფრო გვაახლოებს“.

იმაზე, რომ „ვისოლი“ და „შევრონი“ ღირებულებებისა და ფასეულობების იდენტურ სისტემას იზიარებენ, რამაც მათი თანამშრომლობა განაპირობა, გაცილებით ვრცლად ისაუბრა, „შევრონის“ წარმომადგენელმა თომას მელიამ. რის გამო ავირჩიეთ „ვისოლი“ პარტნიორად? — ხმამაღლა დასმულ თავის კითხვას, მან თავადვე უპასუხა — იმიტომ, რომ ჩვენ საერთო ფასეულობები გვაქვს; იმიტომ, რომ „ვისოლში“ პროფესიონალიზმი მაღალია, მათი მუშაობა ფოკუსირებულია ხარისხზე, ისინი ყოველთვის იყურებიან წინ, ისინი ყურადღებას აქცევენ დეტალებს და ბოლოს — „ვისოლი“ ფინანსურად საკმაოდ ძლიერი კომპანიაა.

სოსო ფხაკაძემ, ჩვეული იუმორით, პრესკონფერენცია კიდევ უფრო სახალისო გახადა, როცა თომას მელიას მიერ ჩამოთვლილ მიზეზებს, კიდევ ერთი დაამატა — როცა შევიტყვეთ, რომ მას ჩვენთან თანამშრომლობა უნდოდა, მის მიმართ განსაკუთრებული სითბოთი განვიმსჭვალე, ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდა საქართველოში, რადგან წარმოშობით მეგრელიაო. ამ ხუმრობაზე, ირლანდიური წარმომავლობის გვარის მქონე მელიამაც კარგად იხალისა. ფხაკაძემ კი დასძინა — სინამდვილეში, მას საქართველოსთან არანაირი კავშირი არ აქვს, მაგრამ უკვე იცის, რომ გვარი მელია, ჩვენთან, თანაც ულამაზეს კუთხეში, გავრცელებულია და ესეც ძალიან გვაახლოებსო.

თომას მელიამ ჯერ „შევრონის“ შესახებ მოგვაწოდა ამომწურავი ინფორმაცია, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ საქართველო სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა და ამ ქვეყანაში ჩამოსვლაც ღირდა.

თომას მელია: „მოხარული ვარ, რომ ჩვენი პროდუქცია საქართველოში იქნება წარმოდგენილი. ძალიან სასიხარულოა ისიც, რომ სწორედ „ვისოლ ჯგუფთან“ თანამშრომლობის შესაძლებლობა მოგვეცა — „ვისოლი“ არის ის ბრენდი, რომლის სახელთანაც „შევრონის“ ასოცირება, ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრების წარმატებული გზაა. დარწმუნებულები ვართ, რომ „შევრონის“ პრემიუმკლასის პროდუქტების შეთავაზებას „ვისოლი“ მომსახურების უმაღლესი სტანდარტებით შეძლებს, რაც დამატებით კომფორტსა და ნდობას შეუქმნის მომხმარებელს“.

„შევრონის“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ალექსანდრა რიკოვსკიმ კი ამ კომპანიის 134-წლიანი ისტორია გაგვაცნო და იმაზეც ისაუბრა, რომ დღეს „შევრონი“ ენერგეტიკის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს მსოფლიო მასშტაბით. იგი, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიისა და ბიოსაწვავის წარმოება-რეალიზაციას 61 000 თანამშრომლის დახმარებით ახორციელებს. „შევრონი“ მსოფლიოში 16 ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას და მომსახურების 20 ათასზე მეტ ცენტრს ფლობს.

ამ ფონზე, გასაკვირი არ არის „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის, ვასილ ხორავას ოპტიმიზმი — ეს თანამშრომლობა, აუცილებლად დიდი წარმატების მომტანი იქნებაო.

ვასილ ხორავა: „ვისოლის“ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა. მომხმარებელს ყოველთვის ვანებივრებთ მსგავსი სიახლეებით. ჩვენ ყოველთვის ორიენტირებული ვართ ხარისხზე. დიდხანს ვსწავლობთ კომპანიებს, ვისთანაც უნდა ასოცირდებოდეს ჩვენი სახელი. დარწმუნებული ვარ, „შევრონთან“ პარტნიორობა წარმატებული იქნება. ის ცნობადი კომპანიაა საქართველოში. ჩვენი ქსელი კი, ყველაფერს გააკეთებს ცნობადობის კიდევ უფრო გასაზრდელად. წარმატებას ვუსურვებ „ვიანორს“, რომელიც საქართველოში „შევრონის“ პროდუქციის ექსკლუზიური შემომტანი იქნება“.

„ვიაორის“ მმართველმა გურამ დაფქვიაშვილმა აგვიხსნა, რომ „შევრონის“ ზეთებისა და საპოხი მასალები საქართველოს მასშტაბით, „ვიანორის“ 18-ვე მომსახურების ცენტრში, „ტექსაკოს“ ქოლგისქვეშ გაიყიდება. თუმცა, თითოეულ მათგანს, აუცილებლად ექნება დატანებული „შევრონის“ ლოგოტიპი, რითაც პროდუქციის იდენტიფიკაციას მოახდენთ. აქ იქნება ყველანაირი ძრავის ზეთები და საპოხი მასალები, როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო მანქანებისთვის. უახლოეს მომავალში კი, „ვიანორის“ ქსელი გაფართოვდება და მაქსიმუმ 2-3 წელიწადში, მომსახურების ცენტრების რიცხვი 50-ს მიაღწევს. ასე რომ, „ვისოლის“ „ვიანორის“ საშუალებით, მალე, „შევრონის“ პროდუქციის ყიდვას, რომ იტყვიან, „ყველა ნაბიჯზე“ შეძლებთ.

ნინო ლურსმანაშვილი

ოპოზიცია

კითხვა, რომელიც დავით ბერძენიშვილს აწუხებს:

„გამოიყენა თუ არა რომელიმე პოლიტიკურმა პერსონამ ან პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დათა ახალაიას სახელი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად?“

მე-3 გვერდიდან

19 აპრილის აქცია ჩანასახშივე ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური განადგურების მანიშნებელი იყო. მას შემდეგ, რაც 19 აპრილის აქცია ორი თვით ადრე საგარეო კურსის ხაზგასასმელად დაანონსდა, ნაციონალურმა მოძრაობამ საგარეო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციას მხარი კოალიციასთან ერთად დაუჭირა. სხვათა შორის, პარლამენტშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ტენდენცია დიდი ხანია იკვეთება:

მართალია, ნაციონალები ჯერ კიდევ ფრთხილობენ, თუმცა მაინც შესამჩნევია, რომ ხშირად ერთ აზრზე ჩამოყალიბება უჭირთ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ტექსტსაც ახმოვანებენ და პოლიტიკური განცხადებებისას არც ერთნაირი ტონალობა აქვთ. კერძოდ, როცა უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, თუ სააკაშვილი განსხვავებულად მოიქცევა, ჩემი ადგილი მის გუნდში არ იქნებაო, მან ქვეყნის პრეზიდენტს საკმაოდ მოზომილად გაფრთხილების სიგნალი გაუგზავნა. ამასთან, არც კაკო ბობოხიძის განცხადება იყო შემთხვევითი, როცა თქვა — მართალია, ივანიშვილი არ მომწონს, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას არ ვეთანხმებიო.

ანუ ოპოზიციური ფლანგის საკმაოდ შემტევი დეპუტატი სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდა.

— როცა საუბრის დასაწყისში დათა ახალაიას განცხადების შემდეგ, საინტერესო პროცესის დასაწყისზე მიანიშნეთ, ნაციონალური მოძრაობის დაშლის პერსპექტივას გულისხმობდით?

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს დეპუტაციაზე სრული კონტროლის შენარჩუნება უნდა და გაცოფებულია, რომ ამ მიმართულებით მისი გუნდი ერთსულოვანი არ აღმოჩნდა. ფაქტია, საპარლამენტო უმრავლესობის დასაშლელად პირველმა ტალღამ უკვე გადაიარა, ახლა სულ ცოტა დროა იმისთვის საჭირო, რომ ეს პროცესი ნაციონალური მოძრაობის მარცხით დასრულდეს. ფაქტია ისიც, რომ უმცირესობის მაჟორიტარი დეპუტატები ნაციონალური მოძრაობის წინაშე არაფრით არიან დავალებულები, რადგან მათ საკუთარი გუნდი პირველი ოქტომბრის არჩევნებში კი არ ეხმარებოდა, პირიქით, საკუთარი არსებობით ხელს უშლიდა.

ასე რომ, სააკაშვილის მცდელობა, პოლიტიკაში ოპოზიციის ლიდერად დაბრუნდეს, სრული კრახისთვის განწირულია. საზოგადოებამ პირველ ოქტომბერს სწორედ მიხეილ სააკაშვილს უთხრა უარი, თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ ქართველ ხალხს ის არც 2008 წლის იანვარში აურჩევია პრეზიდენტად. ერთი სიტყვით, სააკაშვილი დღეს მხოლოდ პოლიტიკური ნარჩენია, რასაც „აირაისა“ და „ენდიაის“ მიერ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს.

ამ ორგანიზაციების შედეგებს შეგნებულად იმიტომ ვასახელებ, რომ ნაციონალური მოძრაობა მათ მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს.

— თუმცა „ენდიაის“ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ისიც ირკვევა, რომ არჩევნების შემდეგ მოსახლეობის 80%-სთვის არაფერი შეცვლილა, ნაწილი კი მდგომარეობის გაუარესებაზეც საუბრობს. არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა, ხალხს ნაციონალური მოძრაობის ნოსტალგიაც კი გაუჩნდეს?

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მმართველმა გუნდმა საკმაოდ აქტიურად დაიწყო სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად მუშაობა, რომლის შედეგს საზოგადოებაც მალე იხილავს. სხვათა შორის, 19 აპრილს ნაციონალურ მოძრაობას ხალხის შეკრება ნამდვილად არ გაუჭირდება. ჯერჯერობით, კიდევ არსებობს რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც მათ დაქვემდებარებაშია, კერძოდ, მერია და გუბერნატორის აპარატი, რომელშიც რამდენიმე ასეული ადამიანია დასაქმებული. აქვე უნდა ვიგულისხმოთ მათი ოჯახის წევრებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, 19 აპრილს რუსთაველზე შეიკრიბებიან, თუმცა სხვა საკითხია, იქნებიან თუ არა ისინი საკუთარ გადაწყვეტილებაში გულწრფელები. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის რესურსს მათზე შემოსავლით დამოკიდებული ადამიანები ჯერ კიდევ წარმოადგენენ, მათ ამ პოლიტიკური ჩიხიდან ვერავინ და ვერაფერი გამოიყვანს.

რატომ მიმართავს ქალაქის მთავარი არქიტექტორი საბოტაჟს?

მუნიციპალური განვითარების ფონდი მშენებლებს ხელფასს ვერ უხდის, უკმაყოფილო მუშებს კი ხელისუფლებას უპირისპირებენ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თბილისის მთავარ არქიტექტორს, გიორგი გოგოლაშვილს შორის არსებული უთანხმოების გამო, მშენებლები რამდენიმე თვეა, ხელფასს უშედეგოდ ელიან. იმისთვის, რომ მშენებელმა კუთვნილი ანაზღაურება მიიღოს, ხელფასი მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა გამოწეროს, ფონდი ხელფასს ვერ გასცემს, რადგან ამა თუ იმ პროექტის ნახაზის დასრულებული ვარიანტი არ აქვს, ეს ნახაზები კი ფონდს გიორგი გოგოლაშვილმა უნდა გადაუგზავნოს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდში კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები დანიშნეს და ესაა მიზეზი, რის გამოც, ქალაქის მთავარ არქიტექტორსა და ფონდის წარმომადგენლებს შორის უთანხმოებაა. ამ დეტალებზე „ვერსიას" არქიტექტორი ირაკლი ლობჟანიძე ესაუბრება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა თბილისში მარჯანიშვილის მოედნის, ასევე ბათუმის, მესტიის, ყვარლის, თელავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. „ვერსიასთან" საუბრისას, ირაკლი ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ახლა რთულია თქმა, რამდენი სამშენებლო კომპანია იყო ჩართული ამ პროექტებში, მაგრამ ძირითადად, ის კომპანიები მონაწილეობდნენ, რომლებიც ყოფილ მმართველ გუნდს — ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ვინმეს ყოფილი მმართველი პარტია არ მოსწონდა, შანსი არ ჰქონდა, რაიმე ტიპის პროექტში მიეღო მონაწილეობა. ირაკლი ლობჟანიძე ამბობს, რომ საუბარია რამდენიმე ათეულ მილიონ ლარზე, რაც სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა და რიგითმა მშენებლებმა, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ხელფასის სახით უნდა მიიღონ:

„პრობლემა ისაა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საპროექტო სამსახურს შორის, ფინანსური შეუთანხმებლობაა. არქიტექტორები ამბობენ, რომ ფონდს მათი ვალი აქვს და არ ასრულებენ საპროექტო სამუშაოს, რის გამოც პრობლემა მშენებლებს ექმნებათ, რადგან თანხას ვეღარ იღებენ და, საბოლოო ჯამში, ეს სიტუაცია სოციალურ უთანხმოებას იწვევს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, მუნიციპალური განვითარების ფონდი და არქიტექტორებიც კი მთავარ პროკურატურასა და ზურაბ ადეიშვილთან იყვნენ მიბმულები. არქიტექტორებსა და მშენებლებს თავზე პროკურატურის წარმომადგენლები ადგნენ და ისინი კარნახობდნენ, რა, როგორ გაეკეთებინათ. არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვალა, რადგან მუნიციპალური განვითარების ფონდში, „ქართულმა ოცნებამ" საკუთარი წარმომადგენლები დანიშნა", — გვიამბობს ირაკლი ლობჟანიძე.

მისი თქმით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მუნიციპალური განვითარების ფონდი მართალია, რადგან ფონდი რომ გარკვეულ თანხას გასცემს, აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, რეალურად, რა პროექტს აფინანსებს. ირაკლი ლობჟანიძე აცხადებს, რომ ბიუროკრატიული მხარე სამართლებრივად უნდა მოგვარდეს. მარტივად რომ ავხსნათ, მუნიციპალური განვითარების ფონდს სხვადასხვა პროექტის დასრულებული ნახაზები სჭირდება, რომელზეც თანხა უნდა გამოწეროს. მართალია, პროექტის დამკვეთი ფონდია, მაგრამ უშუალო შემსრულებელი არქიტექტურული კომპანიაა, რომელსაც თბილისის მთავარი არქიტექტორი გიორგი გოგოლაშვილი ხელმძღვანელობს:

„სამშენებლო წესის მიხედვით, როდესაც არქიტექტორი პროექტს აკეთებს, ის შემდეგ ამ პროექტის ზედამხედველობის უფლებასაც იღებს, რომ სამუშაო სწორედ მის მიერ შედგენილი პროექტით დასრულდეს. მუშაობის პროცესში, ხანდახან პროექტი იცვლება, რადგან შესაძლოა, ადგილზე აღმოჩნდეს, რომ კორექტირება აუცილებელია. სამშენებლო სამუშაოების 95% დასრულებულია და, შესაბამისად, მშენებლებს ანაზღაურებაც ეკუთვნის. პროცედურა ასეთია, მშენებელმა შესრულებული სამუშაოს მიხედვით, „ფორმა №2", ანუ შესრულებული სამუშაოების ნუსხა უნდა წარადგინოს, სადაც მითითებულია, რა მასალები გამოიყენა, რამდენი კვადრატული მეტრი ააშენა და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი, მშენებელს კუთვნილ თანხას ვერ აძლევს და მიზეზად დასრულებული პროექტის უქონლობას ასახელებს. დასრულებული პროექტის ნახაზი კი ფონდს ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა, გიორგი გოგოლაშვილმა უნდა მიაწოდოს, რომელიც ამ პროცესს აყოვნებს. ვეჭვობ, ამას პოლიტიკური მოტივაციის გამო აკეთებს, რადგან გიორგი გოგოლაშვილი ქალაქის მთავარი არქიტექტორი იყო მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავას პირობებში და თავისთავად ცხადია, პოლიტიკურად ანგაჟირებული რომ არ ყოფილიყო, ამ თანამდებობაზე არავინ ამუშავებდა, მით უმეტეს, თუ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერიც არ იქნებოდა".

„ვერსიის" კითხვაზე, ქალაქის მთავარი არქიტექტორი გიორგი გოგოლაშვილი საბოტაჟს ხომ არ მიმართავს, რადგან უკმაყოფილო მშენებლები არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპიროს, ირაკლი ლობჟანიძემ უპასუხა, რომ ასეა:

„თავისთავად ცხადია, რაც მეტი უკმაყოფილო ადამიანი იქნება, მით მეტი გამოხატავს პროტესტს. შესაძლოა, ამ ხალხმა ნაციონალების მიერ 19 აპრილს დაგეგმილ აქციაშიც კი მიიღოს მონაწილეობა. თავისთავად ცხადია, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ, კოჰაბიტაცია ან თუნდაც, ვინ, სად გაიქცა, არ აინტერესებს. მათ მხოლოდ ის უნდათ, ფონდმა შესრულებული სამუშაოს საფასური აუნაზღაუროს. სინამდვილეში, ხელფასს ვერ იღებენ, რადგან ფონდს პროექტის საბოლოო ნახაზები არ აქვს, თუმცა მშენებლებმაც და არქიტექტორებმაც ზუსტად იციან, რომ ფონდში ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობენ. რა თქმა უნდა, ისინი სწორედ მათ დაუპირისპირდებიან და ეს მართლაც, საბოტაჟია, რაც გიორგი გოგოლაშვილს ნამდვილად აწყობს".

ირაკლი ლობჟანიძემ „ვერსიას" ისიც განუცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარება მარტივად შეიძლება. მისი თქმით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს პროექტის საბოლოო ვარიანტის ნახაზი, რომელსაც უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, არქიტექტორი ხელით კი არა, კომპიუტერის სპეციალური პროგრამის საშუალებით აკეთებს. ირაკლი ლობჟანიძე ამბობს, რომ გიორგი გოგოლაშვილის სამსახურს პროექტის ნახაზები აქვს, რადგან შეუძლებელია, საპროექტო სამსახურში თაბახის ფურცლები და კარტრიჯი არ ჰქონდეთ.

შსს გიგი უგულავას ერთობლივი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნას სთავაზობს

ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილს დაგეგმილი შეკრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისის მერიასა და მანიფესტაციების ორგანიზატორებს საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის ინიციატივით მიმართავს.

როგორც შსს-ს ოფიციალურ გვერდზეა აღნიშნული, თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ წერილობითი ფორმით მიმართა თბილისის მერ გიგი უგულავას, რათა 17 აპრილამდე შეიქმნას ერთობლივი საკოორდინაციო ჯგუფი.

როგორც შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონისა და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესრულების და ურთიერთკოორდინირებული მოქმედებების დროული განხორციელების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ქ. თბილისის მერიისა და საქართველოში წარმოდგენილი უფლებადამცველი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამუშაო შეხვედრაზე იწვევს. სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო ვალდებულებას წარმოადგენს 19 აპრილს დაგეგმილი შეკრების (მანიფესტაციის) მშვიდობიანი ფორმით ჩატარება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და კოორდინირებული მოქმედებების განხორციელება.

„საკოორდინაციო ჯგუფის უმთავრესი ამოცანა იქნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და კანონით გათვალისწინებული მოქმედებების კოორდინირებულად განხორციელება, მათ შორის, მიზანმიმართული პროვოკაციებისგან თავის დაზღვევის მიზნით, რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და ეფექტიანი პრევენციული მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მანიფესტანტების, მათ შორის, იმ პირების უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს სახელმწიფოს მხრიდან დაცვას", — ნათქვამია განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი"

ბიძინა ივანიშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფება, სადაც გერმანიის მარშლის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, შედიან ასევე: პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ალექსი პეტრიაშვილი და პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი.

კონფერენციაში მონაწილეობენ: გერმანიის მარშლის ფონდის დირექტორი ქრეიგ კენედი, ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი, შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბოლდტი, ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკიევიჩი, ლატვიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, ლატვიის სეიმის ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვალდას ზატლერსი, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში ტომას მელია, USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ადმინისტრატორის ასისტენტი ჰეიჯ ალექსანდერი, ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური მრჩეველი იევა კუპჩე, უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი სვანტე კორნელი და „კოპენ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი დანიელ ფატა.

„ვერსიანიუსი"

„შენობის ნგრევა უსაფრთხოების ნორმების დარღვევით დაიწყეს, ცოცხლად მარხავენ ამ ბავშვებს და პირად შეურაცხყოფაზეც კი გადმოდიან!“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

წლების წინ, გამარტივებული სესხის აღებისა თუ ბიზნესის დაწყების ილუზიით, არაერთი მოქალაქე აღმოჩნდა ღია ცისქვეშ. ბანკებისა თუ კერძო იპოთეკარებისგან დაზარალებულმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა თავი სახელმწიფო თუ კერძო ობიექტებს შეაფარა და კვირა ისე არ გავა, რომ რომელიმე ობიექტიდან არ გამოაძევონ.

„ვერსიას“ ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ლილუაშვილი დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ მიმდინარეობს ავეჯის სავაჭრო ცენტრ „საბას“ მოპირდაპირე მხარეს, ერისთავის 8-ში, ყოფილი „ელექტროაპარატის“ ქარხნის დემონტაჟი, სადაც სოციალურად დაუცველი 120 ადამიანი ცხოვრობს. როგორც ადგილზე ვნახეთ, შენობის დემონტაჟი ისე მიმდინარეობდა, რომ არანაირი უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იყო. არც მუშები იყვნენ აღჭურვილნი შესაბამისი სამოსითა და ჩაფხუტებით. სახურავიდან ეზოში ყრიდნენ აგურებს, თუნუქის სახურავს, თანაც ისე, რომ არც ბავშვებსა და მაცხოვრებლებს ერიდებოდნენ. ტერიტორიაზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.

შენობა და მიწა კომპანია „მიწა და ქონებას“ ეკუთვნის. კომპანიის იურისტები საკმაოდ აგრესიულად განეწყნენ მაჟორიტარობის კანდიდატის მიმართ და მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, ოღონდ რა უფლებით, ეს ვერ დააკონკრეტეს. კომპანიის წარმომადგენლებმა დეპუტატობის კანდიდატს სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მიაყენეს, მათ არც ჩვენს კითხვებს უპასუხეს და ტერიტორიის დატოვება ჟურნალისტებსაც მოგვთხოვეს.

„აქ 30 ოჯახი ცხოვრობს. ჭერი გადაგვხადეს. ბავშვებიც კი არ შეიცოდეს. 120 ადამიანს ჭერს თავზე გვანგრევენ“, — მოსთქვამდა საშუალო ასაკის ქალბატონი, სოციალურად დაუცველი **ლალი კილასონია**: „7 თვის წინ შემოვედი. 3 ოჯახი 7 წელია აქ ცხოვრობს. გაუფრთხილებლად ჭერი გადაგვხადეს და გვითხრეს, თუ არ გახვალთ, არ გვედარდება, თუ გინდა, შიგაც მოყოლილხართო. რა ვქნათ, არ ვიცი?!“

ლენა შალუხაშვილი: „7 თვეა აქ ვცხოვრობ, სოციალურად დაუცველი ვარ. ორი სტუდენტი შვილი მყავს. სოციალური დახმარება რატომღაც მომიხსნეს. ბინის ქირის გადახდის საშუალება არ მაქვს. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გაუფრთხილებლად, აიპარნენ სახურავზე და ახდა დაიწყეს. აქ ბავშვები და ინვალიდი ცხოვრობს. საშიშროებაა, რომ შენობა თავზე დაგვენგრეს. თბილისის მერიასა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით მივმართეთ, მაგრამ პასუხს არ გვცემენ. კომპანიის წარმომადგენლები რომ მოვიდნენ, გვითხრეს, გვერდით შენობა უნდა დავანგრიოთო, მაგრამ სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენეს და სახურავის ნგრევა დაიწყეს. გვლანძღავენ, გვაგინებენ. ქირით ვცხოვრობდი, სოციალური დახმარება მომიხსნეს და რა ვქნა, არ ვიცი“.

მარინა აბრამიშვილი: „ამ შენობას რამდენიმე მეპატრონე ჰყავს. მოვიდა მეორე მეპატრონე და თქვა, დემონტაჟი ჩემს საწინააღმდეგოდ მიმდინარეობსო. 7 თვეა, ჩემს დედმამით ობოლ, ფეხმძიმე ძმისშვილთან ერთად ვცხოვრობ. სახურავი ფრიალ-ფრიალით მოდის და არ კითხულობენ, ბავშვს რომ დაეცეს, რა პასუხი უნდა გამცენ. ისედაც არაადამიანურ პირობებში ვართ, არც წყალი გვაქვს, არც გაზი, არც შუქი და კანალიზაცია. ეკონომიკის სამინისტროში ბეჭედიც კი ვერ ნახეს, რომ პასუხი გაგვცენ. გვაინტერესებს, ეს შენობა, რეალურად, ვის ეკუთვნის. მარტო ერთეულებს უნდა ჰქონდეთ ეს ცხოვრება და საქართველო?! სულ რომ დაიხოცონ, არ დავთმობთ საქართველოს. არსად წასვლა არ მინდა. მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში ვიყო და ფოთოლი ვჭამო“.

ეთერ სოხაშვილი: „სოციალური გაჭირვების გამო, სახლი ვალში მქონდა ჩადებული. მთავრობამ 100 000-დოლარიანი სახლი 19 000 ლარად გამიყიდა. ქუჩაში დავრჩი. 2012 წლის ოქტომბერში შემოვედით. დევნილები, სოციალურად დაუცველები, ეპილეფსიით დაავადებული ბავშვები და ინვალიდები ცხოვრობენ. ახალგაზრდა ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, სისხლის გათეთრება აქვს. ამ დროს კი, მოდიან და შენობას ანგრევენ, ამათ ადამიანობა აქვთ?! არანაირი გაფრთხილება არ მოუციათ, გვითხრეს, შენობა ჩვენია და უნდა დავანგრიოთო. სახურავი რომ გადახადეს და გადმოყარეს ძირს, მინა ჩემს მეუღლეს ხელზე დაეცა. ძალიან აგრესიულები არიან. უზრდელად გვექცევიან, გვეუბნებიან, ფეხები მომჭამეთო. რატომ, რა ღირებულება აქვს მაგათ ფეხებს, საჭმელად რომ გვთავაზობენ?! მოვითხოვთ, ვინმემ ყურადღება მოგვაქციოს. უპატრონო ძაღლებსა და კატებს იჭერენ ქუჩაში და თავშესაფარში მიჰყავთ, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და ვინმემ გვიშველოს. თუ არ ვართ ამ ქვეყნის შვილები, გვითხრას, ბატონმა ბიძინამ და წავალთ. ახალგორში გადავალ, რუსები ორ ხელს გამიშლიან და მიმიღებენ. ივანიშვილის მთავრობა იმასვე აკეთებს, რასაც სააკაშვილის მთავრობა აკეთებდა“.

ლეილა ხარაიშვილი: „2 თვის წინ, ერისთავის №8-ში, რეგისტრაცია გავაკეთე და პირადობაც ავიღე. დღეს აღმოჩნდა, რომ ეს შენობა ბალანსზე აღარ ჩანს და ბაზაში საერთოდ აღარ იძებნება. რეალურად კი, შენობა არსებობს. საკითხავია, ვინ და რატომ გააქრო ეს მისამართი ბაზიდან. სახლიც მქონდა და მიწაც, მაგრამ თაღლითების მსხვერპლი აღმოვჩნდი. კერძო იპოთეკარმა მოტყუებითა და მუქარით გადაიფორმა სვანეთის უბანში 2-სართულიანი სახლი და 520 კვმ მიწა. იპოთეკარი ვასილ ქართველიშვილი იმუქრებოდა, ადეიშვილის დეიდაშვილი ვარ და რასაც მინდა, იმას გიზამთო. ამის გამო, ისეთი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე, მუშაობაც აღარ შემიძლია“.

მარინა მახათაძე: „7 თვეა, აქ ვცხოვრობ. ჩემი 33 წლის შვილი მაკა მახათაძე ავად არის. ნერვიულობის ნიადაგზე სისხლის გათეთრება დაემართა. ახლა ფეხებიც დაუსივდა და ფრჩხილებზე სიშავე დაეწყო. 4 წელია ასეა. აქამდე ჩავარდნილი იყო, ფეხზე ვერ დგებოდა. ონკოლოგიურიდან რომ გამოწერეს, ფაქტობრივად, მკვდარი წამოვიყვანე სახლში. წამლებით ცოტა ფეხზე დავაყენე და, ჩემი დახმარებით, ერთ-ორ ნაბიჯს დგამს. წამლები სჭირდება, მაგრამ უკვე ერთი თვეა, არ მიყიდია. ბინა შვილის ავადმყოფობის გამო გავყიდე, მაგრამ ის მკურნალობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ ფონზე, სოციალური დახმარებაც მომიხსნეს. ჩემს გოგოს 12 წლის ბიჭი ჰყავს, სკოლაშიც ვერ დაგვყავს ბავშვი, რადგან არც ჩასაცმელი აქვს და არც სასკოლო ნივთების საყიდელი ფული, კარდაკარ დავდივარ სამათხოვროდ. ონკოლოგიური ავადმყოფი შვილი ნაგავსაყრელზე გადაგდებულ მატრასზე მიწევს. მე მთელი ზამთარი ბეტონის იატაკზე მეძინა. მერე ვიღაცამ კუბოს სადგომი ფიცრული მომცა და ახლა იმაზე ვწევარ. აქედან რომ გამომასახლონ, ქუჩაში აღმოვჩნდები, სხვა წასასვლელი არსად მაქვს“.

გიორგი ლილუაშვილი, ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:

„შენობის ნგრევა 13 აპრილს დაიწყეს, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით. ცოცხლად მარხავენ ამ ბავშვებს. კომპანიის წარმომადგენლები პირად შეურაცხყოფაზეც გადმოდიან. ვისი საკუთრებაა ეს შენობა, არ ამბობენ. ჩვენი ინფორმაციით, შენობა სერბ სანდრა მიშიჩს ეკუთვნის, თუმცა მას ჰყავს სხვა მეპატრონეებიც. ეს ადამიანები აქ ერთ-ერთი მეპატრონის ნებართვით არიან შესახლებულნი. კომპანიის წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, დემონტაჟის ცნობა გვაქვსო. არც სასამართლოს გადაწყვეტილება აქვთ ტერიტორიის დატოვებაზე, არც გადაწყვეტილება გასახლების შესახებ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ჯერ კიდევ 13 აპრილს, დემონტაჟის პროცესის შეჩერების აქტი დაუწერეს და გააფრთხილეს, რომ 16 აპრილამდე სამუშაოები შეჩერებულიყო, მაგრამ არც მათ ემორჩილებიან“.



ნინო კომახიძე
599-95-33-16

პირველი ოქტომბრის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, ახალი მთავრობის მიერ წარმოებულ პოლიტიკას, 19 აპრილის აქციის მიზანსა და რეალურ პრობლემებს, რაზეც „ოცნება“ დუმილს ამჯობინებს, „ვერსიისთვის“ საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის დირექტორი მარინა მუსხელიშვილი აფასებს.

„ოცნება“ ხალხთან კომუნიკაციას ვერ ახერხებს!“

მარინა მუსხელიშვილის თქმით, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული ხალხი 19 აპრილს, ნაციონალების მიტინგზე არ წავა?!

— ახალი ხელისუფლება კონკრეტული დაპირებებით მოვიდა და ამ დაპირებების განხორციელებას ინტენსიურადაც შეუდგა. მაგალითად, შეგვიძლია, გავიხსენოთ ცვლილებები საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებაში საზოგადოების სასარგებლოდ; ასევე, შეიცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, მიმდინარეობს დისკუსია თვითმმართველობის კანონის ირგვლივაც, თუმცა ყველა ეს რეფორმა სირთულეებს აწყდება. ზოგის აზრით, ეს სირთულე იმითაა განპირობებული, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ ბევრ ბერკეტს ფლობს და „ოცნებას“ ხელს უშლის, რომ ქვეყანა მართოს. მეორე მხრივ, „ოცნებას“ უჭირს, ისეთ უშედეგო დისკუსიებს, როგორიცაა მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებები, სამინისტროებში ნაციონალების კადრების ძლიერი გავლენა და ა.შ. არ გადაყვეს, თუმცა ყველაფერი ეს საერთო სურათის მხოლოდ მცირე ნაწილია. რეალური რეფორმების განხორციელება ბევრი ადამიანისა და სოციალური ჯგუფის ინტერესებთანაა დაკავშირებული — ნაწილს ურჩევნია, ეს რეფორმები მალე განხორციელდეს, ნაწილის ინტერესებში კი, რეფორმა საერთოდ არაა. ბევრი საკითხი მსჯელობასა და განსაჯაროებას მოითხოვს, მაგრამ ეს არ ხდება.

— ქალბატონო მარინა, ცოტა ხნის წინ ამბობდით, ახალი მთავრობა გადაწყვეტილებებს კულუარულად იღებსო. კვლავ ასე ფიქრობთ?

— ეს, გარკვეულწილად, მედიის პრობლემაა, რომლისთვისაც მაგალითად, 19 აპრილი უფრო საინტერესო თემაა, ვიდრე პრობლემების სიღრმისეული ანალიზი, ნაწილობრივ ხელისუფლების ბრალია, თუმცა თავიდანვე ნათელი იყო, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ, ხალხის ოპტიმისტური მოლოდინი პესიმისტურ განწყობაში გადავიდოდა და ბევრი იტყოდა, ახალი ხელისუფლება დანაპირებს არ ასრულებსო. ასეთი კრიტიკა ყველაზე მეტად ნაციონალების გულშემატკივრებისგან ისმის, რომლებიც ამბობენ, კი ბატონო, საკაშვილი არ ვარგოდა და ძველმა ხელისუფლებამ რაღაცები დააშავა, მაგრამ „ოცნებაც“ იგივე შეცდომებს იმეორებსო.

— ისე, ამას „ოცნების“ ზოგიერთი მხარდამჭერიც ამბობს...

— ეს განწყობა მათზეც ვრცელდება, ვინც იმიტომაა გულაცრუებული, რომ ვთქვათ, ნაციონალებს სამსახურებიდან არ ყრიან და ძველი მთავრობის პასუხისმგებელი პირები არ ისჯებიან.

ბევრს კი იმის შიში აქვს, რომ არსებული და ძველი ხელისუფლება ანუ ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა გარიგდება და საზოგადოება ისევ მოტყუებული დარჩება. პარადოქსი ისაა, რომ ხალხის უკმაყოფილებას „ქართული ოცნების“ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებულობა იწვევს — „ოცნება“ ისეთივე არაა, როგორიც ნაციონალური მოძრაობა იყო და მოწინააღმდეგეს იმავე მეთოდებით არ ებრძვის, რასაც მიხეილ სააკაშვილი იყენებდა, ანუ განსხვავებულობა „ოცნების“ სასარგებლოდ კი არა, საწინააღმდეგოდ მოქმედებს!

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უკავშირდება ყველაფერი ეს 19 აპრილს, ნაციონალები, როგორც ჩანს, თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ ხალხში უკმაყოფილება გაჩნდებოდა, რასაც რეიტინგის ასაწევად და პოლიტიკაში დასაბრუნებლად გამოიყენებდნენ. უკმაყოფილება მართლაც გაიზარდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკმაყოფილო ხალხი აქციაზე წავა და მხარს ნაციონალებს დაუჭერს. ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილს კი არ მთავრდება, არამედ, პირველ ოქტომბერს დამთავრდა და რომ არა მედია, ამდენ ხანს ხალხის ყურადღების ცენტრში არ იქნებოდა.

— „ოცნებაც“ უწყობს ხელს, რომ ეს ძალა და, შესაბამისად, 19 აპრილიც ყურადღების ცენტრში იყოს? ზოგი ფიქრობს, ახალ ხელისუფლებას ნაციონალების ერთადერთ ოპოზიციად არსებობა აწყობსო და ამ მოსაზრებაში ლოგიკა არის...

— ალბათ, ნაკლებად ინტრიგნული და ცინიკური ვერსიაც არსებობს. თუ პოლიტიკა მარტო ხელისუფლებაში ყოფნისა და ძალაუფლების შენარჩუნების ოსტატობაა, მაშინ ასეც იქნება, თუმცა არ მგონია, „ქართული ოცნების“ სტრატეგია მარტივ გათვლებზე გადიოდეს. საერთოდ, ყველაფერი ისე არაა, როგორც მედიაში გამოიყურება. „ქართული ოცნება“ დიდი დილემის წინაშე დგას — კონსტიტუციურ ჩარჩოებში უფრო რადიკალურად მოქმედება არ შეუძლია, გარდა ამისა, ძალა და რესურსი არ ჰყოფნის, საზოგადოებასა და მისგან წამოსულ ინიციატივებს დაეყრდნოს. „ოცნება“ ხალხთან კომუნიკაციას ვერ ახერხებს! ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა რეგიონებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, გაყიდული მიწები, თვითმმართველობის კანონი. ამ თემებმა „ქართულ ოცნებას“, რეალურად, არჩევნები მოაგებინა. როგორც კი პოლიტიკა პირად საკუთრებას ეხება, ადამიანი მაშინვე პოლიტიკურად აქტიური ხდება. წინა ხელისუფლებამ სერიოზულად დაარღვია პირადი საკუთრების უფლება, ახლა კი, ახალი ეტაპი დგება.

— თუმცა, ახალი ხელისუფლება ამ „ახალ ეტაპზე“ არ საუბრობს...

— საქმეც ესაა... რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში რეგიონებში ხდებოდა, ეკონომიკა არ ჰქვია. ახლა კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რაღაც ნაბიჯები იდგმევა, რაღაცები კეთდება, მაგრამ ეს ჯერ ისეთი სტრატეგიის სახეს არ იღებს, რომ პასუხი ყველა კითხვას გაეცეს. მაგალითად, მიწის საკითხი ერთ-ერთია, რომელზეც სახელმწიფომ სტრატეგიული გეგმა უნდა შეიმუშაოს, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები ჯერ არაა შემოთავაზებული. არადა, ეს ის სფეროა, რომელიც ყველას ყველასთან წააჩხუბებს — ყველა დონის მმართველობას, ყველა სახის მესაკუთრეს, ყველა სოფელსა და მეზობელს.

დავაკვირდეთ საზოგადოებას — მობეზრდა ნაციონალური მოძრაობა, მისი ლანძღვა, 19 აპრილი და ეს სკანდალები. მიწის საკითხი კი, ვინც საქართველოს ეკონომიკითაა დაინტერესებული ან მიწას ფლობს, ყველას აინტერესებს. რაც მთავარია, პასუხი კითხვაზე, რა ბედი ეწევა გაყიდულ მიწას, ხელისუფლების მხრიდან მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული. ეს თემა ბევრის ინტერესისა და თანაკვეთის სფეროა და იმის გამო, რომ ამ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანის გვეშინია, ხელისუფლებაც ფრთხილობს და ცდილობს, ამ საკითხზე დისკუსია გვიან წამოიწყოს, თუმცა თუ ასეთი პრობლემები არ გადაიჭრა, საბოლოო ჯამში, შეიძლება, რეფორმების ეფექტურობაზეც აისახოს. ჩემთვის დღეს ყველაზე მთავარი თემა სწორედ ესაა, 19 აპრილი კი ერთადერთს — ძირითადი საკითხიდან უინტერესო და არააქტუალურ საკითხზე ყურადღების გადატანას ნიშნავს.

— გამოდის, 19 აპრილი პრობლემური თემების არგასახსნელად და ყურადღების გადასატანად „ოცნებასაც“ აწყობს, არა?

— წარმოვიდგინოთ, რომ „ოცნებას“ 19 აპრილის ჩატარება უნდა, მაგრამ რა უნდა ქნას, ამაში რა წვლილი უნდა შეიტანოს? დაუსვით „ოცნების“ მინისტრებს მიწის გასხვისების პრობლემასთან დაკავშირებული კითხვები და ნახავთ, რომ ერთგვაროვან პასუხებს ვერ გაგცემენ, ან შეიძლება, პასუხი საერთოდ ვერ მიიღოთ. ეს სწორედ ის თემებია, რაზეც უნდა ილაპარაკოთ და რითიც უნდა „მიაწვეთ“! ყველა ხელისუფლება შეეცდება, არაპოპულარული ზომები და რეფორმები ისე გაატაროს, არ გამოჩნდეს, მაგრამ ჩვენ, საზოგადოებამ, ამის საშუალება არ უნდა მივცეთ.

სოფელ ციხისძირში სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა 7 მოქალაქე სცემეს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში, მოსახლეობასა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს შორის ინციდენტი 14 აპრილს, გვიან ღამით, მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფლის ცენტრში შეკრებილებმა სამი გასროლის ხმა, გვიან ღამით გაიგონეს.

როგორც ერთ-ერთი დაზარალებულის, ამირან დოლიძის დედა, მარინა დოლიძე ამბობს, სამი სამხედროფორმიანი პირი მისმა შვილმა ციხისძირში მცხოვრებ გაბაიძეების ოჯახში მიაცილა, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ალკოჰოლის მიღების შემდეგ სამხედროები ოჯახიდან წავიდნენ. მათ თან გაჰყვა ამირან დოლიძე, რომელიც გზაში სცემეს. როგორც მარინე დოლიძე ყვება, მის შვილს ჰკითხეს, ჯვარი თუ ჰქონდა. როდესაც აღმოაჩინეს, რომ მას ჯვარი არ ჰქონდა, ფიზიკურად გაუსწორდნენ და შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „აჭარლები და თათრების დედა ვატირე“, რის შემდეგაც მოხდა რამდენიმე გასროლა.

„ჩემმა შვილმა სამხედროები გაბაიძეების სახლში მიიყვანა. დალევის შემდეგ ისინი ჩემს შვილთან ერთად წამოვიდნენ, რომელიც გალახეს, ტუჩი გაუხეთქეს, შეურაცხყოფა მიაყენეს. შეურაცხყოფა მიაყენეს, აგრეთვე, 76 წლის კაცს და გზად მიმავალ ცოლ-ქმარს. ისინი მათ ეკითხებოდნენ, ჯვარი თუ ჰქონდათ და თუ არ ჰქონდათ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ“, — აღნიშნა მარინა დოლიძემ.

მისივე თქმით, იმავე საღამოს სამხედროებმა შვიდ ადამიანს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სოფლის ცენტრში შეკრებილი მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მათ გამოიძახეს პატრული, რომელმაც ინციდენტის ახლოს ერთი ვაზნა აღმოაჩინა. მოსახლეობა ასევე აღნიშნავს, რომ ისინი შეურაცხყოფილი არიან. მათი თქმით, სამხედროებიდან ერთ-ერთის მეუღლე აღნიშნული სოფლიდანაა, რომლის ოჯახშიც სამხედროები იმყოფებოდნენ. როგორც ბათუმის პროკურორის მოადგილე ზაზა მეტონიძემ აღნიშნა, ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს. ინციდენტში მონაწილე სამხედროები იდენტიფიცირებულები არიან.

ციხისძირში მომხდარის გამო, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ სენაკის სამხედრო პოლიციის უფროსი და რამდენიმე სამხედრო პირი სამსახურიდან დაითხოვა. როგორც სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, ციხისძირში სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა სამხედრო მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება ჩაიდინეს. რის გამოც, ინციდენტში მონაწილე სამი, სამხედრო პოლიციელი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია. სენაკის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო პოლიციელების დისციპლინა, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა სამხედრო მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება ჩაიდინეს, რის გამოც, ინციდენტში მონაწილე სამი სამხედრო პოლიციელი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია. სენაკის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო პოლიციელების დისციპლინა, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. მით უმეტეს, კანონის დაცვა ევალება მას, ვისაც სამხედრო ფორმა აცვია“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

„ვერსიანიუსი“

დედოფლისწყაროში ცოფის ახალი კერები გამოვლინდა

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

დედოფლისწყაროში, უკვე წელიწადნახევარია, ცოფის ახალი კერების გამოვლენის გამო, კარანტინი თითქმის განუწყვეტლივ მოქმედებს და ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრს შეზღუდვების გამოცხადება ყოველთვიურად უწევს. ამ სახიფათო ვითარების ფონზე, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ საკარანტინო მდგომარეობის მიუხედავად, ცოფის კერაში მცხოვრები, დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობა, ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩატარებაზე მასობრივად უარს აცხადებს. ამ ინფორმაციას დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მარიეტა გონაშვილიც ადასტურებს და ვითარებას საგანგაშოს უწოდებს.

რატომ ამბობს უარს მოსახლეობა აცრაზე და რატომ ცხადდება კარანტინი ყოველ ორ თვეში ერთხელ

„ვერსია“ დაინტერესდა, რა საფრთხეს ქმნის დაავადება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში და რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მხრიდან აცრებზე უარის თქმამ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში, მურთაზ ხუცურაულის ფერმაში, ცოფის გამოვლენის გამო, მიმდინარე წლის 7 მარტიდან საკარანტინო მდგომარეობა დაწესდა. შეზღუდვები მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი შიოლაშვილის ბრძანების საფუძველზე, ცოფის კერასა და მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებს. ცოფი სოფელ ფიროსმანში აგილ ჯაფაროვის ძაღლს ლაბორატორიულად დაუდასტურდა, ძაღლმა მსხვილფეხა პირუტყვი დაკბინა.

„ვერსიის“ ინფორმაციით, წელიწადზე მეტია, ამ ზონაში საკარანტინო მდგომარეობა თითქმის ყოველთვიურად ცხადდება. ფიროსმანსა და მის მეზობელ სოფლებში ხან ცოფის, ხანაც ჯილეხის კერები ინტენსიურად იჩენს თავს. ხშირია ჯილეხის ადამიანზე გავრცელების შემთხვევებიც. პრევენციული ღონისძიებების ჩატარების მიუხედავად, კერები რამდენიმე კვირაში ისევ აქტიურდება. სოფელი ფიროსმანი აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს და, ძირითადად, აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტებითა და ინგილოებითაა დასახლებული. როგორც „ვერსიას“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში განუცხადეს, ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონაში აიკრძალა ცხოველების გაყვანა ან სარეალიზაციოდ გადაყვანა, სურსათის სააგენტო კი ცოფიან ცხოველებთან კონტაქტირებული ცხოველების ლიკვიდაციას უზრუნველყოფს.

უკვე შეიქმნა სპეციალური შვიდკაციანი კომისია, რომელსაც გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი ხელმძღვანელობს. კომისია ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციას მოახდენს. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს კი დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და ანტირაბიული აცრების ჩატარება დაევალა. მოსახლეობა უკვე აღირიცხა, თუმცა აცრები ამ დრომდე არ დაწყებულა.

დედოფლისწყაროში საკარანტინო მდგომარეობის თითქმის ყოველთვიურად გამოცხადების გამო, მოსახლეობა პროფილაქტიკური სამუშაოების არაეფექტურობასა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ფილიალის უმოქმედობაზე საუბრობს. ამ კუთხით პრობლემების სიმრავლეზე საუბრობს ჯანდაცვის ცენტრიც. დედოფლისწყაროში არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი მარიეტა გონაშვილი. იგი გამგეობის სხდომაზე მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე საუბრობს. სოფელში ჯანდაცვის ცენტრს დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და ანტირაბიული აცრების ჩატარება დაევალა, თუმცა მედიკოსები აცრების ჩატარებას მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებენ.

მარიეტა გონაშვილი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი):

— ცოფის კერაში მოსახლეობას აცრები არ უტარდება იმიტომ, რომ თავად თქვეს უარი. განაცხადეს, დაავადებულ ცხოველთან შეხებაში არ ვყოფილვართ და აცრა ამიტომ არ გვინდაო. დეტალურად განვუმარტეთ, რა საფრთხეს შეიცავს და რა შეიძლება გამოიწვიოს აუცრელობამ, თუმცა მაინც არ ისურვეს აცრის ჩატარება. ამის შემდეგ, სხვა გზა რომ არ იყო, ხელწერილი დაგვიწერეს. არადა, მათ ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი საქონელი დაკლეს და ჩემთვის გაუგებარია, რანაირად არ ჰქონდათ შეხება, თუ ძროხის დაკვლაში მიიღეს მონაწილეობა... ცნობილია, რომ ამ ზონაში შეზღუდვები ჯერ კიდევ მოქმედებს. ჩვენი მხრიდან რაიმე სახის შეფერხება არ არის, ჯანდაცვის ცენტრში ცოფის ვაქცინა და იმუნოგლობულინი საკმარისად გვაქვს. თავის მხრივ, პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი აიცრას, ვინც დაავადებულ ცხოველთან შეხებაშია.

— გასაგებია, რომ პრევენციული ღონისძიებები მუდმივად ტარდება, თუმცა, ფაქტია, რომ დედოფლისწყაროში საკარანტინო შეზღუდვები თითქმის ყოველთვიურად ხელახლა ცხადდება. რა უნდა გაკეთდეს მუდმივმოქმედი კარანტინის დასაძლევად?

— გეთანხმებით, რომ დედოფლისწყაროში კარანტინი ყოველთვიურად მოქმედებს. ჯილეხის შემთხვევებიც არის, მაგრამ, ძირითადად, ცოფი ვლინდება.

ცოფი, ძირითადად, მაწანწალა ძაღლების მიერ ვრცელდება. აქამდე წელიწადში ერთხელ, ძაღლების საყოველთაო აცრები უფასოდ ტარდებოდა, ბოლო 4 წელია, აღარ მიმდინარეობს, რადგან ვეტსამსახურს ძალიან ძვირი უჯდებოდა და ვაქცინაცია შეწყდა. ვერსად გავექცევით, ფაქტია, რომ ხშირად ფიქსირდება ცოფი და, შესაბამისად, ხშირად ცხადდება კარანტინი. უნდა ითქვას, რომ სხვა რაიონებთან შედარებით, დედოფლისწყაროში ცოფი პირველ ადგილზეა.

თვეში ერთხელ, ყველა რაიონის წარმომადგენელი ვიკრიბებით და თათბირებს ვესწრებით. შემიძლია ვთქვა, რომ სხვებთან შედარებით, დედოფლისწყაროში ცოფის გამოვლენის შემთხვევები გაცილებით ხშირია, დაავადება ძირითადად, ცხოველებში ვლინდება. აქ პრობლემის გადასაჭრელად უნდა გვქონდეს კომპლექსური მიდგომა. აუცილებლად უნდა გადაიჭრას ქუჩაში მაწანწალა ძაღლების პრობლემა, რომელიც დედოფლისწყაროში ასე მძაფრად დგას. უნდა აღდგეს საყოველთაო აცრებიც. ინდივიდუალურად ცრიან, მაგრამ ძვირია და რადგან ვაქცინაციას მასობრივი სახე არ აქვს, ამას შესაბამისი შედეგი არ მოაქვს. თუ მაწანწალა ძაღლების პრობლემა მოგვარდება და სახლებში ყველა თავის ძაღლს აცრის, ვითარება ნამდვილად გამოსწორდება.

სოფელი ფიროსმანი ერთადერთი არ არის, სადაც ცოფის შემთხვევები ხშირია. კერა დედოფლისწყაროს სხვა სოფლებშიც ინტენსიურად იჩენს თავს. რამდენიმე თვის წინ ცოფი დაუდგინდა სოფელ ზემო მაჩხაანში იოსებ ჭიღიტაშვილის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, სოფელ საბათლოში არმენ ნალტაკიანის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, სოფელ არბოშიკში ერთ-ერთი მაცხოვრებლის ძაღლს. ეს სია საკმაოდ ვრცელია და ყველა ამ შემთხვევის დროს დედოფლისწყაროში მუდმივად ორთვიანი კარანტინი ცხადდებოდა.

როგორც მარიეტა გონაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, მაწანწალა ძაღლების კატასტროფულად მომრავლების საკითხი დედოფლისწყაროს გამგეობის თათბირზეც დააყენა და აღნიშნა, რომ ვითარება სერიოზულია. გონაშვილმა ქუჩის ძაღლების დროულად გაყვანაზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი „ვერსიასთან“ განმარტავს, პრობლემა მართლაც სერიოზულად დგას, თუმცა მისივე თქმით, ძაღლების ლიკვიდაცია დაუშვებელია და პრობლემის მოსაგვარებლად გაცილებით ჰუმანური გზები უნდა გამოინახოს. შიოლაშვილის განცხადებით, უახლოეს ხანში, კახეთის რეგიონში მაწანწალა ძაღლებისთვის ერთი თავშესაფარი აშენდება, სადაც რეგიონის მასშტაბით, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში დაჭერილ მაწანწალა ძაღლებს მოათავსებენ. ამას წინათ, დედოფლისწყაროს საკრებულოს სხდომაზე სხვადასხვა სოფლების დეპუტატებმა ღიად აღნიშნეს, რომ პრევენციული ღონისძიებებისას გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის, ვითარება რთულია და აუცილებელია, თვითმმართველობამ გაცილებით სერიოზული ნაბიჯები გადადგას. რეგიონში ძაღლების თავშესაფრის გახსნის იდეა მოსწონს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელსაც. მარიეტა გონაშვილი ფიქრობს, რომ მაწანწალა ძაღლების რაიონიდან გაყვანითა და ამასთან ერთად, ოჯახის ძაღლების მასობრივად აცრის შემთხვევაში, დედოფლისწყარო ცოფის გავრცელების პრობლემას დაამარცხებს და წამდაუწუმ საკარანტინო მდგომარეობის დაწესების აუცილებლობაც აღარ იქნება. თუმცა, ამ ეტაპზე არ კონკრეტდება, როდის აშენდება ასეთი ცენტრი.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ აქვთ პორტაბელური მოსასმენი აპარატურა“

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს მოსასმენი აპარატურა ჯერ კიდევ აქვთ და ისინი ამით სარგებლობენ. როგორც ღარიბაშვილი აცხადებს, არსებობს რისკი რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა, აუდიოჩანაწერების გაკეთება ახალ ხელისუფლებას გადააბრალონ.

„ჩემი ინფორმაციით, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ აქვთ პორტაბელური, გადასატანი მოსასმენი აპარატურა, რომლის საშუალებითაც მათ აქვთ შესაძლებლობა, მოუსმინონ რამდენიმე ადამიანს. არ გამოვრიცხავ, ვიღაცებს უსმენდნენ და შემდეგ ეს ჩვენ დაგვაბრალონ. არსებობს რისკი იმისა, რომ თვითონ გააკეთონ აუდიოჩანაწერი და თქვან, მაგალითად, ღარიბაშვილი უსმენს ჟურნალისტ ნინო სამხარაძესო. გარკვეული საბოტაჟის რისკი, თუნდაც ამ ტიპის, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა მე ეს დიდ პრობლემად არ მიმაჩნია“, — აცხადებს ღარიბაშვილი.

„ნიუსპრესი“

შსს-მ უმაღლესი სასწავლებლის ყოფილი რექტორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადების ბრალდებით, 1949 წელს დაბადებული ანზორ ჩ. და 1954 წელს დაბადებული თამაზ ხ. დააკავეს.

როგორც შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა აღნიშნული, გამოძიებამ დაადგინა, რომ ანზორ ჩ-მ მოქალაქეს დიპლომის დამზადების სანაცვლოდ 2800 ამერიკული დოლარი მოსთხოვა, ამ თანხიდან 300 დოლარი ავანსად დაიტოვა, ხოლო დიპლომის დამზადება თანამზრახველს, ერთ-ერთი გაუქმებული უმაღლესი სასწავლებლის ყოფილ რექტორ თამაზ ხ-ს სთხოვა.

სამართალდამცველებმა ანზორ ჩ. მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როცა მან მოქალაქეს დარჩენილი 2500 აშშ დოლარი გამოართვა და დამზადებული ყალბი დიპლომი გადასცა, ხოლო თამაზ ხ. ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს. თამაზ ხ-ს ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მოქალაქის მიერ გადახდილი 300 აშშ დოლარი, მისი 3 ფოტოსურათი, პირადობის მოწმობის და ატესტატის ასლები, ასევე 19 შეუვსებელი ყალბი დიპლომი ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, შეძენა, შენახვა, გასაღების ან გამოყენების მიზნით) მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

რა ეშველება ქართულ მეტალურგიას?

მერაბ ბერიძე

რატომ ჩაკვდა ქართული მეტალურგია, რატომ ფიქრობდა შევარდნაძე, რომ დარგს საქართველოში მომავალი არ ჰქონდა, რა გააკეთეს ძმებმა ბეჟუაშვილებმა და ჯოზეფ კეიმ წარმოების ფეხზე დასაყენებლად, რა ხდება სამეცნიერო მიმართულებით, ამ საკითხებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მეტალურგიის სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილ ხელმძღვანელს, ექსპრემიერს თენგიზ სიგუას ვესაუბრებით, რომელიც აცხადებს, რომ „ქართული მეტალურგია თითქმის ჩამკვდარია. ერთადერთი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მუშაობს“.

— 80-იან წლებში 500 ათას ტონა ფეროშენადნობს ადნობდა ზესტაფონის ქარხანა. ახლა, მაქსიმალური წარმოება 100 ათას ტონას შეადგენს, ოც პროცენტს იმისას, რაც ადრე იყო. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ადნობდა მილიონ სამასი ათას ტონა ფოლადს. დღეს ეს მაჩვენებელი ნულს არ სცდება. დარგის განადგურება, დიდწილად, შევარდნაძის დანაშაულებრივ დამოკიდებულებას უკავშირდება. მან სულ მიაგდო როგორც სოფლის მეურნეობა, ისე მრეწველობა. რასაკვირველია, 80-იანი წლების დონე ვერაფრით შენარჩუნდებოდა, მაგრამ ფეროშენადნობების წარმოება, სადღაც 150-200 ათას ტონამდე უნდა ავიდეს, ნამდვილად შესაძლებელია. თან ეს პროდუქცია იყიდება. საქართველოს დღევანდელ ექსპორტში პირველ ადგილზე სწორედ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ნაწარმია.

ბუნებრივია, რუსთავს მილიონნახევარი ტონა ფოლადის გამოდნობის შესაძლებლობა აღარ ექნებოდა; მაგრამ რუსთავის სპეციფიკა არის სანავთობო სორტამენტის მილების გამოშვება, რომელზეც დღეს მსოფლიო ბაზარზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა, ამიტომ ჩემი გაანგარიშებით, დაახლოებით, 300-350 ათასი ტონა მაინც უნდა გამომდნარიყო. თან, საქმე ისაა, რომ საჭირო დანადგარები ადგილზე არის, ასაშენებელი არაფერი იყო, ელექტროღუმელების გარდა. ყველა დანადგარი-მოწყობილობა სახეზეა და, რაც მთავარია, მაღალი დონის სპეციალისტებიც არიან. მათ შეეძლოთ, სულ ცოტა, 150-200 ათასი ტონა სანავთობო სორტამენტის მილების წარმოება, რომელიც დღეს მსოფლიო ბაზარზე ძალიან ძვირად იყიდება.

— მაშინ, რატომ არ ექცევა ამ მიმართულებას სათანადო ყურადღება?

— ამაში, რასაკვირველია, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ჯერ შევარდნაძემ ჩააგდო ეს საკითხი, მომდევნო ხელისუფლებისას, თუ არ ვცდები, ძმებმა ბეჟუაშვილებმა ცხვირი ჩაყვეს და, რეალურად, არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ აეშენებინათ ორი ელექტროღუმელი, ეწარმოებინათ ელექტროფოლადი და მერე, დანარჩენი საგლინავი დანადგარები. ყველაფერი ადგილზევეა, მაღალკვალიფიციური მუშახელიც. თავის დროზე, გურამ ქაშაკაშვილის დირექტორობისას, ეს საკითხები დაწვრილებით დამუშავდა. დაიწყო კიდევაც ელექტროღუმელების მშენებლობა, მერე კი შეაჩერეს და ჩაკლეს ყველაფერი.

— შევარდნაძე რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როცა ფეროს საერთოდ არ მიაქცია ყურადღება?

— საქართველოში მეტალურგიას მომავალი არ აქვსო, თქვა შევარდნაძემ. მისი მხრიდან ეს სულელური განცხადება იყო. შევარდნაძეს ეკონომიკა საერთოდ არ ესმოდა, გაგებაში არ იყო ამ სფეროში მიმდინარე პროცესების. სააკაშვილის პერიოდში კი, ძმებმა ბეჟუაშვილებმა ხელში ჩაიგდეს ეს ქარხანა და არანაირი პროგრესი არ ყოფილა. ერთი პერიოდი, ქარხანას აწგარდაცვლილი პატარკაციშვილის, თუ არ ვცდები, დეიდაშვილი ჯოზეფ კეი აკონტროლებდა. მასაც არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ქარხანას რაღაც მიმართულებით მაინც წინ გადაედგა ნაბიჯი. ვიმეორებ, საჭიროა იმ გეგმის განხორციელება, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა ქარხნის ყოფილ ხელმძღვანელობას, კერძოდ წარმოების ყოფილ დირექტორს, გურამ ქაშაკაშვილს. მისი ხორცშესხმის შემთხვევაში, ქარხანა ფეხზე დადგება და საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს.

— ქაშაკაშვილი რუსთავის დეპუტატ ძიძიგურთან ერთად ბიძინა ივანიშვილს შეხვდა, ელით თუ არა პროგრესს, უკვე ამ ხელისუფლების პირობებში?

— რომ შეხვდა, ვიცი, მაგრამ იყო თუ არა ამ თემაზე საუბარი, ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა და ვერაფერს გეტყვით. ძალიან კარგი იქნება, თუ ივანიშვილი დარგს სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ქაშაკაშვილის პროექტი განხორციელდება. ქარხანა ფეხზე დადგება და, რაც მთავარია, ხალხი დასაქმდება. რუსთავის მეტალურგია ყველაზე დიდი წარმოება იყო საქართველოში. 11,5 ათასი კაცი მუშაობდა. დღეს რა ხდება, ამაზე საუბარიც არ ღირს.

— სამეცნიერო მიმართულება რა დონეზე დგას დღეს?

— მთავარი სამეცნიერო დაწესებულება იყო მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. აკადემია ხომ საერთოდ დაიშალა და აკადემიური ინსტიტუტები გაინაწილეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა. მეტალურგიის ინსტიტუტი დღეისთვის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია და ასრულებს მის დაკვეთებს, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებითაც ჩამკვდარია. სისტემაში 800 კაცი მუშაობდა და დღეს 120 დარჩა.

— რამდენად გამართლებული იყო უწყების თავდაცვის სისტემაში გადატანა?

— მიმაჩნია, რომ სწორი იყო და გეტყვით, რატომაც; ყოფილი აკადემიური ინსტიტუტები სულს ღაფავს, სასაცილო ხელფასები გაიცემა. პროფესორი, დოქტორი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 200-250 ლარს იღებს. თავდაცვის სამინისტროში ორ-სამჯერ, ზოგ შემთხვევაში, ოთხჯერ მაღალი ხელფასებია, ამიტომ დაინტერესებაც უფრო მეტია. ზოგადად კი, სამეცნიერო მიმართულების ყველა სფერო საქართველოში სულს ღაფავს.

— ამ ფონზე, ფიქრობთ, რომ მაინც აქვს მომავალი მეტალურგიას საქართველოში?

— რასაკვირველია, აქვს. ტრაბახით არ ვამბობ, ჩვენი ინსტიტუტი ერთ-ერთი მოწინავე იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. არაერთხელ მიგვიღია საკავშირო, გარდამავალი ჯილდოები. ზოგჯერ უარს ვამბობდი აქაურ საბიუჯეტო ხელფასების მიღებაზე, იმდენი შეკვეთები გვქონდა საზღვარგარეთიდან. უამრავი გამოგონება და საავტორო უფლება გვქონდა მოპოვებული. იყო პერიოდი, როცა მათ ვყიდდით გერმანიაში, ინდოეთში, უნგრეთში, პოლონეთში; სად არ გვაქვს გაყიდული ეს გამოგონებები. მსგავსი აღარაფერი ხდება.

— რამდენად არის ასეთი კავშირების აღდგენის, განვითარების საშუალება?

— როგორ არ არის. საუბარია იგივე გერმანულ, რუსულ, უკრაინულ ორგანიზაციებზე; ახლა, ამერიკულ მხარესთან მიდის მუშაობა სამეცნიერო ხელშეკრულების გაფორმებაზე, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯებია, გამოცოცხლებისკენ მცდელობა. თუ ადგილზე ხელისუფლების ხელშეწყობა არ იქნება, ყველაფერი ისევ დავიწყებას მიეცემა.

მოსასმენი აპარატურის შემოტანისა და შსს-დან მისი უკანონოდ გატანის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს

სამართალდამცველები მოსასმენი აპარატურის შემოტანისა და შს სამინისტროდან მისი უკანონოდ გატანის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიებას აწარმოებენ. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორი ბრძანებულება გამოსცა (№924 და №925), რომლებითაც სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გადაეცა. პრეზიდენტმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანებულებაში ცვლილება შეიტანა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვის სფეროში შემავალ „სახელისუფლო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს“ უკავშირდებოდა და სწორედ ამ ცვლილებების თანახმად, აღნიშნული სააგენტოს საქმიანობას შსს ვეღარ აკონტროლებს.

რაც შეეხება „სახელისუფლო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს“ ფუნქციას, აღსანიშნავია, რომ მისი ამოცანაა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს სახელისუფლო სპეციალური კავშირების სისტემის ფუნქციონირება, განვითარება და მართვა, განახორციელოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა. სააგენტო თავისი ამოცანების შესასრულებლად ფლობს და განკარგავს სახელისუფლო სპეციალური კავშირების სისტემას, რომლის სტატუსსა და გამოყენების წესს განსაზღვრავს პრეზიდენტი. სააგენტო სახელისუფლო სპეციალური კავშირების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს — ქვეყნის უმაღლესი და მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მუდმივი ან დროებითი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლას დახურული კავშირით, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით სახელისუფლებო სპეციალური კავშირების ქსელის შიგნით; სახელისუფლებო სპეციალური კავშირების ქსელის შიგნით, სახელმწიფო ხელისუფლების იმ დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ საქმისწარმოებას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც საიდუმლო, ასევე ღია ინფორმაციის გაცვლის ოპერატიულობას, დაცულობასა და საიმედოობას; საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის დახურული კავშირით; სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის აბონენტებს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით, მონაცემთა გადაცემის სერვისით, ასევე ტექნიკური პირობების არსებობის შემთხვევაში — ინტერნეტით. სწორედ აღნიშნული სააგენტო შსს-ს გამოეყო და მთლიანად სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაექვემდებარა.

გარდა ამისა, „პირველის“ ინფორმაციით, შსს-დან მიხეილ სააკაშვილის უშუალო მითითებით, სპეცდანიშნულების მოსასმენი ტექნიკა გაიტანეს, რომელიც იმ ფონდების მეშვეობით იყო შეძენილი, რომელიც ბიზნესმენებისთვის შეწერილი ფულით ივსებოდა და არც შსს-სა და საერთოდ, არც ერთი სახელმწიფო უწყების ბალანსზე არ ირიცხებოდა. ის, რომ მოსასმენი აპარატურის შემოტანისა და შს სამინისტროდან მისი უკანონოდ გატანის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, „პირველს“ შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. რაც შეეხება იმას, შეიცვალა თუ არა სპეცკავშირების თანამშრომლები, გიორგობიანის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაციას არ ფლობს, რადგან ეს სააგენტო შსს-ს დაქვემდებარებაში აღარაა. ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლები კი, შსს-ს პრესსამსახურის უფროსის ცნობით, არ შეცვლილან. „პირველის“ ინფორმაციით, არჩევნების შემდეგ სპეცკავშირების განყოფილებაში არც ერთი თანამშრომელი არ შეცვლილა, რადგან ისინი არიან კვალიფიციური კადრები, თუმცა ბევრ მათგანს ვანო მერაბიშვილთან კავშირი ახლაც გააჩნია. მათ აქვთ შესაძლებლობა, უკანონოდ მოუსმინონ ნებისმიერ მოქალაქეს, ხოლო ეს ჩანაწერები მერაბიშვილს გადასცენ. ასევე „პირველის“ ინფორმაციით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სპეცკავშირის ორი ყოფილი თანამშრომელი — ვინმე ნ.ს და „ჰაკერაა“ დაპატიმრებული. მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, შსს-ს ოპერატიული სამსახურის თანამშრომლის ზურაბ თუთბერიძის, იგივე „ჰაკერას“ საქმე გრიფით „საიდუმლოა“, რადგან საგამოძიებო მოქმედებები საფრთხის შემცველია. პროკურორის თქმით, „ჰაკერას“ წინააღმდეგ საქმე სსკ 332-ე თუ 333-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. გარდა ამისა, სააგენტოს ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში გარკვეული პიროვნება ახალ ხელისუფლებას უკანონო მოსმენებში დაადანაშაულებს. გეგმის თანახმად, ის განაცხადებს, რომ შსს-ს სპეცკავშირში მუშაობს და მას მოქმედი ხელისუფლება უკანონო მოსმენებს ავალებს. ამის დასადასტურებლად და უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის კი შესაძლოა, სავარაუდოდ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების უკანონო ჩანაწერები გამოქვეყნდეს.

„პირველი“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ფრანსისკო I — პაპი „ქვეყნიერების დასასრულიდან“

როგორ აპირებს სამყაროს შეცვლას, რატომ დაუპირისპირდა არგენტინის პრეზიდენტს, ჰქონდა თუ არა კავშირი ხუნტასთან და მონაწილეობდა თუ არა 2 იეზუიტი მღვდლის გატაცებაში

„რევოლუციური და გრანდიოზული მოვლენა“, „დახურულ სივრცეში ახალი ჰაერის შემოვარდნა, რომელიც ასე ჭირდებოდა ეკლესიას“, — რომის პაპად 76 წლის ხორხე მარიო ბერგოლიოს არჩევა ასე შეაფასეს. ფრანსისკო პირველი იეზუიტი და პირველი ლათინოამერიკელი პაპია.

თავმდაბლობა და მოკრძალება — ეს ორი მთავარი თვისებაა, რომლითაც მრევლი მონუსხა. უბრალოების დემონსტრირებას ახდენს არჩევის წუთიდან — ავტობუსით იმგზავრა სასტუმრომდე, სადაც ბუენოს-აირესიდან ჩამოფრენისას დაბინავდა და ანგარიშიც თავად აანაზღაურა. მისი თავმდაბლობისა და მოკრძალების კიდევ ერთი გამოვლინების მომსწრენი 28 აპრილს გავხდებით — აღდგომის წინა, დიდ ხუთშაბათს, პაპი რომის მახლობლად მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 12 არასრულწლოვან დამნაშავეს ფეხს დაბანს. ზოგადად, ფეხბანის რიტუალი, წესისამებრ, ყოველ წელს სრულდება რომის კათოლიკურ ეკლესიაში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძარში, სადაც რომის პაპი ფეხს 12 მოძღვარს ბანს. ამჯერად, ტრადიცია დაირღვევა. ამ გადაწყვეტილებამ მრევლი აღაფრთოვანა, სამაგიეროდ, არ გაკვირვებიათ მათ, ვისაც ახსოვს, რომ ასეთივე თავმდაბალი იყო ბერგოლიო კარდინალობის დროს და ჯერ კიდევ 2001 წელს, მან ფეხი შიდსით დაავადებულ 12 ადამიანს დაბანა.

ერთ-ერთ პირველ ქადაგებაში, 150 ათასი მსმენელის წინაშე განაცხადა, რომ მოწყალების გრძნობა ცვლის სამყაროს, ღმერთი მიმტევებელია და არასოდეს ეტყვის უარს ადამიანს პატიებაზე... და რადგან ასეა, შევცვალოთ ყველამ ერთად სამყარო — ეს ფრანსისკო I-ის ერთ-ერთი პირველი მოწოდებაა.

„აუცილებლად უნდა გავხდე მღვდელი!“

იტალიელი ემიგრანტის, სარკინიგზო მუშის 5-შვილიან ოჯახში ნაბოლარაა. დაიბადა 1936 წლის 17 დეკემბერს, არგენტინაში, ბუენოს-აირესში. ამბობენ, უცნაური ბავშვი იყოო — ადრეულ ასაკში, თამაშზე მეტად, სიამოვნებას ის ანიჭებდა, გარშემმყოფებს რამეში რომ დაეხმარებოდა, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ადამიანების გვერდით დგომას უკეთ შეძლებდა, თუ ძლიერი და წარმატებული იქნებოდა. 20 წლის ასაკში პნევმონიით დაავადდა და მძიმე ოპერაცია გადაიტანა — მარჯვენა ფილტვის ნაწილი ამოკვეთეს, რამაც მის ფსიქოლოგიაში გარდატეხა მოახდინა 21 წლისამ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — „აუცილებლად უნდა გავხდე მღვდელი!“

არადა, მანამდე სრულფასოვნად დაეუფლა ტექნიკურ მეცნიერებებს და ქიმიკოს-ტექნოლოგის დიპლომიც აიღო.

1958 წლის 11 მარტს „იეზოს საზოგადოებაში“ განწესდა. მოგვიანებით, სან-მიგელის მასიმო სან-ხოსეს კოლეჯში, ფილოსოფიაში ლიცენციატის ხარისხი მიიღო, შემდეგ კი სანტა-ფესლამაკულადის კოლეჯსა და ბუენოს-აირესის სალვადორის უნივერსიტეტში ლიტერატურა და ფსიქოლოგია შეისწავლა.

1969 წლის 13 დეკემბერს არქიეპისკოპოსმა რამონ ხოსე კასტელიანომ ბერ-მონაზვნად აღკვეცა. პარალელურად, სწავლა განაგრძო სან-მიგელის სემინარიაში, ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკულტეტებზე. აქვე, თეოლოგიის პროფესორის ხარისხი მიიღო და 1980-1986 წლებში ამ სემინარიის რექტორიც გახლდათ. სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში დაიცვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კორდობაში დაიწყო მოძღვრად მსახური.

1992 წლის ივნისში, ბერგოლიო არქიეპისკოპოსმა და კარდინალმა ანტონიო კვარფასინომ ეპისკოპოსად აკურთხეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ კარდინალი კვარასინო ავადმყოფობის გამო მალე დაასრულებდა მოღვაწეობას და მემკვიდრედ ბერგოლიო დაასახელეს. კარგახანს, ავადმყოფ კარდინალ კვარასინოს მოვალეობას ასრულებდა, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი, 1998 წლის 28 თებერვლიდან, ჯერ ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი გახდა, შემდეგ კი კარდინალის სტატუსი ოფიციალურად მიიღო 2001 წლის 21 თებერვალს, ვატიკანში, პაპ იოანე პავლე II-ს მიერ.

კარდინალობიდან პაპობამდე

კარდინალი ბერგოლიო ერთბაშად რამდენიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნეს — იყო სასულიერო საქმეების, ღვთისმსახურებისა და საიდუმლოებების დისციპლინის... კონგრეგაციის წევრი. სახელი გაითქვა კონსერვატიზმით, სამართლიანობით, საქმისადმი ერთგულებით. ამბობენ, გაჭირვებაში გატარებულმა ბავშვობამ სამუდამო დაღი დაასვა, რაც მის ცხოვრებაზე აისახაო და მაგალითად ის მოჰყავთ, რომ ბერგოლიოს არ უყვარს ფუფუნება. ყოველთვის მოკრძალებულად ცხოვრობდა, რაც კიდევ უფრო ამაღლებდა მის იმიჯს. დასახლდა პატარა ბინაში, რომელიც არაფრით ჰგავდა არქიეპისკოპოსის სასახლეს, უარი თქვა ლიმუზინისა და მძღოლზე, გადაადგილდებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და როგორც ამბობენ, თავად იმზადებდა კერძებს.

2005 წლის 15 აპრილს, ერთ-ერთმა ადვოკატმა ბერგოლიოს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კარდინალი ხუნტასთან გარიგებაში დაადანაშაულა. ადვოკატი ამტკიცებდა, თითქოს 1976 წელს, ბერგოლიო მონაწილეობდა გახმაურებულ საქმეში, როცა გაიტაცეს 2 იეზუიტი მღვდელი. მაშინ ბერგოლიოს არც „დანაშაული“ დაუმტკიცდა და ამ ამბავმა ვერც მისი რეპუტაცია შელახა.

იოანე პავლე II-ს გარდაცვალების შემდეგ, ბერგოლიო ვატიკანში გამოიძახეს, რათა მონაწილეობა მიეღო პაპის კონკლავში. 2005 წელს, კარდინალი ბერგოლიო პაპობის კანდიდატია და მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, რომის პაპი კარდინალი იოზეფ რაცინგერი გახდა. მოგვიანებით, ერთ-ერთი კანდიდატის ჩანაწერები გამოქვეყნდა. „ანონიმურ დღიურში“ მოთხრობილია, რომ რაცინგერის მთავარმა კონკურენტმა ბერგოლიომ მესამე ტურის წარმატებით გადალახვის შემდეგ, მოულოდნელად, ფარ-ხმლის დაყრა გადაწყვიტა და ფაქტობრივად, დაუთმო მოწინააღმდეგეს. კანდიდატ ბერგოლიოს ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, მისი დამარცხება, პრაქტიკულად შეუძლებელი იყოო.

სამაგიეროდ, ფარ-ხმალი აღარ დაყარა და პაპობა არავის დაუთმო 2013 წელს, როცა გადამდგარი ბენედიქტ XVI შეცვალა.

„მე ამირჩიეს ქვეყნიერების დასასრულიდან“

2013 წლის მე-3 თვის 13-ში, იტალიის დროით 19:06 წუთზე, სიქსტის კაპელაში დამონტაჟებული ბუხრიდან თეთრი კვამლი ამოვიდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა ბარიერი გადალახა და მინიმალურ ზღვარს, 77 ხმას გადააჭარბა. პაპის არჩევნებში 48 ქვეყნიდან 115 კარდინალი მონაწილეობდა. მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი – 28 კარდინალი, იტალიას ჰყავდა, 11 კი – აშშ-ს. გამარჯვება 76 წლის იეზუიტმა, ხორხე მარიო ბერგოლიომ მოიპოვა, რომელიც რომის 266-ე პაპი გახდა, პირველი იეზუიტი პაპი სამხრეთ ამერიკიდან. გამარჯვების შემდეგ ხორხე მარიო ბერგოლიომ, წმინდა ფრანსისკ ასიზელის პატივსაცემად, აირჩია სახელი ფრანსისკო და ამ სახელის გამოყენებაც, პაპების ისტორიაში პირველად მოხდა.

არჩევის შემდეგ პაპი ფრანსისკო, ტრადიციისამებრ განმარტოვდა, რათა დაკისრებული პასუხისმგებლობა უკეთ გაეცნობიერებინა, შემდეგ აივანზე გამოჩნდა და მრევლს მიმართა. განსაკუთრებული ლოცვით მოიხსენია „ემერიტუს პაპი“ ანუ გადამდგარი საპატიო პაპი ბენედიქტე, ხოლო შემდეგ სთხოვა წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ათობით ათასს მორწმუნეს იქვე, ჩუმად ელოცათ მისთვის. „ვენგო დალლა ფინე დელ მონდო“ – „ამირჩიეს ქვეყნიერების დასასრულიდან...“ — ეს იყო ერთ-ერთი პირველი წინადადება, რომელიც ბერგოლიომ პაპის რანგში წარმოთქვა.

19 მარტს, რომში საზეიმო მესა გაიმართა, რომლითაც პაპი ფრანსისკოს წმინდა საყდრის ტახტზე ასვლა ოფიციალურად გაფორმდა. ფრანსისკომ მანქანით წმინდა პეტრეს მოედანს შემოუარა, მორწმუნეებს მიესალმა და დალოცა. ქადაგების შემდეგ მას ბატკნის მატყლისგან შეკერილი პაპის მანტია მოასხეს და გადასცეს მეთევზის ბეჭედი წმინდა პავლეს გამოსახულებით, რომელსაც ორი გასაღები უპყრია ხელთ. მოგვიანებით, საეკლესიო გუნდმა ცნობილი „გლორია“ შეასრულა და პაპმა დღის ლოცვა წაიკითხა. შემდეგ წაიკითხეს სპეციალური ადგილები ძველი და ახალი აღთქმიდან. ამას ახალი პონტიფიკოსის ქადაგება მოჰყვა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ღარიბებზე გამახვილდა. პაპმა ფრანსისკომ მათზე ზრუნვის პირობა დადო და განაცხადა, რომ სურს, კათოლიკური ეკლესია ღარიბების დამცველი ღარიბი ეკლესია იყოს. მან არაფორმალური ურთიერთობის სტილი აირჩია და წინასწარ დაწერილი გამოსვლების ნაცვლად, მოკლე იმპროვიზებული ქადაგებით კმაყოფილდება.

პაპის სურვილით, ცერემონია ნაკლებად პომპეზურად ჩატარდა, ვიდრე ბოლო რამდენიმე მსგავსი ცერემონია უკანასკნელ ათწლეულებში. განაცხადა, რომ წინამორბედებზე მოკრძალებული იქნება, რაც ქცევაზეც აისახა და აქსესუარებზეც. მისი ბეჭედი, ოქროს ნაცვლად, ვერცხლისაა, ოღონდ მოოქროვილი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვატიკანში, რეზიდენციაში, ფრანსისკომ პაპის ძვირფასი ტახტი უბრალო სავარძლით შეაცვლევინა.

23 მარტს ფრანსისკო ბენედიქტ XVI-ს საკუთარ რეზიდენციაში, განდოლფ კასტელში სატრაპეზოდ ეწვია. ეს პირველი შემთხვევა იყო ისტორიაში, როცა ახალი პაპი წინამორბედს შეხვდა.

აბორტების მტერი „ოპოზიციონერი“

აბორტების კატეგორიული წინააღმდეგია, ეწინააღმდეგება, ჰომოსექსუალიზმსაც, თუმცა მიიჩნევს, რომ ისინიც იმსახურებენ პატივისცემას. არ ეთანხმება კანონს, რომელიც 2010 წელს მიიღო არგენტინის მთავრობამ და ერთი სქესის წარმომადგენლების ქორწინება დაუშვა. კანონპროექტის დამტკიცებამდე მან ვრცელი წერილიც გამოაქვეყნა: „მოდი, ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი. ჩვენ არ ვსაუბრობთ უბრალო პოლიტიკაზე, ესაა დამანგრეველი პრეტენზიები უფლის გეგმის წინააღმდეგ. არ ვსაუბრობთ უბრალო კანონპროექტზე — ესაა მაქინაცია, რომელიც ცდილობს, დააბნიოს და მოატყუოს უფლის შვილები“. მოგვიანებით, პაპი გეების მიერ შვილის აყვანის საკითხსაც გამოეხმაურა და საჯაროდ განაცხადა, რომ ეს ბავშვების დისკრიმინაციის ერთ-ერთი საზარელი ფორმაა. ის ასევე ეწინააღმდეგება ქვეყანაში კონტრაცეპტივების გავრცელებას. ხელისუფლების კრიტიკამ არგენტინის პრეზიდენტი, კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი გააღიზიანა და განაცხადა — ეკლესიის ტონი შუასაუკუნეებსა და ინკვიზიციას მაგონებსო. თავად ბერგოლიოს კი, „ოპოზიციონერის“ ტიტული მიანიჭეს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თანაუგრძნობს ღარიბებს, არ აკეთებს აქცენტს სოციალური სამართლიანობის აღდგენაზე, რამაც ბევრი მკვლევარი უკვე გააოცა.

ზოგადად, პოლიტიკაში კარგად ერკვევა, საგარეო პოლიტიკასაც მუდმივად ადევნებდა თვალს და სხვა ქვეყნების ხელისუფლებებს მითითებებსაც აძლევდა — თურქეთს მოუწოდა, სომხების 1915 წლის გენოციდი ეღიარებინა.

მართლმადიდებლების მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას გამოხატავს და ეს პოზიცია ჯერ კიდევ კარდინალობისას დააფიქსირა და ღიად მოუწოდა ხელისუფლებას, მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური ნაწილისთვის მხარი დაეჭირა.

ამბობს, რომ ყველაზე მეტად უყვარს ფეხბურთი და არგენტინული ტანგო, არგენტინული საფეხბურთო კლუბის, სან-ლირენსოს თაყვანისმცემელია, გაურბის ყურადღების ცენტრში ყოფნას და ყველაზე უსიამოვნო შეგრძნებას აღძრავს სიტყვები — პოლიტიკოსი, კორუფცია, სიღატაკე, უსამართლობა.

ესპანურის გარდა, თავისუფლად საუბრობს იტალიურ და გერმანულ ენებზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიმბოლოებს, ყოველთვის ხალისიანია და ნებისმიერ მომენტში შეუძლია სიცოცხლით დატკბეს, შეუძლია, უფლის მადლობელი იყოს ყოველი დღისთვის... ამბობენ, რომ მის თვისებას — იყოს სიცოცხლისმოყვარული და ხალასი, ვერც დრომ დააკლო რამე, ვერც ცხოვრების მწარე გაკვეთილებმა და ვერც ასაკმა... თავმდაბლობასა და მოკრძალებასთან ერთად, სნორედ ამ თვისებების გამო მრევლმა ადვილად იწამა და შეიყვარა პაპი ფრანსისკო.

გიორგი ბარათაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის თანამდებობაზე აღადგინეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობაზე აღადგინეს. აღნიშნული გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო. ბარათაშვილი თანამდებობაზე დაბრუნებას ადასტურებს და აცხადებს, რომ ბორდ-ის გადაწყვეტილებას ელოდება. სასამართლომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება გიორგი ბარათაშვილის გათავისუფლების შესახებ ბათილად სცნო და ბარათაშვილი გენდირექტორის თანამდებობაზე აღადგინა. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ მაუწყებელს ბარათაშვილის სასარგებლოდ, 5 500 ლარის გადახდა დაეკისრა. გიორგი ბარათაშვილმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების პარალელურად, ახალი დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შეჩერება მოითხოვა. გიორგი ბარათაშვილი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა, რომლის საფუძველზეც ის თანამდებობიდან გათავისუფლდა.

„ნიუსპრესი“

ვინ მალავს მილიარდებს ოფშორების „შავ ხვრელებში“

Offshore Leaks — ახალი ვიკილიქსი

ზურაბ გამრეკელი

აპრილის დასაწყისიდან მიმდინარეობს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფინანსური სკანდალი. საგამოძიებო ჟურნალისტიკის საერთაშორისო კონსორციუმმა (ICIJ) ახლახან დაიწყო „ოფშორული ფულის მსოფლიო პროექტის“ მასალების გამოქვეყნება. მოკვლევა 15 თვის მანძილზე, 40 ქვეყნის ჟურნალისტის ძალებით მიმდინარეობდა. მასალებიდან ცხადია, რომ მსოფლიო სიმდიდრის მესამედი ოფშორებთანაა დაკავშირებული. ამ მასალებიდან საინტერესოა რუსეთში „მაგნიტსკის სიაში“ არსებული მაღალჩინოსნების ოფშორული კომპანიები და აზერბაიჯანის პრეზიდენტთან დაკავშირებული სამშენებლო ოფშორული ფირმები.

სენსაცია ოფშორულ ზონებში „შავი ფულისა“ და დაუბეგრავი შემოსავლების დამალვის შესახებ, ერთ წელზე მეტია მზადდებოდა. ICIJ-ს მიერ გამოვლენილია 30 ათასზე მეტი ადამიანის სია 170 ქვეყნიდან. დამუშავდა 2.5 მლნ ელექტრონული და ჩვეულებრივი წერილი და დოკუმენტი.

ამ მასალებით, საერთაშორისო სადაბეგვრო ორგანიზაციამ – Tax Justice Network – დაიანგარიშა და გამოავლინა 148 მლრდ ევრომდე დამალული საბიუჯეტო გადასახადი. ამ მოვლენას უკვე უწოდეს „ოფშორლიკსი“ (Offshore Leaks), ანუ ახალი „ვიკილიქსი“. მასალების ნაწილი რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეძღვნება.

ყველაფერი კვიპროსის კრიზისით დაიწყო

მედიის აზრით, კოლაფსის ზღვარზე მყოფი კვიპროსის ეკონომიკა კარგი საბაბი შეიძლება გახდეს რუსული ეკონომიკის პრობლემების გასამართლებლად, თუმცა რუსეთში წონასწორობას არ კარგავენ და მთავრობაში ამტკიცებენ, რომ ამ კრიზისისადმი მოსკოვის ინდიფერენტულ დამოკიდებულებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ რუსული სახელმწიფო კომპანიების დანაკარგი, სავარაუდოდ, მინიმალური იქნება. ამასთან, ბევრმა ოლიგარქმა რეაგირება კრიზისის დაწყებამდეც მოასწრო.

კვიპროსის მედიამ გამოაქვეყნა ფიზიკურ პირთა და კომპანიების სია, რომლებმაც 15 მარტამდე ორი კვირით ადრე, 500 მლნ ევროზე მეტი გამოიტანეს კვიპროსის ბანკებიდან. მედიისთვის გადაცემულ სიაში რუსეთიდან მხოლოდ „გაზპრომბანკის“ ხელმძღვანელი ანდრეი აკიმოვი გამოჩნდა, როგორც ფიზიკური პირი. მან კვიპროსზე ანაბრების გადასახადის შემოღებამდე, კუნძულიდან 2 მლნ ევრომდე გაიტანა. ასევე, თავისი თანხების გატანა მოასწრეს იურიდიულმა პირებმაც. კერძოდ, კომპანია „სინერგიას“ მფლობელის, რინატ ახმეტოვის კომპანიამ Tottenwell. სულ 13-მა რუსულმა კომპანიამ კვიპროსიდან 916 მლნ დოლარის გატანა მოასწრო. მათ სიაში მოხვდნენ: Highstat Limited და ალექსანდრ მოდრაშოვის ფირმა Alcedo Enterprises Limited, ასევე უკრაინული კომპანიები – SCM და DTEX. სიაში ასევე ფიგურირებენ რუსეთის ნახშირის მომპოვებელი კომპანია «Сибантрацит», სანაოსნო კომპანია «Совкомфлот» და მილიონერ ტუგოლოვის Auburn Unvestments Limited.

რუს ფიზიკურ პირებზე უფრო სრულყოფილი მასალაა ზემოაღნიშნული ICoIJ-ს მიერ ჩატარებულ კვლევაში. გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, საიდუმლო ოფშორული ინვესტიციების მფლობელთა შორის არიან რფ პირველი ვიცე-პრემიერის, იგორ შუვალოვის მეუღლე ოლგა შუვალოვა, ასევე წამყვანი რუსული სამხედრო და სახელმწიფო კომპანიების ტოპმენეჯერები. მათ შორის, „გაზპრომის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი გოლუბევი, „გაზპრომის“ სამშენებლო ქვედანაყოფის, „გაზპრომ სოცინვესტის“ გენერალური დირექტორი პაიკინი, კომპანია „ობორონპრომის“ ყოფილი გენერალური დირექტორი რეუსი, ფედერაციის საბჭოს წევრის ძმა მარგელოვი და სხვ. ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე აქვთ შენახული თავისი ქონების ნაწილი რუს მილიარდერებს — ვლადიმერ ანტონოვს, დიმიტრი სერგეევს, იგორ ცუკანოვს; ლატვიელ – ევგენი ტიხონოვს და ყაზახ – მუხტარ აბლიაზოვს. იტალიური გაზეთი Corriere Fiorentino იუწყება, რომ ვლადიმერ პუტინი, რომელიც თავისი მეგობრის, სილვიო ბერლუსკონის მიწვევით არაერთხელ იმყოფებოდა ტოსკანაში, აპირებს, იყიდოს უძრავი ქონება იტალიის ამ პროვინციის დასახლება არჯენტარიოში. აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება ირონიულ ელფერს სძენს პრეზიდენტ პუტინის მოთხოვნას ოფშორული ინვესტიციების გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

კვიპროსში არსებული საბანკო კრიზისის გამო, რუსეთს ინვესტორები ტოვებენ. აპრილის დაწყებიდან ერთ კვირაში, რუსეთიდან, დაახლოებით, 290 მლნ დოლარის ოდენობის კაპიტალი გავიდა. აქედან 135 მილიონი დოლარი საინვესტიციო ფონდებმა დაკარგეს, ხოლო 54 მილიონი – განვითარებადი ქვეყნების გლობალურმა ფონდებმა. რუსეთის გარდა, 160 მილიონი დოლარი დაკარგა ბრაზილიამ, ხოლო ჩინეთმა – 122.

აღსანიშნავია, რომ საბანკო კრიზისის გამო, რუსეთის მოქალაქეებიც დაზარალდნენ. ინვესტორებმა სიფრთხილე გამოიჩინეს სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის ბევრ მოქალაქესა და ორგანიზაციას კვიპროსულ ბანკებში ჰქონდათ ფული შენახული. შედეგად, რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ გაკეთებული პროგნოზის თანახმად, წელს მშპ-ს ზრდა 3%-ს არ გადააჭარბებს. 2013 წლის I კვარტლის მონაცემებით, მშპ-ს ზრდამ სულ 1% შეადგინა. რფ-ს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის მოადგილე სერგეი შვეცოვი აცხადებს, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც რუსული ინვესტიციებია განთავსებული, კვიპროსის მაგალითი განმეორდება.

დასასრული მე-14 გვერდზე

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ პროკურატურას მიმართავს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროკურატურას მიმართავს და ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შესწავლას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და მათი ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა საჩივარი უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე წარმოადგინა, რომლითაც პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა.

„საჩივარში ნათქვამია, რომ ნაძალადევის საოლქო კომისია, განსაკუთრებით კი, კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ გოგუა საუბნო საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრების შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას, მონაწილეთა დისკრიმინაციას მათი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით ახდენდა. მიგვაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძვლიანი შეიძლება იყოს და მათი შესწავლა შესაბამისი ორგანოების მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს. საქმე შეიძლება გვქონდეს სისხლის სამართლის დანაშაულთანაც.

ნაციონალური მოძრაობის საჩივარში აღნიშნულია, რომ „კანდიდატურების განხილვისას, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დასწრების უფლების მქონე პირებს არასწორად აწვდიდა ინფორმაციებს კონკურსანტების შესახებ“. ასევე, მითითებულია, რომ „პარტიულმა წევრმა „ქართული ოცნებიდან“, ოლქის თავმჯდომარესთან წინასწარი შეთანხმებით (რასაც თავმჯდომარეც არ მალავს), საჯარო კონკურსის მეშვეობით უბნებზე პარტიული ნიშნით „დანიშნა“ წევრები, რომლებიც არჩევნებზე წარმოადგენდნენ პოლიტიკური პარტიის ინტერესებს“.

გარდა ამისა, საჩივარში საუბარია, რომ საკონკურსო განცხადებების ნახვის დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კონკურსანტებს საარჩევნო გამოცდილების გრაფაში მხოლოდ პარტიის წარმომადგენლობა ეწერათ და მათ, როგორც დიდი გამოცდილების მქონე კანდიდატებს, უპირატესობას ანიჭებდნენ. ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, მათ შეძლეს ერთ-ერთი კონკურსანტის მიერ წარდგენილი განცხადების დასკანერება, მასში წლების მიხედვით მითითებულია კანდიდატის პარტიული თანამდებობებიც. იგივე განცხადება პარტიამ საოლქო კომისიიდანაც ოფიციალურად გამოითხოვა, რომლის ასლიც შეცვლილი აღმოჩნდა და მასში პირის პარტიული საქმიანობა უკვე არ არის ნახსენები. თუ დადასტურდა კომისიის თავმჯდომარის ასეთი ქმედება, სახეზე იქნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, კერძოდ, სამსახურეობრივი სიყალბე (სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლი) და დოკუმენტის გადამალვა (363-ე მუხლი).

ნაციონალური მოძრაობის ცნობით, ასეთი მიდგომების შედეგად, საოლქო კომისიის მიერ კონკურსით შერჩეული წევრებიდან 81 წინა არჩევნებზე პარტიული კვოტით დანიშნული საუბნო კომისიის წევრი აღმოჩნდა, რომელთაგან 79 წევრი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების, ხოლო ორი წევრი პარტია „ევროპული დემოკრატების“ მიერ იყო დანიშნული“, — ნათქვამია განცხადებაში.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ ასეთი მიდგომა არღვევს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს, ასევე საარჩევნო კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის რეგულაციებს, რომელთა მიხედვითაც, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეს, არ აქვს უფლება, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისთვის. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ნაციონალური მოძრაობის ეს საჩივარი არ განიხილა. ორგანიზაციაში კი მიიჩნევენ რომ, ცესკო ვალდებული იყო, გადაემოწმებინა საჩივარში მოყვანილი ბრალდებები.

„ინტერპრესნიუსი“

გიუნტერ ბეხლერი: „ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს განვითარების და არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას“

ამის შესახებ შვეიცარიის ელჩმა საქართველოში გიუნტერ ბეხლერმა ბათუმში, ბიომრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი კონფერენციის დაწყებამდე, ჟურნალისტებს განუცხადა.

აღნიშნული განცხადება შვეიცარიის ელჩმა მას შემდეგ გააკეთა, რაც მას ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისადმი 15 მარტს გაგზავნილ ღია წერილთან დაკავშირებით.

„ჩვენ აქ საერთაშორისო კონფერენცია — „ბიომრავალფეროვნება ევროპაში“ მონაწილეობის მისაღებად ვართ და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, როგორ აღწევს ახალი მთავრობა პროგრესს ბევრ სფეროში, მათ შორის გარემოს დაცვასა და ამ მიმართულებით, სტრატეგიის შემუშავებაში. ასევე მოხარული ვარ, რომ ახალი მთავრობა, წინას მსგავსად, ქვეყნის აღმშენებლობას აგრძელებს. ჩვენ ეს გვიხარია და ვაგრძელებთ არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიების, არამედ საქართველოს განვითარების მხარდაჭერას“, — აღნიშნა გიუნტერ ბეხლერმა.

შვეიცარიის ელჩმა ღია წერილით ბიძინა ივანიშვილს 15 მარტს მიმართა. როგორც ელჩი ღია წერილში განმარტავს, მიმართვისკენ, ცალკეული „შეცდომაში შეყვანილი ევროპარლამენტარების ზედაპირულმა შეფასებებმა“ უბიძგა. მისი შეფასებით, ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთმა წევრმა საინტერესოდ აითვისა საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები, რომლებსაც საჯაროდ უარყოფენ.

„ახლო მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას საქართველოს ყველა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისცა ხმა ხალხის უმრავლესობამ თქვენს კოალიციას და სწორედ ამიტომ გენდობიან ისინი თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრს.

მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა, ხმა მიეცა „ვარდების რევოლუციონერთა“ წინააღმდეგ, რადგანაც მათ დემოკრატიის გზას გადაუხვიეს და მოინდომეს, შეექმნათ საკმაოდ ავტორიტარული მოდერნიზებული რეჟიმი. თქვენი ხელისუფლება, რომელმაც ესოდენ დიდი დემოკრატიული მხარდაჭერა მიიღო, ახლა ე.წ. ელიტური კორუფციის აღმოფხვრის დიდი და რთული ამოცანის წინაშე დგას, გადასახადების გადამხდელთა სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და უცხოეთში ფინანსური რესურსების გადაქაჩვის ჩათვლით. მე თქვენში ვხედავ ძლიერ პოლიტიკურ ნებას, იხელმძღვანელოთ კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით. ის, რომ თქვენ რჩევისთვის მიმართეთ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებიც ნდობას იმსახურებენ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) და ისეთ პატივცემულ და მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო ექსპერტებს, როგორიცაა, მაგალითად, თომას ჰამერბერგი, მიუთითებს იმას, რომ სერიოზულად ეკიდებით არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მიცემულ დაპირებებს“, — ნათქვამია ელჩის ღია წერილში.

დიპლომატი დადებითად აფასებს სამინისტროებში მიმდინარე რეფორმებს, ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობის მინისტრის კვალიფიკაციას და აქებს ფინანსთა, ეკონომიკის, რეგიონული განვითარების, გარემოს დაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს.

„ამ მოკლე დროში მოახერხეთ საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის საუბრის ტონის შეცვლა. თქვენი ხელისუფლება ასევე შეძლებს ურთიერთობების გაუმჯობესებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დეფაქტო ხელმძღვანელობებთან, რათა გამოინახოს საერთო ენა ხალხისთვის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. შვეიცარია ყოველთვის თქვენს სამსახურშია, როდესაც საქმე ეხება თანამშრომლობას მშვიდობიანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის უზრუნველსაყოფად“, — აღნიშნავს ელჩი და მადლობას უხდის ბიძინა ივანიშვილს „იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც იგი დემოკრატიული პროცესებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად“ იჩენს.

„ინტერპრესნიუსი“

ვინ მალავს მილიარდებს ოფშორების „შავ ხვრელებში“

მე-13 გვერდიდან

კრიზისის მიზეზები მარტო კვიპროსზე არ უნდა ვეძებოთ

თუმცა ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთიდან „კაპიტალის გაქცევაში“ მარტო კვიპროსის კრიზისს ვერ დავადანაშაულებთ. ა/წლის 7-8 აპრილს, ჰოლანდიასა და გერმანიაში ვიზიტის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ინტერვიუ მისცა გერმანული ტელერადიოკომპანია ARD-ის ჟურნალისტს. რუსეთში არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების შემოწმებასთან დაკავშირებით, პუტინმა განაცხადა, რომ მედია ახდენს საზოგადოების დაშინებას და მიმდინარე მოვლენებს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს. მან ხაზი გაუსვა, რომ სინამდვილეში, რუსეთში მიმდინარეობს ჩვეულებრივი, რუტინული შემოწმებები.

რფ-ს პრეზიდენტმა ისაუბრა ასევე კვიპროსის კრიზისის შესახებაც და განაცხადა, რომ კვიპროსის მთავრობის მიერ ანაბრებზე დაწესებული გადასახადი უკანონოა. ამის შედეგად მეანაბრეებმა თანხის 60% დაკარგეს. კითხვაზე, თუ რას გააკეთებს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, პუტინმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, საყვარელი საქმით დაკავდება.

„ძალიან მიყვარს სამართალი, მე მიყვარს ლიტერატურა და ვიმედოვნებ, დავკავდე ამ სფეროებით სახელმწიფო სამსახურთან კავშირის გარეშე. შეიძლება, რაიმე სხვა საქმიანობით — საზოგადოებრივი, სპორტული და ასე შემდეგ“. პუტინმა დასძინა, რომ — „ყველა ნორმალური ადამიანი, ყოველთვის იყურება რომელიღაც ჰორიზონტს იქით. ...და მე არ ვარ ყველაზე უფრო ხანდაზმული პოლიტიკაში. ევროპულ პოლიტიკაში არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე უფრო დიდ ხანს იკავებდნენ პირველ პოზიციებს და მუშაობდნენ უფრო დიდხანს, ვიდრე ვმუშაობ ახლა. ასეთები არიან ევროპაშიც, ჩრდილოეთ ამერიკაშიც, და სხვათა შორის, კანადაშიც“.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ევროკომისიის თხოვნით, რუსეთში გადაწყვიტეს კვიპროსის ვალის რესტრუქტურიზაცია. ეს მოსკოვის რეალური წვლილია, შეტანილი კვიპროსის პრობლემის გადასაჭრელად. რუსეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ „კვიპროსის ვარიანტი“, რის შედეგადაც მეანაბრეებმა ქვეყანაში არსებული უმსხვილესი ბანკებიდან თავიანთი დეპოზიტის გარკვეული ნაწილი დაკარგეს, აღარ განმეორდება.

„ოფშორლიკსი“ მაღალჩინოსნების რისხვაა

ICIJ-ის მიერ გამოქვეყნებული მასალის თანახმად, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოჯახი ფულს ოთხ სხვადასხვა კომპანიაში აბანდებს, რომლებიც ოფშორულ ზონებშია დარეგისტირებული. „ოფშორლიკსის“ მასალებით კომპანია, რომელმაც აზერბაიჯანში მასობრივი სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, მილიარდობით დოლარის ღირებულების კონტრაქტები მოიგო, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოჯახთანაა დაკავშირებული.

ჩანაწერების მიხედვით, ბიზნესმენი ჰასან გოზალი ვირჯინიის კუნძულებზე, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილების სახელზე დარეგისტრირებული კომპანიების დირექტორია. ასევე თავად პრეზიდენტი და მისი მეუღლე მეჰრიბან ალიევა ფლობენ კომპანიებს ვირჯინიის კუნძულებზე. თუ რისთვის დასჭირდა პრეზიდენტის ოჯახს ამ კომპანიების დაარსება, უცნობია.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, სატელევიზიო გამოსვლის დროს განაცხადა, რომ მთავრობისა და პარლამენტის წევრებს საკუთარი ქონების გასაჯაროებას მოსთხოვს. ოლანდს ასევე გადაწყვეტილი აქვს, სასამართლოს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს. პრეზიდენტ ოლანდის განცხადებით, კორუფციასა და თაღლითობაში მხილებულ საჯარო პირებს სამსახურიდან დაითხოვენ.

საფრანგეთის მთავრობის განცხადებით, ფრანგი მინისტრების აქტივების ღირებულება 15 აპრილს გამოქვეყნდება. სოციალისტური მთავრობის განცხადებით, იგეგმება კანონის შემუშავება, რომელიც პარლამენტის წევრებს აქტივების გამოქვეყნებას დაავალდებულებს და ფინანსური თაღლითობის შემთხვევაში, ჯარიმებს დააკისრებს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა პირობა დადო, რომ უახლოეს მომავალში, ქვეყანაში ახალ ანტიკორუფციულ ზომებს გაატარებს. ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მას შემდეგ მიიღო, რაც ყოფილ ფინანსთა მინისტრს უცხოურ ბანკებში საიდუმლო ანგარიშებზე ასი ათასობით ევრო აღმოუჩინეს.

გერმანული Sueddeutsche Zeitung, ICIJ-ის „ოფშორლიკსის“ მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ გიბრალტარის ნახევარკუნძულზე, სავაჭრო პორტთან ახლოს, არის ცნობილი ვილა „პორტლანდი“ (Portland House). როგორც ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, სახლის მფლობელია ფრანც თომას ალექსანდერ ვოლფი, ცნობილი გერმანული ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც ადგილობრივ აღრიცხვაზეა პასპორტის ნომრით – 256200930. მამამისი, გენერალ-პოლკოვნიკი მარკუს ვოლფი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, აღმოსავლეთ გერმანიის – ყოფილი გდრ-ს საგარეო დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა. მარკუს ვოლფი იმდენად ფარულ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მას „კაცი სახის გარეშე“ შეარქვეს. თავის დროზე, მისი ინიციატივით ტარდებოდა ოპერაცია „რომეო“, რომელიც გდრ-ს სპეცსამსახურის თანამშრომლებისა და კონფიდენციალური აპარატის მიერ, დასავლეთგერმანიის – გფრ-ს მაღალჩინოსნების მარტოხელა მდივნების სასიყვარულო ინტრიგების საშუალებით გადაბირებასა და მათგან საჭირო ინფორმაციის მოპოვებას გულისხმობდა. მარკუს ვოლფმა მოახერხა გფრ-ს მაშინდელი კანცლერის, ვილი ბრანტის თანაშემწის, გიუნტერ გიიომის გადაბირებაც, რასაც საბოლოოდ, კანცლერის სკანდალური გადადგომა მოჰყვა. როგორც ჩანს, მისმა ვაჟმა ფრანცმა, რომელიც 1953 წლის მაისში ბერლინშია დაბადებული, მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ბიზნესის ჩუმად, ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთების ჩვევები.

„ოფშორლიკსის“ მონაცემებით, ფრანც ვოლფი, რუს ოლიგარქ მიხაილ ფრიდმანთან ერთად, ფლობს და გიბრალტარის ოფშორიდან მართავს რუსეთში, სიმდიდრის მიხედვით, მეექვსე ადგილზე მყოფ „ალფა ჯგუფის“ კომპანიების ქსელს. ეს იმპერია გადაჭიმულია კარიბის ზღვიდან რუსეთამდე.

რუსეთის მოქალაქე, 48 წლის მიხაილ ფრიდმანი ერთ-ერთი იმ ბიზნესმენთაგანი იყო, ვინც საკუთარი კაპიტალის შექმნა კომუნიზმის ნანგრევებზე დაიწყო. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მან დააარსა ფანჯრების რეცხვის კოოპერატივი. შემდეგ გადავიდა „შავ ბაზარზე“, სადაც თეატრის ბილეთებს სპეკულაციურ ფასში ყიდდა. როდესაც სახელმწიფომ დათმო თავისი ძალაუფლება და ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ფრიდმანი ამ პროცესებს უკვე მომზადებული შეხვდა. იგი ეწეოდა რუსეთში სიგარეტის იმპორტს, ჩართული იყო უძრავი ქონების ბაზრის ოპერაციებში და დააარსა საქონლის იმპორტ-ექსპორტის კომპანია. გავრცელებული ხმებით, ფრიდმანი რფ-ს ეკონომიკის მაშინდელი მინისტრის პატრონაჟით სარგებლობდა, რომელიც ახლა ფრიდმანის „ალფას“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაშია. ფრანც ვოლფი არის „ალფას“ მწვერვალზე მყოფი კომპანია CTF Holdings-ის დირექტორი. ასევე ვოლფია ლიხტენშტეინის ოფშორში დარეგისტრირებული, „ალფაში“ შემავალი Crown Finance Foundation-ის წარმომადგენელი, არის წყალმომარაგებისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში მოქმედი კომპანიების – A1, Altimo და Ventrelt-ის დირექტორი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ოფშორში რეგისტრირებული BVI-ის ხელმძღვანელი.

ფრანც ვოლფმა, მისი ბიზნესის გამო ყურადღება მხოლოდ ერთხელ მიიქცია. კერძოდ, მან 2002 შემოდგომაზე გააკეთა კომენტარი ტანკერი „პრესტიჟის“ ესპანეთის სანაპიროსთან მომხდარ კატასტროფაზე, რამაც გამოიწვია გარემოს სერიოზული დაბინძურება. აღმოჩნდა, რომ ნავთობი, რომლისგანაც მოხალისეები კვირების განმავლობაში პლაჟებს ასუფთავებდნენ, ეკუთვნოდა ფრიდმანის „ალფა-ჯგუფს“. ტანკერი დაქირავებული იყო შვეიცარული ფირმა „ქრაუნ რესოურსის“ (Crown Ressources) მიერ, რომელიც უამრავი შუამავალი კომპანიისა და ფონდის „გავლით“ ეკუთვნოდა, ფრანც ვოლფის ხელმძღვანელობით მოქმედ რუსული „ალფა-ჯგუფის“ წევრ კომპანია CTF Holdings-ს. აშკარაა, რომ „ოფშორლიკსის“ მონაცემთა ბაზაში არსებული ორნახევარი მილიონი შემთხვევის გამოქვეყნება მხოლოდ ახლა იწყება, ამიტომ შესაძლებელია, მალე მსოფლიო პრესაში უამრავი საინტერესო კითხვა დაისვას...

ეკომიგრანტი ოჯახები და მათი პრობლემები

სიმონ შარაძე,
ეკომიგრანტთა ასოციაციის თავმჯდომარე,
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ეკომიგრანტი ოჯახებისადმი მიდგომა თანმიმდევრულად უარესდებოდა, რამდენადაც, თუ ადრე სახელმწიფომ შეიმუშავა ამ კატეგორიის ოჯახებისათვის საქართველოს ბევრ რეგიონში სპეციალური დასახლებების შესაქმნელად სახელმწიფოს მიერვე სახლების მშენებლობის გარკვეული პროგრამები, რაც საწყის ეტაპზე, მართლაც ბევრი გაკეთდა, თუმცა მომდევნო ეტაპზე ეს მიდგომა მინელდა, ხოლო მოქკავშირისა და განსაკუთრებით, ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში სრულიად შეწყდა, რამაც საფუძველი დაუდო ბევრი რეგიონიდან ეკომიგრანტი ოჯახების უკუმიგრაციას, რამეთუ ნაცმოძრაობა თავიდანვე ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი იყო თავისი ბუნებითაც და ძირეული არსითაც.

ე.წ. ნაცების მიერ ჩადენილი დანაშაულების ნუსხა მრავალწახნაგოვანია. კერძოდ, ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების განადგურება, რუსეთთან შეუგნებელი ომის დაწყება, მიწის პრივატიზაციის ახალი კანონის მიღება, ტერიტორიების შეგნებული დაკარგვა, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების მოსპობა, ბერძენი და დუხობორი მოსახლეობის მიგრაციის შედეგად მიტოვებული საცხოვრებელი სახლების, რომელიც თავდაპირველად, არცთუ ისე ძვირი ჯდებოდა, ეკომიგრანტებისთვის შეგნებულად არშეძენა, ამ ოჯახებისათვის მიწების მიუცემლობა, ნაცების მიერ ქვეყნის მიწებისა და სხვა სიმდიდრეების უცხო ქვეყნების უცხო ტომებზე, მათ წარმომადგენლებზე მასობრივი მიყიდვა, უცხო ტომთა მასობრივი ჩამოსახლებები და ა.შ. სამწუხაროა ისიც, რომ ამ საქმეში ნაცებს აშკარა მხარდაჭერას უწევდნენ ვაიოპოზიციური პარტიებიც. ნიშანდობლივია, რომ „პოზიცია-ოპოზიციის“ ტანდემი ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებდა, რომელსაც თითქოს ვერაფერი შეაჩერებდა, თუ ქვეყანას არ მოევლინებოდა, არ გამოჩნდებოდა, თითქოსდა პოლიტიკიდან შორს მდგომი, მაგრამ როგორც უმოკლეს დროში დავრწმუნდით, ერისა და ქვეყნის გადარჩენის ძირითადი ბერკეტი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ხელისუფლებამ, მოსვლიდან ექვს თვეში, საყურადღებო წარმატებები მოიპოვა თითქმის ყველა სფეროში: პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური დაცვის, მეცნიერებისა და სხვა საკითხების განვითარების საქმეში და, რაც უმთავრესია, სერიოზული ბრძოლა გრძელდება ძველ დანაშაულებათა აღმოსაფხვრელად.

როგორც წესი, ეკომიგრანტი ოჯახების განსახლება პოსტსაბჭოთა და მომდევნო პერიოდებში ხდებოდა უხვმიწიან რაიონებში; კერძოდ, გურიის, კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, ასევე მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში, რაც მრავალმხრივი დატვირთვით ხასიათდება. კერძოდ, ჯერ ერთი, ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა ადასტურებს გაჭირვებაში ჩავარდნილებისადმი ზრუნვის გამოვლენას, ამასთან ეს, ამავდროულად, ხელს უწყობს ჩასასახლებელი რეგიონებისა თუ რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებით მოსახლეობის დემოგრაფიული სურათის გაჯანსაღებასა და კონკრეტული სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც თავისთავად, მნიშვნელოვანწილად, წაადგება მთლიანად ქვეყნის აღორძინებას. გვინდა, გულისტკივილით შევნიშნოთ, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ეკომიგრანტი ოჯახების გამოყვანა ქვეყნის ისეთი რეგიონებიდან, როგორიცაა: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, მათი მასობრივი აყრა და ამ უნიკალური, ისტორიული და ქვეყნის ხვალინდელი პერსპექტივისათვის მეტად საჭირო რეგიონების გაუკაცრიელება მოხდა დაუფიქრებლად, რომლის გამოსწორებისათვის, ქვეყნის ახლანდელ და მომავალ თაობებს სერიოზული ღონისძიებების გატარება მოუწევთ.

ქვეყანაში 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შედეგად, ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან დაწყებული სერიოზული ძვრების ფონზე, ეკომიგრანტთა ასოციაციის ხელმძღვანელობის შეშფოთებასა და გულისტკივილს იწვევს წალკის რაიონში სიტუაციის დაძაბვა, რაც ჩვენი აზრით, განხორციელდა რიგი პიროვნებების მიერ პრემიერ-მინისტრის ზურგსუკან. ეს ყოველივე მიგვიყვანს დაძაბულობის ესკალაციამდე, რამაც შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოხდეს ეკომიგრანტი ოჯახების მასობრივი გულისაყრა ამ რაიონში და უკუეკომიგრაცია, მსგავსად ახალქალაქისა და სხვა რაიონებისა, და სწორედ ეს შედიოდა ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, მოქალაქეთა თუ ნაცმოძრაობის მმართველების გეგმებში, ამ რაიონებში უცხოელთა მასიური ჩასახლება-განსახლებისათვის რომ მიეღწიათ. დღეს, როცა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვილის შემოსვლით მოხდა ნაცმოძის ბინძური ქმედებების შეჩერება, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, ყველა ბოროტების აღმოფხვრა მაინც ვერ ხერხდება. ნაცმოძრაობის წევრები, თითქოსდა უმცირესობის წარმომადგენლები, პარლამენტში მაინც ცდილობენ, კუდი მოიქნიონ, რაშიც, სამწუხაროდ, მხარს უბამს აშშ-ევროკავშირის ტანდემი, რომლებიც, ფარულადაც და აშკარადაც, ყველაფერს აკეთებენ ქართველი ერის წინააღმდეგ, რასაც, ალბათ, მალე უნდა მიეცეს შესაბამისი შეფასება ჩვენი ერისაგან.

მე განსაკუთრებით მაოცებს ბოკერია-ბენდუქიძისა და მათი ჯგუფისადმი დღემდე დამკვიდრებული ხელშეუხებლობა. საზოგადოებაში ხშირად გვესმის, რომ ნაცმოძრაობის ლიდერები თითქოს ვერ გრძნობენ და, შესაბამისად, არ აღიარებენ მათ მიერ დაშვებულ დანაშაულებს!!! გადაჭრით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყველაფერი, რასაც ნაცები ერის წინააღმდეგ აკეთებდნენ, იყო მათი შეგნებული ქმედება და არა შეცდომით ჩადენილი დანაშაული. ეს იყო ქმედებები, დამკვეთისგან მიცემული ოფიციალური დავალების აღსრულებისთვის, ამიტომაც ჯიუტად იცავენ თავიანთ პოზიციებს და არამც და არამც არ ფიქრობენ, მოინანიონ ჩადენილი ბოროტება!!!

ჩემს პუბლიკაციებში არაერთხელ მივუთითებდი მსოფლიო მასონების მტრული ზრახვების თაობაზე ქართველი ერის მიმართ. აქ მთავარია, ყველამ გავითავისოთ, რომ მსოფლიო მასონები დღეს დარწმუნებულები არიან, რომ მათი აზრით, მოსულია ის ზღვარი, როცა თითქოს შეიძლება, ბოლომდე გაანადგურონ ქართველი ერი, აბა, სხვა რა ახსნა უნდა მოეძებნოს უკვე აშკარა და ღია ფრონტის გახსნას ქართველების წინააღმდეგ, რისი დასტურიცაა: აშშ-ს კონგრესმენების, ასევე ევროპარლამენტარების ღია წერილები ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი. ეს უკვე დამაფიქრებელია და საჭიროა, მთელი ერის დროზე გამოფხიზლება და, პირველ რიგში, საკადრისი პასუხის გაცემა შიდა და გარე მოღალატეებისთვის. უკვე დროა, გამოვაცხადოთ შემტევი ბრძოლა ყოველგვარი ლოიალობის წინააღმდეგ. როდემდე შეიძლება ვუთმინოთ და ბეჩავებივით შევყუროთ სატანისტებს: სააკაშვილს, ბოკერიას, გაბაშვილებს, ბენდუქიძეს, მინაშვილს, დარჩიაშვილს, ხაჩიძეს, ბარამიძესა და რამდენ ამათგვარ ზნედაკარგულ ნაციონალს და, სამწუხაროდ, მათაც, ვინც თითქოს ერის სამსახურშია, სინამდვილეში კი ფარულად ასრულებს მასონების შეკვეთას!!!

ოთხ წელზე მეტი გავიდა ცხინვალზე დარტყმიდან. ჩვენც და ძალიან ბევრი მოქალაქე ვთვლიდით, რომ ეს ომი დაიწყეს სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ. ამას დღესაც დანამდვილებით ვადასტურებთ, მაგრამ ჩვენს მოსაზრებას დავამატებთ, რომ ომი დაიწყო არა მარტო სააკაშვილმა, რომელსაც მაშინ ჩვენ ვუთვლიდით დიდ შეცდომად, დღეს უკვე ვრწმუნდებით, რომ ეს ომი სააკაშვილმა დაიწყო, უშუალოდ, რუსეთთან და აშშ-სთან შეთანხმებით, რომ ამით საბაბი მისცემოდა რუსეთის ჯარების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დასაკავებლად!!! ყოველივე ეს, ხომ არ გვავალებს იმაზე დაფიქრების აუცილებლობას, რომ ჯერჯერობით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი, როგორც ამერიკაში, ისე რუსეთში მიზანშეუწონლად მივიჩნიოთ, რამეთუ საქართველოსადმი ცუდი ზრახვები ორივე ქვეყანაში მძლავრობს და ვინ იცის, რა უბედურებები აქვთ ჩაფიქრებული!!!

ვაკეთებთ რა ანალიზს ქვეყნის კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცისა და სასამართლოს სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესებს, მიუხედავად მისი შედეგებისა, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი: ხომ არ დადგა დრო, თუ დაგვიანებული არაა, ერის გონივრულმა ძალამ გადახედოს ქვეყანაში დაშვებული შეცდომებისა თუ შეგნებულად ჩადენილი დანაშაულების რაობას დინამიკაში, გნებავთ დაწყებული „პერესტროიკიდან“ და მოყოლებული დღემდე. აქ საჭიროა პირუთვნელი მიდგომა, რათა პასუხი გაეცეს ყველასა და ყველაფერს და განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებას. მე საგანგაშოდ მიმაჩნია არამარტო ახალი ხელისუფლებისა და უმცირესობის დაპირისპირება და მისი მოსალოდნელი შედეგები, არამედ თვით უმრავლესობის შიგნით შექმნილი ვითარებაც, როცა თითქოსდა, კოალიცია ცდილობს, ქვეყნის აღმშენებლობა წარმართოს გონივრულად, სინამდვილეში კი, საქმე გვაქვს საპირისპირო ქმედებებთანაც. განსაკუთრებით დამაფიქრებელია, კოალიციის შიგნით, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში დაშვებული შეცდომები, რაც განსაკუთრებით აისახა ეკომიგრანტებით დასახლებულ რაიონებში. აშკარად ჩანს, რომ ეკომიგრანტების ბედის გადაწყვეტას არაკეთილგონივრულად უდგებიან, რამეთუ ორგანიზაციული საკითხების ამჟამინდელი გადაწყვეტა მაგ. წალკის გამგეობაში, არათუ ვერ დაარეგულირებს ეკომიგრანტების პრობლემებს, არამედ არ დაარეგულირებს, რამეთუ ისინი უმთავრეს პრობლემას — მიწების გადაცემას არ მოახდენენ და ა.შ. აქ ნათლად იკვეთება დღევანდელი კოალიციის შიგნით არსებული ვითარებაც, ამიტომ ვეჭვობ, შეძლებს კი პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობით, ბატონი ბიძინა რაიმე დადებითის მიღწევას? ყოველივე აქედან გამომდინარე, ხომ არ იკვეთება, ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა, ამასთან არა კვლავ კოალიციის პირობებში, არამედ სხვა კონფიგურაციით, ამასთან, ისე, რომ კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობდეს პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“?!

რა ვქნა, ჩემი ნაფიქრალი მინდა ბოლომდე გავხსნა, ყოველ შემთხვევაში, ვცადო მისი ახსნა მაინც. კერძოდ, ბატონმა ბიძინამ, ეჭვგარეშეა, ნაციონალები უკვე ბოლომდე დაასამარა და ისინი მალე სამარეს თავისით გაითხრიან, თუმცა ამაში ჩვენც უნდა წავეხმაროთ!!! ამის პარალელურად, ბატონ ბიძინას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ!!! ქვეყანა რომ დალაგდეს, პირველ რიგში, საჭიროა, ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ სოლიდურ მოძრაობას მიეცეს სწორი მიმართულება, რათა ისინი ჩავაყენოთ სასიკეთო ქმედებების შესრულების ფერხულში, მაგრამ ამასთან საჭიროა, მათი ამბიციური სურვილების მოთოკვაც, თუ როგორ, რა გზით, ეს ყველაფერი სერიოზული დასაფიქრებელია და, დარწმუნებული ვარ, ყოველივე ამას ბატონი ბიძინა ასევე წარმატებით მოაგვარებს. ასეთივე მიდგომებია საჭირო ცალკეულ გამოჩენილ ინდივიდებთან, პოლიტიკურ სუბიექტებთან მიმართებაშიც. რაც შეეხება გარესამყაროსთან მიმართებას, აქ, ალბათ, ბატონმა ბიძინამ თვითონ და მხოლოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამას შეძლებს და დროისა და ვითარების შესაბამისი პოზიცია დაიჭიროს ანუ მოძებნოს ოქროს შუალედი. რაც შეეხება კოალიციის შიგნით საკითხების დალაგება-მოგვარებას, ალბათ, ბევრ სიძნელესა და სირთულეს შეხვდება, რაც გამჭრიახობასა და გაბედულობას საჭიროებს, საჭიროა, ყველა პიროვნება შეფასდეს ობიექტურად, რათა დასრულდეს მავანთა და მავანთა დაუმსახურებელი ჰეგემონია, რომელიც ქვეყნისათვის უპირველესი საფრთხეა. არანაკლებ საყურადღებოა, ე.წ. წვრილფეხობაც დაისვას თავის ადგილას!!!

და კიდევ ერთხელ ნაცების კუდის მოქნევის მცდელობის თაობაზე, რაც გამოიხატა მათ მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებისას. აშკარაა, რომ ეს უფრო კოალიციის უსუსურობა იყო, ვიდრე ნაცების სიძლიერე და თითქოს მათი ბეჯითობა, ყოველივე ამას მომავალშიც სწორი შეფასება უნდა მიეცეს.

თანამემამულენო,

მოგმართავთ თხოვნით, ვიფიქროთ, ვის შეუძლია დღეს გასცეს პასუხი, ეროვნული ტკივილის მორჩენა-გაჯანსაღების მისაღწევად, ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილ შეგნებულ, მიზანმიმართულ ბოროტებას: ქართული მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეროვნულობის მოშლის, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების მოსპობის, მთლიანად სახალხო მეურნეობის მოშლა-ნგრევისა და ტრადიციული დარგების ამოძირკვის, ქართული მენტალიტეტის შერყვნისა და სხვათა და სხვათა, მეტად მტკივნეული საკითხების მოგვარების გზების ძიებისათვის.

ვფიქრობ, ყოველივე ეს აწუხებს ბატონ ბიძინას, მაგრამ თუ მთელი საზოგადოება არ ჩაუღრმავდება ამ საკითხებს, მარტო იგი პრობლემებს ვერ გაუმკლავდება; მოსანახია მიდგომის გზები. ჩვენ ბევრჯერ გვიფიქრია პრობლემატურ საკითხებზე, მისი შესწავლა-აღმოფხვრის გზების ძიებაზე და თითქოს ვნახულობდით ნუგეშს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიების შექმნაში. დღეს ეს გზა მოსპობილია, რადგან ჩვენი პარლამენტარიზმი ჩანასახშივე მკვდარია და ყველა უბედურება, რაც გვჭირს, ჩვენივე პარლამენტარებისა და პარლამენტების მოტანილია.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ვერსიანიუსი

ირაკლი ჩიქოვანმა კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა

ირაკლი ჩიქოვანი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ხატია ყურაშვილმა განუცხადა, ჩიქოვანის განცხადება თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, კომისიაში უკვე შევიდა.

მისივე განმარტებით, ირაკლი ჩიქოვანი განცხადებაში მხოლოდ თავმჯდომარის უფლებამოსილებისგან ჩამოშორებას ითხოვს, თუმცა კომისიის წევრად, სავარაუდოდ, დარჩება. შესაბამისად, როგორც ხატია ყურაშვილმა განმარტა, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ვაკანტური ადგილი არ არის.

რაც შეეხება ახალი თავმჯდომარის არჩევის წესს, ამ მოვალეობას კომისიის დანარჩენი ოთხი წევრიდან ერთ-ერთს საქართველოს პრეზიდენტი აკისრებს.

დღეის მდგომარეობით, ირაკლი ჩიქოვანის გარდა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები არიან: სოფიო ბრიტანჩუკი, აკაკი სიხარულიძე, ირაკლი მოსეშვილი და კარლო კვიტაიშვილი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 6 წლის ვადით დანიშნული ხუთი წევრისაგან შედგება, საქმიანობა 2000 წლის პირველ ივლისს დაიწყო.

„ინტერპერსნიუსი“

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘ — ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲕᲘᲜᲐ, ᲡᲘᲯᲣᲢᲔ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲠᲓᲐᲞᲐᲠᲝᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ. ᲕᲔᲠᲪ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘᲛᲔᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲡ.

ᲙᲣᲠᲝ — ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ, ᲓᲦᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝᲗ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲪᲮᲣᲝᲚᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲜᲣ ᲒᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲐᲖᲠᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲪᲔᲑᲡ ᲛᲝᲒᲘᲪᲐᲜᲗ. ᲣᲤᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲡ ᲡᲐᲣᲗᲐᲠ ᲑᲝᲣᲯᲣᲚᲘ, ᲐᲠ ᲐᲠᲐᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲘ. ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲔᲑᲘ, ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

ᲪᲣᲪᲣᲞᲔᲜᲘ — ᲓᲠᲝᲡ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ ᲜᲣ ᲒᲐᲤᲚᲐᲜᲒᲐᲕᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲒᲔᲯᲘᲠᲓᲔᲗ. ᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘᲗᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲛ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲬᲦᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲝᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲐᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲪᲮᲣᲓᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲣ ᲘᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲔᲑᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲣᲤᲔᲚᲐᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲒᲣᲗᲝᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲙᲔᲗᲜᲓᲔᲗ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ ᲒᲐᲣᲗᲝᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲠᲯᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲯᲘᲓᲠᲔ ᲐᲮᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲬᲝᲜ-ᲓᲐᲬᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ. ᲡᲓ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲘᲐᲨᲐᲠᲑᲔ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘᲛᲔᲝᲤᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲐᲪ. ᲨᲔᲣᲪᲐᲓᲔᲗ, ᲔᲡ ᲡᲢᲘᲥᲔᲗ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲙᲐᲚᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲐᲘᲡᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲥᲐᲚᲜᲣᲚᲘ — ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲝᲚᲘ ᲓᲘᲐᲮᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲗ — ᲫᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲯᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲯᲔᲗᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲑᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲘᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲪᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲔᲒᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲘᲣᲧᲐᲕᲗ ᲬᲘᲜᲓᲐᲮᲔᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ — ᲓᲦᲔᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲥᲕᲗ. ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲐᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲐᲠᲐᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲠᲘᲡᲙᲝ ᲨᲔᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲒᲗᲘᲠᲘᲝᲗ. ᲓᲠᲝᲐ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲗ ᲨᲔᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — ᲪᲣᲓᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ. ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲗ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ, ᲜᲣ ᲛᲘᲔᲜᲓᲝᲑᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲔᲑᲐᲚᲡ, ᲣᲤᲔᲚᲐᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲓᲝᲡᲐᲜᲘ — ᲓᲦᲔᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲪ ᲛᲝᲘᲪᲠᲘᲑᲝᲗ. ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲓᲘᲗ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ — ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲣᲚᲘ ᲐᲢᲙᲘᲗᲝᲗ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲒᲜᲘᲡᲐᲒᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲥᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲪᲘᲠᲙᲚᲘ — ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲝᲚᲘ ᲓᲘᲐᲮᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ. ᲜᲣ ᲛᲝᲣᲨᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲮᲡᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲜᲣ ᲒᲐᲓᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲨᲐᲜᲡᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲔᲓᲐᲠ ᲓᲐᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲗ.

ᲥᲐᲠᲩᲮᲘ — ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲝᲚᲘ ᲓᲘᲐᲮᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲓᲦᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲔᲒᲨᲘ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲬᲣᲑᲣᲣᲓ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐᲡ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲐᲡᲬᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲨᲝᲠᲔᲑᲗ. ᲜᲣ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲗ ᲪᲣᲓ ᲐᲖᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲨᲔᲣᲪᲐᲓᲔᲗ, ᲡᲐᲦᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ.

ᲗᲔᲕᲖᲘ — ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲔᲑᲗᲘᲗ ᲐᲦᲡᲕᲐᲡᲔ ᲓᲦᲔᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲓᲦᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲔᲒᲨᲘ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲬᲣᲑᲣᲣᲓ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐᲡ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲐᲡᲬᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲨᲝᲠᲔᲑᲗ. ᲜᲣ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲗ ᲪᲣᲓ ᲐᲖᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲨᲔᲣᲪᲐᲓᲔᲗ, ᲡᲐᲦᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ.

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲙᲚᲓᲔᲖᲔ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ ᲮᲣᲑᲔᲘᲨᲘ, ᲙᲚᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲖᲔ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ — Fangweng Restaurant. ᲙᲚᲓᲘᲡ ᲥᲘᲛᲖᲔ ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲐᲘᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲘᲚᲜᲒᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲮᲔᲓᲔᲑᲘ ᲘᲨᲚᲔᲑᲐ, ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲘᲐᲜᲓᲘ ᲛᲘᲔᲓᲘᲜᲔᲑᲐ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲙᲚᲓᲘᲡ ᲨᲘ�გᲜᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ, ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲣᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ, ᲘᲮᲕᲘᲡ, ᲦᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲒᲐᲜ.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ადვილი

2	6	5	4	7	3	1	9	8
8	4	1	2	9	6	7	5	3
7	9	3	1	8	5	6	4	2
5	7	2	9	1	8	4	3	6
1	3	9	7	6	4	2	8	5
6	8	4	5	3	2	9	1	7
9	5	8	6	4	7	3	2	1
4	2	7	3	5	1	8	6	9
3	1	6	8	2	9	5	7	4

საშუალო

4	3	5	1	9	2	8	7	6
2	9	1	8	7	6	3	5	4
8	7	6	5	4	3	2	1	9
6	5	9	3	1	8	7	4	2
7	2	4	9	6	5	1	8	3
3	1	8	7	2	4	9	6	5
1	8	2	6	5	9	4	3	7
5	4	7	2	3	1	6	9	8
9	6	3	4	8	7	5	2	1

რთული

9	6	5	7	8	1	4	3	2
8	4	3	6	5	2	7	1	9
7	1	2	4	9	3	8	6	5
1	7	4	2	6	5	9	8	3
3	5	9	8	7	4	6	2	1
6	2	8	3	1	9	5	4	7
5	8	7	1	3	6	2	9	4
4	9	1	5	2	8	3	7	6
2	3	6	9	4	7	1	5	8

ექსპერტული

1	4	9	6	8	5	7	3	2
2	8	7	4	3	1	9	6	5
6	5	3	2	7	9	8	4	1
5	6	4	3	2	8	1	9	7
7	9	2	1	6	4	5	8	3
3	1	8	5	9	7	6	2	4
9	7	1	8	4	3	2	5	6
8	3	6	7	5	2	4	1	9
4	2	5	9	1	6	3	7	8



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი
18 აპრილი

ვერძი — დღეს, შესაძლოა, ჩვეული რიტმიდან ამოგაგდოთ განცდებმა და რთულმა ცხოვრებისეულმა პრობლემებმა, მაგრამ ამ უველაფერმა თქვენს ჯანმრთელობაზე რომ არ იმოქმედოს, სჯობს, დანტვირთვაზე იფიქროთ.

კურო — არ ღირს, დღეს გარშემომყოფებთან ჯანმრთელობაზე დაიჩივლოთ — მაშინვე დაგარწმუნებენ, რომ საქმე ცუდადაა. ამ შემთხვევაშიც კი, თუ არ დაუჯერებთ, ვითარებას მაინც ვერ გააუმჯობესებთ. სჯობს, დახმარებისთვის სპეციალისტს მიმართოთ.

ტყუპები — ახლა სწორედ ის დროა, რომ იზრუნოთ ჯანსაღ კვებაზე. განსაკუთრებით, თუ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ. სჯობს, თავი აარიდოთ ათასგვარ კულინარიულ ექსპერიმენტებს და უველაზე მარტივი საკვები აირჩიოთ.

კირჩხიბი — დღეს უარი თქვით სოლარიუმში სტუმრობაზე: სჯობს, დროებით დათმოთ ეს პროცედურა. მანამდე კი, სახის კანის შეფერილობის გასაუმჯობესებლად პილინგი გაიკეთეთ. კარგი დღეა საეიდლებისთვისაც — თუ გსურთ, საკუთარ თავს სასიამოვნო სიურპრიზი გუკეთოთ, მაშინ თამამად გასწიეთ მაღაზიებისკენ.

ლომი — ვარსკვლავები ლომებს ურჩევენ, რაციონში ციტრუსები შეამცირონ. ის ბევრ მჟავეს შეიცავს, რომელიც საკმაოდ მავნებელია გაძლიერებული კუჭის სეკრეციისას. ამ პერიოდში „ცე“-ვიტამინის მიღება სხვა წყაროებიდანაც შეგიძლიათ. წარმატებული დღეა პროფესიული საქმიანობისთვის, განსაკუთრებით, შემოქმედებითი ხალხისთვის.

ქალწული — შეეცადეთ, ზედმეტად არ გადაიტვირთოთ სამსახურში. სჯობს, მცირე პაუზა აიღოთ და შეისვენოთ. თუკი დღის ალიაქოთში საკვარელი წიგნის წაკითხვა მოგინდებათ, უარს ნუ ეტყვით თავს ამ სიამოვნებაზე.

სასწორი — თქვენ დასვენება გჭირდებათ, სასურველია, თუ სასმისად აუზს ამოირჩევთ. წყალთან სიახლოვე გაგიუმჯობესებთ ხასიათს და დადებით განწყობაზე დაგაყენებთ. შეეცადეთ, რაც შეიძლება კარგად დაისვენოთ და ძალები მოიკრიბოთ. სუფთა ჰაერზე გასეირნებაც არ გაწყენდათ.

ღრიანკალი — მიუხედავად დატვირთული დღისა, შეეცადეთ, გამონახოთ დრო დასვენებისთვის, ეურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თუ დღეს კარგ განწყობას შეინარჩუნებთ. საღამოს შეეცადეთ მოდუნდეთ და დაისვენოთ.

მშვილდოსანი — დღეს ნებისმიერი კამათი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მხოლოდ უსაფუძვლოდ ნუ წამოიწყებთ მას. თქვენი ოცნების ქალი (მამაკაცი) თქვენით დაინტერესდება. თუ ვინმეს ერთგული ხართ, მაშინ დღეს ეს ერთგულება ნამდვილად დაგიფასდებათ.

თხის რქა — დღეს ნერვულ სისტემას მოუფრთხილდით და შეეცადეთ, არ გადაიტვირთოთ. შეძლებისდაგვარად, შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე, ძილის წინ კი, დიდ დროს ნუ დუუთმობთ ტელევიზორს.

მერწყული — კარგი იქნება, თუ დილას შხაპით და გემრიელი საუზმით დაიწყებთ. მოერიდეთ ნერვულ დაძაბულობას, შეეცადეთ, დღე დადებით გარემოში გაატაროთ. საღამოს შეიძლება მეგობრებსაც ეწვიოთ ან სასიამოვნო წიგნის კითხვაში გაიუვანოთ დრო.

თევზები — შეეცადეთ კონფლიქტებსა და კამათს მოერიდოთ. მხოლოდ დადებითზე იფიქრეთ, თქვენ დასვენება გჭირდებათ. შესაძლებელია, ვიტამინებისა და მინარევების ნაკლებობა გაწუხებდეთ. შეიარეთ აუთიაქში და შესაბამისი კომპლექსი შეიძინეთ. საღამო კი, შეეცადეთ, სასიამოვნო გარემოში გაატაროთ.

სკარლეტის სილამაზის საიდუმლო

ჰოლივუდელი ლამაზმანები რა საშუალებას არ მიმართავენ იდეალური გარეგნობის შესანარჩუნებლად... მაგალითად, ვიქტორია ბექჰემი აღიარებს, რომ საკუთარი თავის მოვლა კვირაში 15 ათას დოლარზე ნაკლები არ უჯდება. თუმცა, ყველა ვარსკვლავი არ არის ასეთი მფლანგველი და მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ და მიმზიდველ ქალბატონად აღიარებული მსახიობი სკარლეტ იოჰანსონია, რომელიც „ხალხურ“ საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას. ერთ-ერთ ინტერვიუში მსახიობმა აღიარა, რომ ლამის მანიად აქვს ქცეული სახის კანის მოვლა და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კოსმეტიკური მარკის უამრავი საშუალება მოსინჯა, პირის დასაბან იდეალურ საშუალებად ვაშლის ძმარს აღიარებს. ცოტა ხნის წინ მივედი დასკვნამდე, რომ ბუნებრივი საშუალებები ბევრად ეფექტურია, ვიდრე აგრესიული ქიმიკატები. ვაშლის ძმარს ტონალური კრემის ეფექტი აქვს და სახის კანს ბრწყინვალეებას ანიჭებს.

ყველაზე ყაჩიოზული საპატიმრო საჩჩილეჭი

ცოტა ხნის წინ აშშ-ში პრესრელიზი გამოვიდა, რომელშიც 2012 წელს ქვეყანაში განხილული ყველაზე სასაცილო სარჩელების სიაა გამოქვეყნებული. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს: ფლორიდელმა მძღოლმა, რომელიც საჭეს ნასვამი მართავდა და ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა, თავი ბრალდებულად სცნო შემთხვევით მკვლელობაში, შემდეგ კი, სასამართლოში სარჩელი შეიტანა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ავარიაში მოკლა.

მიჩიგანის შტატში მცხოვრებ ქალბატონს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავტომანქანა ჩამოართვეს, ავზში დარჩენილი იყო ბენზინი, რაზეც სასამართლოში არაფერი უთქვამთ. ქალმა კი ბენზინის „ქურდობის“ გამო, სარჩელი 5 მილიონი დოლარის კომპენსაციაზე შეიტანა.

13 წლის ბეისბოლისტმა იმ ადამიანს უჩივლა, რომელსაც ბეისბოლის ბურთი მოარტყა.

დამნაშავემ, რომელსაც ციხეში შესვლისას მხოლოდ ხუთი კბილი ჰქონდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებას კბილებთან დაკავშირებული პრობლემების გამო უჩივლა.

ერთ მანდილოსანს, პაბში ჩხუბისას ბოთლი მოხვდა. ქალს დიდხანს არ უფიქრია, როგორ ეშოვა ფული და მფლობელი „ცივი იარაღის“ შენახვაში დაადანაშაულა.

ეროვნული საფეხბურთო ლიგის ფანებს Dallas Cowboys-ის გასამართლება სურდათ სტადიონზე მზისგან გადაცხელებული სკამების გამო.

ერთ-ერთმა კალიფორნიელმა რესტორატორმა სასამართლოში იჩივლა უნარშეზღუდულთა უფლებების შელახვის გამო ავტოსადგომზე, რომელიც მას არც კი ეკუთვნოდა.

კოლორადოს მცხოვრებმა 8 მილიონი დოლარი მოიგო იმით, რომ სასამართლო დაარწმუნა, თითქოს მისი ავადმყოფობის მიზეზი მიკროტალღოვან ღუმელში პოპკორნის მომზადებისას არსებული ორთქლი იყო.

ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა სანტა-მონიკადან სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კომპენსაციად 1,7 მილიარდ დოლარს ითხოვდა იმის გამო, რომ ქალაქის ხელისუფლებამ ავტოსადგომზე wi-fi დადგა.

ჩინელებმა „ჭკვიანი“ ურიკები შექმნეს

როგორ შეიძლება, მაღაზიაში საყიდლები ავტომატიზებული გავხადოთ და შოპინგისგანაც სიამოვნება მივიღოთ? ამ კითხვაზე პასუხს ჩინელმა გამომგონებლებმა მიაგნეს. „ლოტოსის“ სუპერმარკეტების ქსელში ცოტა ხნის წინ საცდელად, ექსპლოატაციაში გაუშვეს კომპანია Sunkyoung Telecom-ის შექმნილი „ჭკვიანი“ ურიკები. ჩვეულებრივი ურიკა აღჭურვილია ეკრანით, აქვს Wi-ი და სმარტფონებისთვის განკუთვნილი პროგრამა. სუპერმარკეტში შესვლის წინ, მომხმარებელს შეუძლია სმარტფონის მეშვეობით შეიტყოს მიმდინარე აქციების შესახებ, შეადგინოს საყიდლების სია, შემდეგ კი ურიკა დაეხმარება საჭირო პროდუქციის მოძებნაში.

სუდოკუმანია

ადვილი

9	8		5		7			3
	4	7			6			5
	2			3				
		9						4
2			9	8	5			6
1						9		
				6			2	
5			3			4	6	
4			2		8		7	1

სტანდარტი

	8		7	6		1		4
				2	1	9		
			9					
		4				8		2
5		2	8	9	7	4		1
8		1				5		
					9			
		3	6	7				
4		8		5	3		7	

რთული

					6		8	5
				5		3		
			8	2	3			9
2		4	7					
5	6						9	1
					5	8		4
7			2	6	1			
		1		4				
6	9		5					

ექსპერტი

	2	9						6
8					2			5
		3			9		4	
		2	9			6		
4	9			3			1	8
		6			4	5		
	6		8			4		
9			5					1
2						8	6	

საკუთარ თავს მისთხოვდა

აშშ-ს მცხოვრებმა, 36 წლის ნადინ შვაიგერტმა მდიდრული ქორწილი გადაიხადა, ჩაიცვა საპატარძლო კაბა, უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტი შეუკვეთა და 45 სტუმარიც დაპატიჟა. ერთადერთი, რაც ამ პომპეზურ ღონისძიებას აკლდა, სიძე იყო, რაც ნადინმა შეგნებულად გააკეთა, რათა დაემტკიცებინა, რომ სრული ბედნიერებისთვის მამაკაცი საერთოდ არ სჭირდება. ნადინს სამი შვილი ჰყავს, განქორწინების შემდეგ ქალი რამდენიმე წელი ელოდა, რომ მის ცხოვრებაში გამოჩნდებოდა ღირსეული მამაკაცი და სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დროთა განმავლობაში ნადინს ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა და სპეციალისტის დახმარება დასჭირდა, მეგობარმა კი ურჩია, თავი დაენებებინა იდეალური კაცის ლოდინისთვის და საკუთარ თავზე გათხოვილიყო. იდეამ ქალი აღაფრთოვანა და რამდენიმე თვეში ქორწილიც გადაიხადა. სხვათა შორის, მონოქორწინება აშშ-ში იშვიათობა არ არის და ეს უჩვეულო „ტრადიცია“ ადამიანებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ბედნიერებას თვითონ ქმნიან და ამისთვის მეორე პირი საჭირო არაა.

ბიუსტჰალტერი სასწრაფოს გამოიძახებს

ამერიკელმა ინჟინრებმა არკანზასის უნივერსიტეტიდან „ჭკვიანი ბიუსტჰალტერი“ შექმნეს, რომელიც მედიკოსებს საშუალებას მისცემს, პაციენტების მდგომარეობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აკონტროლონ. გამოგონებას, რომელიც ნანოტექსტილისა და სმარტფონის ტექნოლოგიებს აერთიანებს, გადამცემები აქვს ჩამონტაჟებული, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდება და ინფორმაციას გზავნის. მაღალტექნოლოგიური ბიუსტჰალტერი საშუალებას იძლევა, ექიმმა პაციენტზე დაკვირვება მუდმივად აწარმოოს, აკონტროლოს არტერიული წნევა, სხეულის ტემპერატურა, სუნთქვის სიხშირე და ნეირონული აქტივობა. სისტემას ტომოგრაფის შეცვლაც შეუძლია, რადგან ყოველგვარი დამატებითი აქსესუარის გარეშე, როგორც ელექტროკარდიოგრაფი, გულის მდგომარეობის შესახებ იწერს ჩვენებას მონეტის ზომის ოქროს ნანოელექტროდების მეშვეობით. სიახლის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი გამოგონება სპორტსმენ მანდილოსნებსაც გამოადგებათ, რადგან ბიუსტჰალტერი ვარჯიშის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების გაკონტროლების საშუალებას მისცემს.

ბოტოქსის ინექცია დეპრესიას იწვევს

კარდიფის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბოტოქსი არც ისეთი უსაფრთხოა ადამიანისთვის, როგორც აქამდე მიაჩნდათ. მკვლევარების განცხადებით, ბოტოქსს შეუძლია დეპრესიის პროვოცირება, რადგან ამ კოსმეტიკური პროცედურების შემდეგ ადამიანს ჩვეულებრივ, გაღიმებაც არ შეუძლია. სწავლულთა ასეთი დასკვნა საკმაოდ მოულოდნელი იყო, რადგან ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ბოტოქსი დეპრესიის სამკურნალო ეფექტურ საშუალებად მიიჩნეოდა, რადგან ინექცია შუბლის კუნთების პარალიზებას იწვევს და ადამიანი მწუხარებას მიმიკით ვერ გამოხატავს.

თრომბის საწინააღმდეგო მედიკამენტი გამოვა

თრომბის სამკურნალო მედიკამენტი რამდენიმე კვირაში ხელმისაწვდომი იქნება. დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 36 ათასი ადამიანი ავადდება პულმონალური ემბოლიით (თრომბი ფილტვებში). ამ დაავადების სამკურნალოდ წლების განმავლობაში სისხლის გამათხელებელ ინექციებს — გეპარინსა და ვარფარინს იყენებდნენ, რომელიც სისხლის მუდმივ ანალიზს საჭიროებდა. ახლა კი მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი თაობის მედიკამენტი, რომელიც არ საჭიროებს ინექციასა და სისხლის ანალიზს. ახალ მედიკამენტს „მწვანე შუქი“ შოტლანდიის უსაფრთხოების რეგულირების სამსახურმა აუნთო და უახლოეს პერიოდში, იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.



ყავა ბიუსტის ზომას ამცირებს?

ლუნდის უნივერსიტეტის სწავლულებმა გამოკვლევისას, ქალის ჯანმრთელობაზე ყავის გავლენა შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ უამრავი ადამიანისთვის საყვარელი ეს არომატული სასმელი არა მხოლოდ ამცირებს სიმსივნური დაავადების წარმოშობის რისკს, არამედ ბიუსტის ზომაზეც მოქმედებს. კვლევისას, მეცნიერები დიდმკერდიან ქალებს აკვირდებოდნენ, რომლებიც ყოველდღიურად სამ ფინჯანზე მეტ ყავას მიირთმევდნენ, აღმოჩნდა, რომ შედეგად, მათი ბიუსტი ზომაში საშუალოდ 17%-ით მცირდებოდა. სწავლულთა მონაცემებით, ქალბატონების 60%-ს აქვს გენი, რომელსაც კოფეინის მოხმარებისას მუტირება შეუძლია და მკერდის არსებით შემცირებას იწვევს.



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.